ირაკლი ნადარეიშვილი

ანგელოზი

ირაკლი ნადარეიშვილი

ანთილოსი



თბილისი 2020

ავტორი: ირაკლი ნადარეიშვილი
რედაქტორი: ეკა ბერაძე
კომპიუტერული მომსახურება: ელზა აფაქიძე

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით
ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა სტამბა შპს. „ვექტორი 2009“-ში
www.vectory.ge

ISBN 978-9941-8-2236-0
© ირაკლი ნადარეიშვილი

ირაკლი ნადარეიშვილი დაიბადა 1975 წლის 10 მაისს ქ.თბილისში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. 1981—1992 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის 112—ე საშუალო სკოლაში, გაძლიერებული ჰუმანიტარული განხრით. 1997 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2016 წლიდან არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

იგი არის ავტორი, 2018 წელს გამოცემული ლექსების კრებულისა —„გრძნობების რთველში“. 2019 წლიდან არის „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა“ და საქართველოს საერთაშორისო ლიტერატურული ცენტრი „რუბიკონის“ წევრი.

ირაკლი ნადარეიშვილი 2017 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს სისხლის სამართლის პროცესში ევროპის უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. დღემდე არის სასწავლო უნივერსიტეტის „მილენიუმის“ აფელირებული ასისტენტი. 2016-2020 წლებში გამოცემული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია და მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში.

სამუშაო გამოცდილება:

1994—1998 წლებში — ქ. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლო, სასამართლო აღმასრულებელი.

1998—2000 წლებში — შპს „კომპიუტერის“ იურისტი.

2000—2005 წლებში — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი; საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი; საგამოძიებო დეპარტამენტის საორგანიზაციო—მეთოდური სტატისტიკისა და ანალიზის სამსახურის გამომძიებელი; საგამოძიებო დეპარტამენტის საორგანიზაციო—საკონტროლო სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსი გამომძიებელი; საგამოძიებო დეპარტამენტის მე—2 სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი.

2005—2006 წლებში — საქართველოს გენერალური პროკურატურა: მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შსს—ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი.

2006—2007 წლებში — საქართველოს გენერალური პროკურატურა: მცხეთა—მთიანეთის საოლქო პროკურატურის შსს—ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი.

2007—2013 წლებში — საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით).

2013—2015 წლებში — საქართველოს მთავარი პროკურატურა: საგამოძიებო ნაწილის, საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი.

2015 წლიდან დღემდე - საქართველოს გენერალური პროკურატურა: სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის მიღებული აქვს მადლობები, ფასიანი საჩუქარი და დაჯილდოებულია ვადამდე ადრე სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებით. მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება — იუსტიციის უფროსი მრჩეველი (პოლკოვნიკი).



ანთილიოსი

(მუზას)

მე და შენ შორის ანთილიოსს[1] ვამოციქულებ,
გულსენშეყრილი გზებს დავბინდავ გონსაწიერის,
ნაამპარტავნალს აღსარება, რადგან მწადია,
რადგანაც არ მსურს მიწიერის ხილვა იერის.

ნამნათობარის ნატერფალი ნახანძარალი,
ჰგავს ნასურვილარ გრძნობათაგან დაცლილ ნასუფრალს,
შემოგიზავდი და თვალებში მზეს ნუ მანახებ,
მზეს ნუ მანახებ სხივდაღვრემილს და ცას ნაქუფრალს.

თასს აიაზმის[2] ნუ შემივსებ უხვცრემლდინებით,
კიდევ ერთ შტორმში, ზუსტად ვიცი, ვერ გადავრჩები,
ვით მხარნაქცევი, რადგან ვებრძვი უნაპირობას
და ნააფრალი, სველი, ანძების იმედად ვრჩები.

---

[1] ღრუბლებიდან გამომავალი მზის სხივი.
[2] ნაკურთხი წყალი

რადგან ოდესღაც, უნებურად, შემოგემსხვერპლე
და უშენობას რადგან ვფიცავ დღემდე ცდუნებით,
ნაკაეშნარი ბაღის რადგან გავხდი მებაღე
და აყვავებულ იარებს ვრწყავ სულშეძრწუნებით.

რადგანაც დარდით ნაასკეტარს შემიწილხვედრდი
და ნათლითფენილ საგოლგოთე ბილიკებს მიკვლევ,
სანაყროვანედ, სიტყვასამტეხლო რითმის საბადოს
მოვიმყუდროვებ ჟამითჟამამდე და ჩუმად ვიკვლევ.

რადგანაც შენზე დავიწინდე ყველას უჩუმრად
და მინოტავრის რქის ყანწებით შევსვით ნაღველი,
მე და შენ შორის ანთილიოსს ვამოციქულებ,
რადგან ბოლომდე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი.

24.01.2020 წ.

თავის – უფალი

უუნაგიროდ იბადება კაცი ყოველი,
მერმე მცირედნი მოარგებენ მრავალთა ლაგამს...
ყველა ვერ ჰგუობს, რკინასა კვნეტს, იბრძვის და ბორგავს,
ზოგიც მორჩილად მიებმება მიჩენილ ბაგას.

თავის – უფალი ევლინება ყველა საწუთროს,
თავისუფლები აკეთებენ არჩევანს თვისას,
ქმნიან კანონებს და მონებენ თავისვე შექმნილს,
არად აგდებენ ბუნების წესს და სიტყვას ღვთისას...

ვერავინ შესძლებს შეუცვლელად ექცეს სამყაროს,
ამ სამყაროში ყველაფერი იცვლება ჟამით...
ვინ მოახერხებს შეაჩეროს ან და შეცვალოს?
ღამეს თუ დღე სდევს და დღე შემდეგ იცვლება ღამით...

ადამიანი მარტო მოდის თავის მისიით,
მარტოსულობაც თავისუფლების არჩევანია,
მე თუ არ მინდა ვერ შემაერთებს ვერავინ ნახირს
არჩევანშია ჭეშმარიტება დიდი ხანია...

ბედნიერებაც არჩევანის არის ნაწილი
და მასაც ჩემთვის, ალბათ, მხოლოდ ისეთს ვინატრებ...
თუ არჩევანი მომანიჭებს სიამოვნებას
და მონიჭებულს არასოდეს აღარ ვინანებ.

თავის – უფალი მოვევლინე ამ წუთისოფელს
და ვერა ვგუობ ცხოვრებისგან მორგებულ ლაგამს,
მარტოსულობა მირჩევნია ნახირში ყოფნას...
და იალაღი სამადლობლოდ მოგდებულ ბაგას.

12.02.2019 წ.

გამყინვარება

დარდს აგროვებდი, ადამიანთა აღწერდი სევდას,
ხმის მისაწვდენად უფალს ეძებდი მიუვალ მთაში,
ერთი სიცოცხლე არ გეყო და იქეცი დარდად,
ჰო, შენც ერთ დარდად მიევლინე უფალთან ცაში.

ნეტავ რა ქენი? ნეტავ შეხვდი? ნეტავ იპოვე?
ალბათ, ეგ შენი ნაგროვები ყურად არ იღო,
მაშ რად იმატა ასე დარდმა? აფსუს, ჩოხელო,
ადამიანთა სევდის დესპანს რით ვერ გაგიგო!

მე სამყაროში იმედების ვცადე აღნუსხვა,
ორიოდ გვერდმა დაიტია ყველა იმედი,
ადამიანში ადამიანის ველტვოდი პოვნას,
თუმც იმედების ამხდენლამდე ვერც მე მივედი.

ვერც მე ვიპოვე ძე კაცისა ჩვენად შობილი,
იმედის ლერწმებს ვინც ვენახად გაახარებდა,
შენ რომ აგროვე იმ დარდთაგან სულ ცოტას მაინც
იტვირთავდა და თავისი მადლით განაქარვებდა.

სარეველას ჰგავს კაცის დარდი, უმალ მრავლდება,
ფესვიანდება, იკალმება გულიდან გულზე,
იმედს კი მოვლა, მორწყვა უნდა სიყვარულივით,
რომ გაიკვირტოს და აფეთქდეს კვლავ გაზაფხულზე.

შენ იყავ ბოლო, დარდებს ვინღა აგროვებს ახლა,
ადამიანში თანაგრძნობა ისე გაცივდა,
ისე დაბერა ჯოჯოხეთის ცხელმა გრიგალმა,
ყველა ფოთოლი სიკეთის ხეს ერთად გასცვივდა.

ისე ჩამოცხა სამყაროში, გააშრო ცრემლი,
ყინულის მთებსაც მალე შთანთქავს ეს მცხუნვარება,
ასეთ ალმურში ვერ ამიხსნია, როგორ დაიწყო
ადამიანში ადამიანის გამყინვარება.

10.02.2020 წ.

მე, შენ და ტანგო

როგორც ოდესღაც, დღესაც მინდა გეცეკვო ტანგო,
ღამის სიჩუმეს შეერწყმოდეს მუსიკის ჰანგი
როგორც ოდესღაც, დღესაც დაგვჭრას ისრით ამურმა
და ჩვენს სიყვარულს უმღეროდეს ორფეევსის ჩანგი.

ვით ევრიდიკას გაღმერთებდე ვნებააშლილი,
 თვით აფროდიტეს შურდეს შენი თვალთა ციალის.
შუმერთა იშთარს, ეგვიპტელ იზისს და ინდურ რადჰას
გამოეღვიძოთ მაგ წამწამთა ნაზი შრიალით...

დიახაც, მინდა კუპიდონმაც მიმზიროს შურით,
შენს შემხედვარეს, დუჟი სდიოდეს გამომტყვრალ ეროსს,
მაისის წვიმაც გვეცემოდეს ცეცხლში გახვეულთ,
ვნების კივილმაც გალაქტიკა რომ გადასეროს!

როგორც ოდესღაც, მინდა ისევ აჟღერდეს ტანგო,
შენ, ვით ვენერა, აგრძელებდე ვნებიან როკვას
და ჩვენს ცეკვაზე, ჩვენს გრძნობაზე იშვას ლეგენდა
ისეთი, როგორც ჯერ არ სმენია ადამის მოდგმას...

როგორც წლების წინ, მოვიწამლოთ დღესაც ვნებებით
როგორც წლების წინ, ჩაგჩურჩულო –,,მიყვარხარ, კარგო“
და ამ ცხოვრების დიდ სცენაზე, როგორც ოდესღაც
რომ ამაღამაც კვლავ სამნი დავრჩეთ, მე, შენ და ტანგო...

24.04.2018 წ.

თუში ხანუმი

ქვიშის ბარხანებს მიუყვება უდაბნოს გემი,
ბახთიარისკენ[1] აუღია ქარავანს გეზი,
ავჩქარდეთ აღა! გვიღამდებაო – ბრძანა გამყოლმა
არაბულ ტაიჭს დააძგერა ფერდებში დეზი.

ბოლო მზის სხივი გადაერტყა ქედებს მათრახად,
ბოლო მზის სხივზე ქარავანმა დასცა ბანაკი,
შაჰირაზადეს ათასერთიდან თითქოს გაცოცხლდა
ვარსკვლავჭედილი ცის კიდეზე ღამის არაკი.

სიზმარში ვიყავ, როცა ძილი დამიფრთხო ჰანგმა
მექარავნეებს გაემართათ დილის საარი,
მალე მივალთო – დუდუკის ხმას აჰყვა მეგზური,
ფერეიდნამდე არც თუ შორი უკვე გზა არი.

არ განცალკევდე, ჩვენთან იარე, არ ჩამორჩეო,
აქაურ ხანუმს ნუ დაუწყებ ფლირტსა და არშიყს,
არ მიაშტერდე ნიქაბს მიღმა ვისმეს თვალებში,
ამ მთებში თავი დაუკარგავს უამრავ აშიკს[2].

და ქარავანი შეეკლაკნა მწვანე ხეობებს,
თითქოს საზღვარი გადმოვკვეთე ნაცნობ სანახის,
თითქოს სამყარო შეიცვალა ათიოდ წუთში,
შეგრძნება მქონდა ადრე ხილულის, ასჯერ ნანახის.

---

[1] მთები ფერეიდანში
[2] მექალთანე.

დიდრონ ლოდებზე წყარო მოჩქეფს ჩუმი ხმაურით,
თუნგები უხვად შეუდგიათ შხეფთა საგროვად,
შავი ბურქებით[1] ჩამომდგარან სპარსი დუხთარნი[2]
თითქოს მზად იყვნენ საკუთარი ბედის საგლოვად.

ერთ–ერთს შევბედე, მწყურია თქო– ხელით ვანიშნე,
გამომიწოდა დაორთქლილი ვერცხლის ფიალა,
თან ჩადრს ქვემოდან ამომხედა ეჭვის თვალებით,
ოთხას წლის სევდამ სადაც წამში გაიფრიალა.

გურჯი ხარ, ხანუმ? თითქოს გულმა ამოიკვნესა,
კვლავ ამომხედა და მყისიერ ზურგი მაქცია,
ვხედავ ჩადრიდან ქართულ სულის მიმზერს თვალები,
სული, რომელიც მტერმა დღემდე ვერ წააქცია.

კახი ხარ, ხანუმ? იქნებ ჰერი ან იქნებ თუში?
უკვე ქართულად შევუძახე მიმავალ დუხთარს.
შენ და და მე ძმა, ნუ გამირბი, შესდექ, მობრუნდი,
ნუთუ ვერ არჩევ შენს მოყვასს და უბრალო მუშტარს?

გაშეშდა, თითქოს ქვისგან იყო ნაძერწ–ნათალი,
თითქოს ერთბაშად მის თვალებში მყინვარმა იკლო,
შემომაგება მზერა, ცრემლით გაბრწყინებული...
და მის თვალებში აირეკლა დართლო და დიკლო.

---

[1] თავსაბურავი.
[2] გოგონა.

წოვა–თუში ვარ, შენი კვნესამე, მონად წასხმული,
ალვანის ველზე ჩემს წინაპრებს უნავარდიათ,
სახლჩი გვეწვიეთ, გურჯ–ნაჰიშში[1], პაპის ბინაში,
სადაც საანჯმნო[2] გურჯებს ბჭობა გაუმართიათ...

მე გავიქცევი, მივახარებ პაპის ამ ამბავს,
სახელდახელოდ მოგიხარშავთ გორდილას[3], ქუმელს[4],
ხავიწს[5] და კოტორს[6] მოგიმზადებთ ჩვენი კალტისას[7],
მოგონებების ავაგიზგიზებთ გაჭვარტლულ ღუმელს...

მევედრებოდა, ტირილნარევი, რჯულს გაფიცებო,
სხვაგან არ დარჩე, მინდა პაპისთვინ ეს სიხარული,
წვრილად გვიამბე გურჯისტანის ავანჩავანი,
ჩვენ ხატიც გვაქვსო ძველ დროიდან გადამალული...

პაპის ქორაის ეძახიან, მე კი ნანაის,
მეტიტინება, არ ჩერდება, მოსწრებას ლამობს...
ძველ ქართულ სიტყვებს ისე ხლართავს და ისე აქსოვს
კი არ საუბრობს, კი არ ამბობს, ხმატკბილად გალობს.

ხელი ჩამკიდა, მაფიცებდა, მექაჩებოდა
და გაიფურჩქნა ჩემ წინ, როგორც ეხევერია[8],
ვერ დავითმინე, ყმაწვილივით წამსკდა ცრემლები
ქარავნის ბაში ამის შემსწრე გადამერია.

---

[1] ქართველთა უბანი ფერეიდანში
[2] იგივე საფიხვნო, თავშეყრის ადგილი.
[3] მოხარშული პური
[4] ფაფა.
[5] დამბალ ხაჭოსგან დამზადებული კერძი.
[6] თუშური ხაჭაპური.
[7] გამომშრალი ხაჭო, ყველი.
[8] კლდის ვარდი.

აღა, ვინა ხარ? მუჰამედივით რატომ გხვდებიან?
მთების ასული რით მონუსხე ან რა უთხარი?
გურჯი ვარ მეთქი – გავიშალე მხრებში ამაყად,
ერთი სისხლი გვაქვს, სამშობლოს სევდით ანადუღარი...

ჰოდა სტუმარი, ჩვენში არის უფლის გზავნილი,
აქაც და იქაც ჩვენი ადათი გვაქვს შერჩენილი,
ჩემს ჯიშის ყივილს შენ ვერ გაიგებ და ვერც აგიხსნი,
გურჯი გურჯისთვის არის შექმნილი და გაჩენილი.

იმ დღეს ნადიმი გაიმართა ქორაის ბანზე,
იმ დღეს ყვაოდნენ ნანაის თვალში ფხიჯა და დეკა[1],
იმ დღეს შენაქოს ფერის ჰქონდა თუშ ქალს თვალები,
 იმ დღეს ოთხასჯერ მომიწია მუხლის მოდრეკა.

ოთხ საუკუნეს მოითვლიდა მათი ტკივილი,
ოთხ საუკუნეს ინახავენ მშობლიურ ენას,
ფერეიდნელი თუშ ნანაის თვალები აფრქვევს
დღესაც ქართული ჯიშის შნოს და სამშობლოს რწმენას.

06.11.2019 წ. ი.ნ



[1] მთის ყვავილი.

აკაცია

იცის ვინმემ, რა კაცია აკაცია?
ანდა ეკლის ჯაჭვ-პერანგი რად აცვია?
ცულის დაკვრას ფოლადის ხმით რად პასუხობს...
ასე ძელქვად და უსისხლოდ რამ აქცია?

ის არ ტირის, როგორც ვაზი, ცრემლი არ სდის
და მის ტოტებს აბრეშუმი არ აცვია...
ცოცხალთათვის – შეუცვლელი დედა ბოძი,
წასულთათვის – უღალატო საკაცეა.

მისი ღობე, როგორც მტკიცე გალავანი,
ქარბუქმა და თოვლმა რომ ვერ წააქცია,
ვერ დაალპო სეტყვისა და წვიმის თქეშმა
და მომხვდურიც ბევრი უკან გააქცია

ყვავილობას სანექტარე თეთრ–სპეტაკმა
თავის სიტკბო ყველას თაფლად დააქცია,
მაგრამ მხოლოდ ეკალს ხედავს მასში ყველა
სჭირდებათ... თუმც არვის უყვარს აკაცია.

ვუყურებდი ჭირ–ვარამში გამობრძმედილს,
ამ უსაზღვრო ტკივილმა რომ ქვად აქცია
ნეტავ შენი გამძლეობა მომცეს ღმერთმა,
შენი გული ნეტავ მქონდეს, აკაცია!

21.01.2019 წ.

ახლა სულერთია

მწყინდა, განვიცდიდი, ბოლოს მივეჩვიე,
ახლა სულერთია, ზურგს თუ შემაქცევენ,
ახლა სულერთია, ფეხს თუ დამიდებენ,
ახლა აღარ ვნაღვლობ, როდის წამაქცევენ.

ახლა ამერია უკვე სათვალავი,
აღარ ვიმახსოვრებ რიცხვებს ღალატისას,
ახლა აღარ მიკვირს ქვეყნად არაფერი,
ახლა გემებს ვაწყობ, ოღონდ ქაღალდისას.

სევდის ოკეანე უნდა გადავსერო,
იალქნებად ვშალო თეთრი თაბახები,
ახლა სიმარტოვე უნდა გავაღმერთო,
უნდა მოვილოცო აზრთა სანახები.

ახლა ჩემი ჯერი დადგა შებრუნების,
ახლა მოუთმენლად ზურგის ქარი მელის,
მინდა აბორდაჟზე მუზა ავიყვანო
და კაპიტნად რითმა – ჩემი ყინულმჭრელის.

უნდა დავეწაფო სიტყვას გაუფილტრავს,
უნდა დავამსხვრიო ეჭვის ფიალები,
ამღვრეული ვნების ტალღებს განვერიდო,
უნდა დავუკემსო ნერვებს იარები...

უნდა შევაქციო ზურგი მთელ სამყაროს,
რადგან იგი მხოლოდ გესლის ნაერთია,
მწყინდა, განვიცდიდი, ბოლოს მივეჩვიე,
ახლა ვინ რას ფიქრობთ, ჩემთვის სულერთია.

12.02.2020 წ.

გრძნობების რთველში

მაისის სითბოს, სიყვარულის ელფერი ჰქონდა.
თვალებს იფშვნეტდნენ გარიჟრაჟზე ნორჩი კვირტები
და გაზაფხულის მოძახილი ისმოდა გულშიც,
უმანკოებად იფრქვეოდნენ თეთრი ტიტები.

მომელამუნა ნელი სიო, ჩურჩულით მითხრა,
მომწიფებულა გრძნობა შენი ხეჭეჭურივით,
ვერ ამჩნევ განა? გული ფეთქავს, სულ სხვა რითმებით,
ვნებით აღვსილხარ საბარძიმე ღვინის ჭურივით.

ტყუილად გარბიხარ, შენ სიყვარულს ვერ გაექცევი
და, სადაც ბახუსს ეს ნექტარი დაუქცევია,
ჯერაც ვერავინ მოახერხა ამ გრძნობის მალვა,
საკუთარ გრძნობებს, ერთი მაუწყე, ვინ გაჰქცევია?

შენ აღელდები, ისე, როგორც ზღვათა ზვირთები,
და ლერწამივით მისი ლტოლვით გაიზნიქები,
ის სულ ვერ იგრძნობს შენთან ყოფნის სიახლოვეს და
შენ, ვით ავაზა, მსხვერპლის გვერდით ჩუმად იქნები.

დამიყოლია გაზაფხულის მაცდურმა სიომ,
ფრიალო კლდეზე, კენტად ამოსულ ყაყაჩოს წავწვდი,
მე ახლაც მახსოვს ის თვალები შეშფოთებული,
და პირველ ყვავილს მოკრძალებით თუ როგორ გაწვდი.

რაკრაკით გარბის წლების წყარო ჟამის ბილიკზე,
ბროლის სარკეში ვერცხლისფერი ჭაღარა მღერის,
ვერ გამიგია, ჩვენ ორს შორის ვინ იყო მსხვერპლი,
ახლა ვრწმუნდები, ავაზობა შენ უფრო გშვენის.

„მიყვარხარს“ გეტყვი კიდევ ერთხელ ამ ჩემი ლექსით
მე ის ჭური ვარ, მსვამენ, მაგრამ, რომ არ ვიცლები,
ყოველ გაზაფხულს, მაისობას, გრძნობის რთველი მაქვს,
ვძველდები, მაგრამ სიყვარულით კვლავაც ვივსები.

16.02.2011 წ.

ანბანი

ა რსი ჩვენი მოვლინების
ბ ედისწერის არის ნება,
გ ანსაცდელის, მოთმინების
დ ა სიმტკიცის გამოვლენა...
ე ს სოფელი გასავლელად
ვ ისთვის ვნება, ვისთვის-ლხენა
ზ ოგის ხვედრი მხოლოდ არის
თ ავდადება და თვითგვემა.
ი ა-ვარდით მოფენილი
კ იბე ყველას როდი ხვდება!
ლ უკმაპური, რა გგონიათ,
მ აინც, რამდენს ენატრება?!
ნ უთუ ღირდა ცოდვა-მადლის
ო რ პინაზე დალაგება,
პ ირველ თვალის ახელვისას
ჟ ამის მყისვე დატირება?
რ ატომ ვტირით მოვლენისას ?
ს იცილიც ხომ შეიძლება?

ტ ირილით ნუ გამაცილებთ,
უ ნდა შეძლოთ გაღიმება ...
ფ იანდაზად არ ვგებულვარ
ქ ეც მიყვარდა, ქეც ვუყვარდი
ღ რუბლებშიც მინავარდია და
ყ ანაშიც ტალახს ვხნავდი.
შ ენ რა ქმენი საიმისო,
ჩ ამჩურჩულე: „ ყოფნა ღირდა ?
ც ეცხლი გენთო სიყვარულის?
ძ ვლებს ათბობდა ალი წმინდა?”
წ ასვლა რაა, თუკი რჩება
ჭ რაქი შენი ანთებული,
ხ ალხი შენი მადლიერი,
ჯ ამი, ღვინით გავსებული,
ჰ ანგი, შენზე წანამღერი და გზა, შენი
გაკვალული...

არ მეშინია ...

იცი? შენი სულაც აღარ მეშინია,
მოვა ჟამი, ვიცი, სადღაც შემომხვდები,
იქნებ შენთან უფრო შევძლო დამშვიდება,
რას ვგულისხმობ? ალბათ, შენ თუ მიმიხვდები...

არ ვაპირებ შეგებრძოლო სიტყვითაც კი,
არ ვაპირებ უკვდავების წყარო ვძებნო,
მირჩევნია გიმასპინძლო ღირსეულად,
და საერთო ენა ვინძლო გამოვძებნო.

სიტყვას გაძლევ, წუწუნით თავს არ შეგაწყენ,
არ ვაპირებ, არც ცოდვები დაგიმალო,
ამ ცხოვრებით უკვე ისე დავიღალე,
არ ვაპირებ შენთან ხვეწნით დავიღალო.

ერთი თხოვნა შემისრულე, სხვა არც მინდა
სარეცელს ნუ მიმაჯაჭვავ, გევედრები,
სიტყვას გაძლევ, რომ დიდხანს არ გალოდინებ:
პირველივე მამლის ყივილს გამოვყვები.

2016.

გლახა

საღამოს ჟამზე, წირვისას,
ტაძარს მიადგა გლახა...
ხალხით გაჭედილ საყდარში
ადგილი რომ ვერ ნახა...

იქვე, ეზოში ხის ძირას
თავისთვის განზე გადგა,
ბოლო მზის სხივი მხოლოდ მას
და სამრეკლოს ზარს ადგა.

ვინ არის, ბაბუ, ის გლახა ?!–
ყმაწვილმა ჰკითხა მნათეს,
საყდარშიც რომ არ შემოდის
და სანთელსაც არ ანთებს...

მუნჯი ბერია, სალოსი
ფეხშველა მიწას ტკეპნის,
ამბობენ, ბრძენკაცი იყო,
ძლიერი ამა ქვეყნის...

არვინ უსმინა, დასცინეს,
შურით და ღვარძლით დაგმეს,
მრისხანებაში ჩავარდა,
განუდგა კეთილ საქმეს.

ამ ცოდვის გამოსასყიდად
დადო დუმილის ფიცი,
ჰოდა, ამიტომ სახელი
ჩვენში არავინ იცის...

ტაძრად კი ჩვენთვის მოვიდა,
 მიზანი ჰქონდა ერთი
უფალი მასში სახლობს და
თან მოიყოლა ღმერთი....

მადლი საქმეზე გადმოდის
და არა უფლის ხმობით,
ვერც სამოთხის კარს შეაღებ
მხოლოდ ტაძარში დგომით,

სანთლის დანთება რად უნდა
ის თავად სანთლად იწვის...
დუმილით ამბობს სათქმელს და
ლოცვით ერისთვის იღვწის.

შეკრთა ყმაწვილი, დაიბნა
მონუსხა სიტყვამ მნათის,
შეხედა გლახას თვალებში,
თვალებს მირონი დასდის...

დიდხანს უცქერდა ყმაწვილი
ძონძით შემოსილ გლახას–
შეძლებდა კიდევ ოდესმე
ცხადში უფალის ნახვას?

ზარმა ჩამოკრა მწუხრისამ
ზეცა გუგუნში აჰყვა,
დატოვა გლახამ ტაძარი...
და უფალიც თან გაჰყვა...

23.01.2019 წ.

დამხატეთ, მხატვარო!

დამხატეთ, მხატვარო, ოღონდ ფერებს ნუ დაიშურებთ
დე თქვენს მოლბერტზე გავითხაპნო ნათელ ფერებად...
ზეთს ნუ იხმარებთ და შავ–თეთრსაც ფუნჯი არ ახლოთ
ისე დამხატეთ, რომ არ აღმიქვან გადამღერებად...

დამხატეთ მხატვარო, შუქ–ჩრდილები არ დაინანოთ,
სული დახატეთ, ხორცს ხომ ხედავს ისედაც ყველა
შეძლებთ მხატვარო? ... ის ტკივილი ფუნჯით ასახოთ...
შიგნით რომ დამაქვს და ხანდახან, ბრძოლასაც ბედავს...

ჰოდა დამხატეთ, საკუთარ თავთან მარად ჭიდილში...
მარად ძებნაში, უპასუხო კითხვების წრეში,
ნუ გეშინიათ ...როგორც აღმიქვამთ, ისე დამხატეთ,
პირობას გაძლევთ, ვერ განმარისხებთ ნანახით ჩემში...

რაო, ოსტატო? რამ შეგაკრთოთ? რატომ ყოყმანებთ?
ნუთუ გვერდიგვერდ ღმერთს და ეშმაკს ვერ ტევთ ტილოზე
დიდხანს ვეძებდი... მაპოვნინა ერთმა – მეორე ...
ორივე ჩემში სახლობს , მიხმობს თავის კილოზე ...

ჰოდა დახატეთ, რასაც ხედავთ.... არ მოიტყუოთ!
თქვნგან სიყალბეს ვერ მოვითმენ, ჩემო მხატვარო,
ამდენ ტყუილში თქვენმა ფუნჯმა დე, თქვას სიმართლე
ისე დამხატეთ, რომ შავ–თეთრი არ გამაკაროთ...

ჰოდა დამხატეთ, ოღონდ ფერებს ნუ დაიშურებთ
დე, მაგ ტილოზე დავიღვარო ფერად ბგერებად,
საკუთარ თავს არ ვემგვანები? ვიცი და მინდა
ისე დამხატოთ არ აღმიქვან გადამღერებად.

11.09.2018 წ.

აღსარება

უ ფალო შემიწყალე, ნათელს მაზიარე,
ფ არსაგი ამარიდე, ავისგან დამიფარე,
ა ზრი განმიწმინდე, გონება გამინათე,
ლ ოცვით მაპოვნინე სწორი გზა და მხარე.
ო ჯახი მიკურთხე და კერა დამილოცე,

შ იში განმიდევნე, იმედი ჩამისახე,
ე რთი მრავალთაგან, გზაკვალარეული,
მ ართლად მიმსახურე, მიზანი დამისახე.
ი სევ შენდობას გთხოვ, ვცოდე არაერთგზის
წ ესი დავარღვიე, არ ვიყავი მტკიცე
ყ ოფა ამა ქვეყნად ცოდვით დავიმძიმე,
ა თჯერ უარგყავი, ათჯერ დაგიფიცე.
ლ ამის ყველა ცოდვა, თავზე თავად ვიდვე,
ე ჭვიც შევიტანე, ბევრიც განვიკითხე

მ ეტად სიტყვით, ხანაც საქმით ვცოდე,
ე რთიც არა არის, შენ რომ არ იცოდე.

ც ისკენ სინანულით როს მივაპყრობ მზერას,
ო დეს გამიჭირდეს, კვლავაც შენ გთხოვ შველას...
დ ა ეს აღსარება, ჩემი ლექსად თქმული,
ვ ედრებაა, თეთრზე შავი კალმით ხნული.
ი სღა დამრჩენია სამართლებლად თავის,
ლ ტოლვა სინდისისკენ, ჯერაც ჩემში ყვავის
ი მედი მაქვს შენი მოწყალების თვალის.

ბედნიერი ხარ ...

ბედნიერი ხარ, თუკი რამის გჯერა და გწამს
ბედნიერი ხარ, თუკი ერთგულად იცავ მრწამს
ბედნიერი ხარ, თუკი სჯერდები მას, რაც გაქვს
ბედნიერი ხარ, თუკი შურით არ უმზერ სხვას...

ბედნიერი ხარ მაშინ, როცა არ ებრძვი თავს,
ბედნიერი ხარ, როცა არვის არიდებ თვალს,
ბედნიერი ხარ, როცა არსად დაეძებ ხავსს,
ბედნიერი ხარ მაშინ, თუ გრძნობ დასაყრდენ მხარს...

ბედნიერი ხარ მაშინ, თუ ეჭვი არ ღრღნის აზრს,
ბედნიერი ხარ, როცა სინდისს ვერ ამჩნევ ბზარს,
ბედნიერი ხარ, თუკი მუდამ პოულობ გზას,
ბედნიერი ხარ, თუკი არჩევ ეკალს და ბზას...

ბედნიერი ხარ, თუკი არვინ გამადლის თავს,
ბედნიერი ხარ, როცა გაწვდიან ჭიქა წყალს,
ბედნიერი ხარ, როცა სიკეთე მადლსა ჰგავს,
ბედნიერი ხარ, როცა ვერავინ იტყვის ავს.

ბედნიერი ხარ, როცა ძმობილი ძმობილს ჰგავს
ბედნიერი ხარ, როცა ეულად არ გრძნობ თავს,
როცა, ღალატის ნაცვლად, გამოგიწვდიან მკლავს,
ბედნიერი ხარ, შრომით თუკი არ ნაყავ წყალს.

და თუ ვერაფერს ასეთს ამჩნევ საკუთარ თავს,
სული წაწყმედას ლამობს, იღბალს უჩივი მკვდარს,
იქნებ რა ცოდვა გადევს, გული ბოღმის ჰგავს ზღვას,
ამ ლექსის კითხვას გიჯობს, ჰკითხო საკუთარ თავს.

გერი

ამ ცხოვრებისთვის გერი ვარ,
ხორბალში – ფეტვის მარცვალი,
იღბალი ჩემთვის – მოსისხლე
სამყარო – დედინაცვალი...

სიცოცხლე ბრძოლის ველი და
გზა ... კლდე–ჭიუხით სავალი,
რწმენა – ბზარმოკიდებული,
გრძნობა – დამწვარი ტრამალი...

დაღვრილი სითბოს სანაცვლოდ,
ვიმკე ყინული სატეხი,
ვისაც კი გული მივანდე
აღმოჩნდა სიტყვის გამტეხი.

გულმკერდით ვისაც ვუჩრდილე
ცრემლით მოვურწყე ფესვები...
წამოიზარდნენ, ისევ მე
დამიღრჭიალეს ეშვები...

გავჩნდი მარტოსულ კალმახად ...
დინების წაღმა წამყოლი,
გვერდით – მოყვასი არავინ ...
უკან – არავინ მამყოლი...

ჰოდა, მივყვები შარაგზას
მიზანს – ფიქრებში გაქცეულს,
დაჩოქებამდე აღვსრულდე,
არვინ წამადგეს წაქცეულს ...

არვის დავურჩე სარჩენად,
საპალნედ არვის გავუხდე,
სანამდის დავძაბუნდები,
სიკვდილს თავადვე ჩავუხტე.

ამ ცხოვრებისთვის გერი ვარ,
ხორბალში – ფეტვის მარცვალი
იღბალი მოსისხლე გახდა,
სამყარო – დედინაცვალი...

01.02.2019 წ.

ტფილისური ამქარი

არც მზე არის და არც წვიმა, არც თოვლი და არც ქარი,
მორიგ დილას ეგებება, ტფილისური ამქარი[1].
დილის სიფთას ეშურება, ყასაბი და ხაბაზი,
ყველას უნდა, რომ წაიღოს სახლში ორი აბაზი.

მუშტარი რომ დაეხვევა შაითანის ბაზრობას,
ზოგი საქმეს მოედება, ზოგი ყალთაბაზობას[2].
თაბუნ–თაბუნ[3] მოაწყდება, დიღომი და თელეთი,
ზოგს ხეირი შეხვდება და ზოგსაც ელეთმელეთი.

ამ ბაზარში ყველას უყვარს მეთულუხჩე[4] გოგია,
ზურგით დააქვს წყალი, თუმცა სახედარი როდია.
აქ, გულიან კაცად სცნობენ, კარგი ტოლუმბაშია[5],
ჰალალ შრომით თავი გააქვს, არც სცივა და არც შია.

ერთ შაურად თითო თულუხჩს[6] დილით ყველგან მიიტანს,
მხოლოდ მისი იმედი აქვს დალაქსა და მიკიტანს.
აქეთ თერძი შემოსძახებს, იქეთ სომხის ხარაზი,
ნაშუადღევს რიგში უდგას ფართლეულის ბაზაზი[7].

ზოგს უსწრებს, ზოგს – უგვიანებს, ხან ასე და ხან ისე...
გოგიაჯან, დაგავიწყდი? – ებღუზება მექისე...
არავის არ დაამწყრალებს და არავის იაჯებს,
ბუღლამა[8] და ბოღლოწოზე[9] მიაკითხავს სირაჯებს[10].

---

[1] ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება.
[2] თვალთმაქცობა, უსაქმურობა.
[3] ჯგუფ–ჯგუფად.
[4] წყლის მზიდავი.
[5] თამადა.
[6] ხარის ტყავის ტიკი დაახლოებით 16 ლიტ.
[7] ქსოვილით მოვაჭრე.
[8] ბუღში მოხარშული ხორცის უწვნო კერძი.
[9] ღვინოში დამბალ – გაჟღენთილი პური.
[10] ღვინითა და არყით მოვაჭრე.

თითო სირჩით თავის სადილს როცა ააშაბაშებს[1],
ხარის ტყავის ორ ცალ თულუხჩს მხრებზე აათამაშებს.
ისევ მტკვრისკენ გაუყვება, ქვით მოკირწყლულ ბილიკებს,
ყველას გულით გაუღიმებს, არვის გააქილიკებს.

ჯერაც, სანამ მეფარნეებს, აუნთიათ სანათი,
ორმოც თუხლუჩს აშოვნინა უკვე ორი მანათი.
მხოლოდ შოვნა კი არ იცის, ხელგაშლილი ყოჩია,
ობოლ ბავშვებს დაურიგებს შაქარ–ყინულს ფოჩიანს,

მერმე გლახაკებს დაუვლის, ყველას რაღაც ერგება,
ისე ლუკმას ვერ გაღეჭავს, იცის, არ შეერგება.
საღამო ხანს ბაღში გავა, თვალს შეავლებს გოზალებს[2],
თითო სიტყვით მოიკითხავს, მხატვრებსა და მგოსანებს.

ასეთ ზნისთვის იშტაზე[3] ჰყავთ ორთაჭალის აზაპებს[4],
თაშახოშით[5] ეტრფიან და ხსნიან გულის დარაბებს.
გოგია კი სხვასა ჰყვარობს სხვა ჰყავს გულის მურაზი,
ბეითალმან კაცის[6] ქვრივი, ნუცა – თეიმურაზის.

მისი გულის ფეთქვად იქცა ქალი აჯიღოსანი[7],
ჯერ არ გალირფებული[8] და ანგელოზი ფრთოსანი.
შეუთვალა, მაგრამ ნუცამ ხელი გაატატანა,
არ ვაპირებ მაგ გაქირის[9] და აჯამის[10] ატანას.

---

[1] საქმის დასრულება, ფინიში.
[2] ლამაზი, მშვენიერი.
[3] მადა, მიზანი.
[4] ხელუხლებელი, შეუბღალავი ქალწული.
[5] კეკლუცობა.
[6] უმემკვიდროდ ამოწყვეტილი კაცი
[7] თეთრჩადრიანი მანდილოსანი.
[8] გარყვნილი.
[9] ჯიუტი.
[10] უცოდინარი, გაუნათლებელი, ბრიყვი

აბა, სად მე – მოწიფული ქალი მანდილოსანი
და აბა სად ეგ მოზვერი, საქონელი რქოსანი.
ზედაშე ვარ და ეგ ჯერაც დაუმდგარი ბაქმაზი[1],
ჩემთან რას დაეხირება[2], ნახოს თავის საკმაზი.

ორჯერ უარი ვუთხარი ვექილსა და სოვდაგარს,
ალაფხანის[3] გამრიგე ფერხთ მიწყობდა მონაგარს,
ბევრს, მაგაზე უკეთესს, ჰქონდა ჩემი წადილი,
არვის გავათელინე სახელი და მანდილი.

არ მსურს, გულის ზარფუში[4] ავუხადო ოცნებას
და მაგ მეთულუხჩესთან თავის გაფოლორცებას[5].
ამ ამბავის მომსმენი, წახდა კაცად გოგია,
გრძნობაცა აქვს, ღირსებაც, სახედარი როდია.

ჰოდა, მასაც, დარდ–ბალღამის გულს დაედო ნალექი,
და ალთაფით[6] მოიყუდა, ღვინო ერთი ჩარექი[7].
როცა, თითქოს, აღარ იყო სხვა გზა და სხვა საშველი,
გოგიასაც გამოუჩნდა ძმაკაცი და მაშველი.

ამქრის ბაშმა რომ შაიტყო მეთულუხჩის გოდება,
ყველას უხმო, ვისთანაც კი საქმე აქვს და მოდება.
–ხვალ, დილიდან, ყველა თქვენგანს დავალება ერთი აქვს–
ნუცას სახლში წყალი არვის პეშვითაც კი არ მიაქვს.

---

[1] მაჭარი, დაუდუღებელი ღვინო
[2] უსაქმოდ ხეტიალობს
[3] ეწოდებოდა მარცვლეულით და ფქვილით მოვაჭრეთა რიგებს.
[4] ხუფი, სარქველი. ფოლორცი,
[5] მეძავი, კახპა, სახელგატეხილი, ნაძრახი ქალი
[6] გრძელყელიანი სპილენძისტარიანი კოკა.
[7] დაახლოებით 1 ლიტრი

ვერ მოვითმენთ მშრომელ კაცის ასე გასილაქებას,
მეთულუხჩის საამქვეყნოდ დაცინვას და აგდებას.
დამიჯერეთ, არ მიმუხთლებს გონება და გუმანი,
სხვისთვის კოკა შაური ღირს, ნუცასთვის კი თუმანი.

აბანოში არ გახეხონ, არც ფულით და არც ისე,
მეთულუხჩის გვერდით დადგეს ყველა ნაღდი მექისე.
ჰოდა, ერთხმად განაცხადა დოსტ–ამქარმა დასტური,
იქვე დადეს პირობა და შესვეს ალადასტური.

ამ ამბიდან ერთი კვირაც ჯერ გასული არ იყო,
როცა ამქრის კარს მოადგა ნავთლუღელი ანიკო.
სინანული შემოთვალა, ნუცამ მისი პროშებით[1],
ნუ ჩამაგდებთ ზინტლის ზღვაში, ნუ დამტოვებთ გროშებით...

თქვენს გოგიას პაემანზე ხვალე თუ სურს მიხილოს,
ძღვენად ველი გეჯაიათანს[2] და ერთ კონა ღიღილოს.
ნუ ჩაიცმევს, ოღონდ, ბრასტს[3] და ხელი გაჰყოს ახალუხს,
ნუ მოჰყვება, ოღონდ, ტრაბახს და სიტყვების რახარუხს.

ვინძლო, გული მეც გამილღვეს, მეც ხომ სითბო მწადია,
რაც ქვრივი ვარ, აგერ უკვე, სამი წელიწადია.
ნუ შეგაკრთობს მეთულუხჩევ, ნურც წვიმა და ნურც ქარი,
როცა გვერდით ძმურად გიდგას ტფილისური ამქარი!

ჰოდა, იმ დღით ნუცას გული გოგიმ მოაზარნიშა[4],
მანაც, ბრუსოს[5] ბაირაღით, სიყვარული ანიშნა.
სიყვარულში გაილია ზაფხული და ზამთარი,
ასე დუღდა და ცხოვრობდა ტფილისური ამქარი.

17.12.2019 წ.

---

[1] ტუჩები, ლაშები.
[2] აბაზიანი ბილეთი აბანოში ღამის სათევად (ჩვეულებრივი 10 კაპიკი იყო).
[3] კონკი, ძონძი.
[4] მოამინანქრა
[5] ხაოიანი აბრეშუმი.

ბეღურა

სხვაზე ნაკლებად ჭიკჭიკებს?
ანდა ნაკლებად ფრენს?
სხვაზე ნაკლებად ნავარდობს?
მოხდენით ვერ შლის ფრთებს?

მაშ რისთვის ავითვალწუნეთ,
და რისთვის ვესვრით ქვებს?
საკუთარს რომ ვერ ვაფასებთ,
და ძეგლებს ვუდგამთ სხვებს.

ვინ არის მისებრ ერთგული?
ურცხვად რომ ვუყრით ხმებს,
განა ოდესმე დატოვებს
მშობლიურ სანახებს?!

განა სხვასავით გაიკვლევს
თბილ ქვეყნებისკენ გზებს,
ზამთრის სუსხსა და ყინვაშიც
მშობლიურ ცაში ფრენს.

ზიზილპიპილო არ მოსავს,
ვერც გალობს და ვერც სტვენს,
ჟღურტულჭიკჭიკით, მითხარით,
განა თუ ვინმეს ვნებს?

პირველი ის ეგებება
ნახნავნათესის მტრებს,
გუნდებად ებრძვის ბუზკოღოს,
კალიასა და სხვებს.

სამშობლოს სიყვარულისთვის
არ დაიშურებს ფრთებს,
ჩუმად აკეთებს თავისას,
არც არას ითხოვს მეტს...

პირველობისთვის არ ებრძვის
თვისტომთ და მეგობრებს,
ჭეშმარიტ მამულიშვილებს
ასე სჩვევიათ ბევრს.

ნუ შეადარებთ იადონს,
ბულბულს, მერცხალს და მტრედს,
ბეღურაა და ბეღურობს
ნურც ნურვინ მოსთხოვთ მეტს.

აქ დაიბადა, აქ კვდება,
აქ ეგუება ხვედრს,
იფრინე ლაღად, ძმობილო,
ნურვის მოუხრი ქედს!

ბუნება

მხოლოდ შენ იცი, რა როგორ დახატო,
რას რა შეუხამო, არიო ფერები,
სამყარო მოქარგო, ან გააშავთეთრო,
არც ფუნჯი გჭირდება, არც მარჯვე ხელები.

ხატავ გამუდმებით სხვადასხვა პეიზაჟს,
არც ერთი შენი ტილო, არა ჰგავს მეორეს,
მაგ შენს ფერთა გამას სულ სხვა სული უდგას
 ვერც ერთი მოკვდავი ვერ გაიმეორებს.

შენთან ყველა ნიჭი უსუსურად მოჩანს,
და სულ სხვაგვარია შენი სიმფონია,
შენი ბობოქრობაც ისე ლამაზია,
ზუსტად რომ გადმოსცეს ვინმემ, არ მგონია.

შენი სამფლობელო ღიაა ყველასთვის
და შენი წესები არავის ამონებს,
უბადლო შემოქმედს, მე შენ ქედს მოგიდრეკ,
უსიტყვოდ დავნებდები ბუნების კანონებს.

გადავიღალე

თითქოს არაფერს წარმოვადგენ, საოცარია,
მაშ რისთვის მერგო, ამდენი სევდადარდის ატანა?
ერთი მოკვდავის სულისათვის რატომ იბრძვიან,
ამ ერთ სხეულში ცალკე ღმერთი, ცალკესატანა?!

რაში ვჭირდები ან ერთს და ან თუნდაც მეორეს?
თავისუფლების არჩევანმა აზრი არია,
ეს ჩემი სული ასპარეზად რად გაუხდიათ?
არარაობის გამო ბრძოლა? საოცარია.

განა რა ღირსი შევიქენი ამ ყურადღების,
ორი უკვდავი, ერთი მოკვდავის სხეულში სახლობს,
ერთი სხივსა მფენს და როს წელში გავიმართები,
მეორე ბიძგით ისევ გაუვალ ჭაობში მაფლობს.

ნეტავ სადამდე გაგრძელდება ეს ორთაბრძოლა?
უკვე რამდენჯერ შეგნებულად მხარი ვიცვალე,
მინდა ვიყვირო, გესმით, უკვდავნო! გადავიღალე,
მაშ დამდეთ მსჯავრი, მე სიცოცხლეში გარდავიცვალე.

გამომიგონე

გამომიგონე, თუკი არ გყავარ
გაინავარდე ფანტაზიის ჭრელ ტრამალებში,
წარმომისახე, იდეალად გამოძერწილი,
ისევ აგენთოს ნაპერწკალი ჩამქრალ თვალებში.

ნუ მელოდები, მე შენთან ვარ, მიმოიხედე
ხედავ? სინათლის ციალს სულში? ნუთუ ვერ ამჩნევ,
და, თუ ჩავქრები, ჩაიხედავ ერთ დღეს სარკეში
და უჩემობას დაღლილ შუბლზე მყისვე შეამჩნევ.

ნუ დამიძახებ, მე ხომ მესმის ისედაც შენი
და ნუ დამტუქსავ, თუ მცირეოდენს დავიგვიანებ,
მე რომანტიკა დამარქვეს და ასე მჩვევია,
ვარ, არ გასვენებ და, თუკი წავალ, შენვე ინანებ.

წინათგრძნობა

სული დაჩრჩილული ყრია აქანდაზზე,
წიგნში სანიშნებად – წამლის ფირფიტები,
მტვერი დასდებია ყველა მოგონებას
და შენც, მონატრებავ, ვგრძნობ, რომ იფიტები.

სანთლის ნაღვენთები შანდლებს შეხმობია,
ზინზლით გასიპულან სარკმლის დარაბები,
ჭაღზე მარტოობას არწევს აბლაბუდა,
მხოლოდ კალენდარი მიმზერს დანანებით.

სუფრა ამომწვარი – სიგარეტის ფერფლით,
ლაქებს, ცოდვებივით, თითქოს მორცხვად მალავს,
მხრებზე მოგდებული „პლედი“ დაკონკილი,
სულს თუ ვეღარ ათბობს, ხორცს ხომ მაინც მალავს.

მაგიდაზე ყრია ფურცლის ნაგლეჯები
და ძველ გაზეთებზე პურის ნამცეცები,
ყელზე კონწიალობს პენსნე ჩამომხრჩვალი
და ძველ ყავარჯნებსაც უჩანთ საცეცები.

მხოლოდ სიზმრებს შერჩათ ძალა სასიცოცხლოდ,
მხოლოდ მათ იციან ვინ/რა მენატრება,
ვგონებ მათში დარჩა მხოლოდ სინანული
და ის წინათგრძნობა, თუ რა მელოდება.

18.02.2020 წ.

აღარაფერი შემარჩინეს

აღარაფერი შემარჩინეს სუფთა და წმინდა...
ყველაფერს მისწვდნენ და შეეხნენ ბინძური ხელით,
ყველა იერარქს შეუბღალეს მიტრა და სკიპტრა,
ყველა დაგესლეს და დაკბინეს ასპიტის ენით.

დღეს ბოროტება სიკეთის არსს ქადაგებს ყველგან,
უფლის სახელით გვმოძღვრავს ეშმა ამბიონიდან,
ცილისწამებას დღეს მხილება დაარქვეს ურცხვად
და ბანგის ნისლი დღეს იფრქვევა ლამპიონიდან.

შავი ყორანი დღეს ღუღუნებს თეთრი მტრედივით,
ყველა უწმინდურს დღეს კისერზე ჯვარი ჰკიდია,
ერი და ბერი აიზილა ცოდვის მორევში...
ყველა მეორე მქადაგებელი ცრუ და ფლიდია.

დღეს კუნკულის ქვეშ შეუნიღბავს ლუციფერს რქები,
მე სიმართლისთვის დამსაჯესო–მოთქვამს სატანა,
დღეს მონასტერში შეაღწია ოქროს ცხელებამ,
და ამ ცხელებით სურს ნათელის ბნელში ჩატანა.

ფართოდ განიხვნენ კარიბჭენი ჯოჯოხეთისა,
და მრავლის შუბლი მხეცის დამღით დაიხაზება,
ყველა კარსა აქვს ერთი ჩვევა, ერთი თვისება
და ეს კარიბჭეც, მწამს, ოდესმე ჩაირაზება.

მაგრამ დღეს რა ვქნა, როგორ შევძლო ყოვლის დათმენა,
არც სურვილი მაქვს და არც ძალა მიტევებისთვის,
აღარაფერი შემარჩინეს სუფთა და წმინდა,
არც გული აძლევს სულს უფლებას დამშვიდებისთვის.

07.11.2019 წ.

არასდროს თქვათ – არასოდეს

ნუ ენდობით მზიან ამინდს, უცებ წვიმით შეიცვლება,
შტორმად იქცეს ლივლივა ზღვა ...წამში ესეც შეიძლება,
ნუ ენდობით ქალის ღიმილს ...ზრახვა იქნებ ავი ჰქონდეს...
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

ნუ ენდობით ცისარტელის შვიდფეროვან ილუზიას,
ვერ გაარჩევ ერთურთისგან დღეს კეთილს და ბოროტ ზნიანს.
ნუ ენდობით ლამაზ სიტყვებს, შხამსამსალა ვინძლო ჰქონდეს,
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

თუ საქმით არ დაგიმტკიცათ, არც მეგობრის გწამდეთ სიტყვის,
ხვალე გაგცვლის, როგორც თხას და შენს განდობილს სხვასთან იტყვის.
ნუ ენდობით ნურც გაგონილს ... იქნებ მცდარად ამბავს ფლობდეს,
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

ნუ ენდობით მეფის ქებას ... და ვასალის ფიანდაზებს
ქება რისხვით შეიცვლება და ვასალიც მალავს აზრებს...
ხვალ, ვინ იცის, მეფეს, ვასალს, რა ზრახვა და გეგმა ჰქონდეს?
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

დაზღვეული არვინ არის, დღეს ხომ ყველაფერი ხდება
არც ის იცი, დაიძინებ და ხვალ ნაღდად გათენდება?
გულის ძახილსაც არ ენდოთ, რაგინდ ფიცხი ძგერა ჰქონდეს,
იცით, როდის გაჩერდება? ჰოდა არ თქვათ – არასოდეს.

ხვალის გეგმებს ნუ დააწყობთ... ნურც იმედებს დაიტოვებთ,
ნუ ენდობით საკუთარ ჩრდილს, სიბნელეში ისიც გტოვებთ.
ნიავსაც კი შეუძლია, რომ საშინელ ქარად ქროდეს,
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

ეს შენ არ დაგემართება? ...რა ისეთი ცოდვა გადევს?
ის კი იცი, ხვალ იღბალი რა განსაცდელს მოგიმზადებს?
ნურც ვარსკვლავებს ნუ ენდობით, რაგინდ მძლავრად კიაფობდეს..
ხვალ მოსწყდება... ამიტომაც არასდროს თქვათ არასოდეს.

საკუთარ თავსაც არ ენდოთ...ხვალ რას იზამთ ზუსტად იცით?
ჰოდა მაშინ დაპირებაც არვის მისცეთ გულწრფელ ფიცით,
ვინაიდან ხვალ რა გველის ვერ განვჭვრიტავთ ვერც მას ოდეს,
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

რისიც გწამდათ და გჯეროდათ, თუ აღმოჩნდა ერთ დღეს ყალბი?!
სულში ისე ჩაგაფურთხონ, რომ დაგეხეთ ნდობის თარგი?!
ჰოდა მაშინ არვის ენდოთ... რაც განგებას სურდეს ... მოხდეს
არც თქვენა თქვათ, არც მე ვიტყვი ცხოვრებაში – არასოდეს.

ყველაფერი სადღაც წყდება... ვერ ავცდებით დანაწესებს,
ამიტომაც ჩვენ ვერ შევქმნით...ვერ დავადგენთ ბედის წესებს,
მე ჯერ კაცი არ მინახავს ბედისწერას თავად ფლობდეს,
ამიტომაც ცხოვრებაში არასდროს თქვათ – არასოდეს.

ნდობის გარეშე თუ ვერ ძლებთ, სადმე მუხა შეარჩიეთ,
მოუყევით და გაენდეთ, ყურიც მის ხმას მიაჩვიეთ,
ტყეს გავენდოთ, მთას შევფიცოთ და ბუნების რწმენა გვქონდეს,
მაგრამ ამ ცივ სამყაროში არასდროს ვთქვათ – არასოდეს.

დამაგვიანდა

ამ ჩემი კალმით, თეთრ ფურცელზე შავ ხნულს გავავლებ
აქ ხან მეფე ვარ, ხან დერვიში და ხანაც მონა,
იქნება სჯობდეს, რომ ეს გული სულაც არ მქონდეს,
რა საჭიროა, თუკი არ ძგერს იმ გულის ქონა?

იქნება სჯობდეს, შევიშალო ვიქცე სულელად?
ჩამოვირეცხო ყოველი აზრი, დარდი ყოველი
იქნება სჯობდეს, დავანთხიო სინდისიც ლაფში,
იქნებ სამართალს უსამართლოდ დღემდე მოველი.

იქნებ ვიცხოვრე, ისე, როგორც არა მმართებდა?
იქნებ ღირსების აღქმა ჩემში სხვაგვარი იყო,
იქნებ და სულ სხვას მოელოდა უფალი ჩემგან,
და, თუ კი არა, როცა ვუხმობდი, მაშინ სად იყო?

განა რამდენი განსაცდელი მერგება წილად,
ნუთუ ცოდვებით სული ისე დანაგვიანდა,
მე ეპოქებში ავირიე და გავჩნდი ადრე,
ან იქნებ სულაც მოვლინება დამაგვიანდა?!

იქნებ ამიტომ ვეტრფი წარსულს, ვებრძვი წისქვილებს,
საკუთარ თავსაც ვებრძვი ხშირად, რომ ვთქვა სიმართლე,
იქ, სადაც მწვერვალს მივაღწევდი, ვიტეხავ კისერს,
ჩემთვის წყვდიადი სადაც არის, სხვას აქვს სინათლე.

მე ვერ ავუწყვე დროს ნაბიჯი წარსულში ჩავრჩი,
ყარაჩოხელთა ადათების დავრჩი ტრფიალად,
მე ეპოქებში დავიკარგე, მოვედი ადრე,
ან, იქნებ, ჩემმა მოვლინებამ დაიგვიანა.

07.09.10 წ.

დიდი კაცობა

დიდი კაცობა, გადიდკაცებას არ ნიშნავს სულაც,
გადიდკაცებულს, დიდი კაცობა მეტადრე შვენის,
დიდი კაცობით, გადიდკაცებულს, დიდი კაცობა
კი არ აკნინებს, კი არ უხდება, არამედ შველის.

შველის, რომ სახე არ დაკარგოს დიდმა კაცობამ,
გადიდკაცებულს, აიძულებს მადლის გაღებას,
დიდი კაცობით, გადიდკაცებულს, დიდი კაცობა
არ აპატიებს არამი ლუკმის სახლში წაღებას...

ასე რომ, ვისაც ძალა შეგწევთ დიდი კაცობის,
კურთხეულ იყოს ერში თქვენი გადიდკაცება,
მაგრამ ერთია, თუ კი კაცობას გაუჩნდა ბზარი,
მაშინ ვიხილავთ დიდი კაცების გადიდვაცებას.

2016 წ.

ვაზელინი

სულ ერთია, ვინა ხარ...
სპარსი, მავრი, ელინი,
ცხოვრებაში თუკი გაქვს
თხევადი ვაზელინი.

თუკი თავი მუშაობს,
გახსნილია ფორები,
ვაზელინით ბრწყინავენ
გუშინდელი ღორები.

ყველა კარებს გაგიღებს...
პრობლემებიც ნულია,
ვაზელინის გარეშე,
თურმე ყოფნა რთულია.

არავინ შეგეხება,
თუნდაც გქონდეს ცოდვები
შენზე თქმული სიმართლეც
არის თურმე ბოდვები...

მუდამ ცხენზე იქნები,
და არ ივლი ქვეითად,
თუკი სინდისნამუსის
სმენა დაგიქვეითდა,

თუკი, ცოტა ურცხვობაც
ბაგეთაგან აღმოგხდა,
ქვეყნის დამაქცევარი
დღესაც იტყვი, რა მოხდა?

ხელს კი სხვისკენ გაიშვერ,
ენაც მხოლოდ ხორცია,
თავის ფორებიდან კი
ჩქეფს მორიგი პორცია.

უწყვეტობა ვაზელინს
ხდის უებარ მალამოდ,
„ვის გჭირდებით, ბატონო,
და დღეს რომელს გაამოთ?“

როცა ასე იცხოვრებ,
ხარ ნამდვილი „გენია“
აწმყოც შენა გწყალობს და
მომავალიც შენია...

ერთ დროს ჯალათის ხალათს...
მსხვერპლის მანტიას არქმევ,
შენს დაქცეულ ხალხის ხმას
უმალ ბრბოს ხმას დაარქმევ...

საჯაროდ განაცხადებ...
„ არ მრცხვენია წარსულის“
გასაგონად, ხმამაღლა...
ყველა თავზე გასულის.

მერე რა, რომ ნეხვის სუნს
ვერ გიფარავს სუნამო,
მთავარია, ვისაც ჯერს
ვაზელინით უნამო...

შენი საჭიროება...
ყველას ნათლად ანახო,
რომ გუშინდელ პატრონებს
უკანალი ანახო...

შენთვის ჩრდილში იქნები,
სახრავს რა გამოგილევს,
და სულ ერთი იქნება
შენზე ვინ რას ყროყინებს.

ნეხვში გასვრილი ბუზი
ხვალვე თაფლში იცურებს,
გუშინ შენს ცურზე იჯდა?
ხვალ მოძებნის სხვის ცურებს...

სულ მაძღარი იქნება,
სხვის ვარამზე გაზრდილი,
განა მისი ბრალია
ასე არის აღზრდილი.

ასეთი აქვს ბუნება,
არსად არ იძირება,
სულ ნეხვივით ტივტივებს
თუკი არის დინება...

იქით გადაბარგდება,
სადაც ელის ლხინებას,
ურცხვად გეტყვის: „მე რა ვქნა,
ღმერთმა ასე ინება“...

ასე არის, მართალნო...
ამგვართ თუ შეეხებით,
ე მაგ თქვენი სიმართლით
თქვენვე წამოეხევით...

ის კი კვლავ ინებივრებს
ვაზელინის მორევში
მთავარია უწყვეტი
დენა ჰქონდეს ფორებში...

ეს ცხოვრება სიმართლის
შავთეთრ ფერთა გამაა,
ვაზელინი, გახსოვდეთ,
უებარი რამაა!

26.06.2017 წ.

ვერ დავუმთხვიე

დღემდე დავეძებ საკუთარ თავს ... არადა მქონდა,
საკუთარ თავთან მუდმივ ჭიდილში ვიყავი, ჰოდა...
მინდოდა წვიმა, მაშინ, როცა გრიგალი ქროდა,
ვერ დავამთხვიე, ის, რაც მინდოდა, და ის, რაც მქონდა.

მინდოდა სითბო და სწორედ მაშინ ყინავდა თოვდა,
შემეძლო შველა და მაშინ შველას არავინ მთხოვდა,
მქონდა ძალა და სინამდვილეში ეს ძალა მფლობდა,
მქონდა ოქრო და არც არაფრის სურვილი მქონდა.

მაშინ, როდესაც დილის ნამი ბალახზე თრთოდა,
და, როცა სული რომანტიზმის ღრუბლებში ქროდა,
გონება სევდით კვლავ რეალიზმის ჭაობში მფლობდა,
ვერ დავამთხვიე, ის რაც მინდოდა, და ის, რაც მქონდა....

2016 წ.

ვიცი შეგხვდები

მე კი არა და, თავად უფალიც გაასამართლეს,
სიყვარულისთვის, სიყვარულით მქადაგებელს, ვერა გაუგეს
თვალით ხედავნენ, ხმა ესმოდათ და ვერ შეიცნეს
საკუთარ შემქმნელს შექმნილებმა წესი აუგეს...

მე კი არა და, ძესას ღვთისას, თქვენ დასდეთ მსჯავრი,
ჯერ ჯვარზე აცვით ... შეაგებეთ შემდეგ ლახვრები,
თქვენ მე დამინდობთ? გაავებულ ადამის მოდგმავ?
უფალო ღმერთო, რად შეგვქმენი აგრე ახვრები...

მტერს ჰყვარობდეთო, რომ მოძღვრავდი, ნეტავი რისთვის?!
ჩვენ ხომ მოყვასის სიყვარულშიც ვყოფილვართ მრუდე,
მიმტევებლობას კი არა და ... თავად სიყვარულს,
ხელი ვკარით და შემოვავლეთ შიშისგან ზღუდე.

ასეთები ვართ და შენც გიდევს ამაში ბრალი,
ევოლუცია განიცადეს ხატად შექმნილთა,
ადამის მოდგმას ბოღმით, შურით, შიშით გაპოხილს,
ნუღარ შეხედავ, როგორც ერთ დროს საკუთარ შვილთა.

შენ რა გგონია, კიდევ ერთხელ რომც მოგვევლინო,
ვინმე შეგიცნობს? და შენს სიყვარულს ვინმე გაიგებს?
ორჯერ და სამჯერ უფრო სასტიკი დაგხვდება მოდგმა
და ორჯერ სწრაფად გოლგოთისკენ ყველა წაგიღებს.

შენ რა გგონია, წყალს მოგაწვდის ვინმე დაჩოქილს?
ან პალმის რტოებს დაგიფენენ, როგორც მესიას?
არ მოგისმენენ ...არც აქამდე ესმოდათ შენი,
დღეს მოგახლიან: „ჩვენც ვკითხულობთ ასეთ ლექციას“.

უკანასკნელად როცა დაეშვი, რა დაგხვდა მაშინ?
გახსოვს, რამდენი შეგეგება ტაძრად მომავალს?
თითოოროლა თუ დაგხვდება... ესეც საქმეა,
ფარისევლურად შეგავედრებენ თავის მომავალს.

ან რა გული გაქვს ამისთანა, ან რა გაძლება,
ამდენ სიყალბეს როგორ ისმენ, ან როგორ არჩევ?
რით ვერ განრისხდი და დაგვატეხე ზეცა ქუხილად,
გაორებულებს და ცოდვილებს, ნეტა, რას გვაჩვევ?

იქნებ აიღე ხელი ჩვენზე ... დავალთ დინებით,
სადამდე მივალთ, გვაკვირდები ზეცის ტახტიდან,
ნუ გაწბილდები, თუკი ხვალე ღორებს იხილავ,
ერთ დროს შექმნილთგან საკუთარი სახის ხატისგან.

არც ის გეგონოს, უმანკო ვარ და შენ შეგჩივლე
მეც ამ ღორების ნაწილი ვარ, მათი კოლტიდან,
მეც დახარბებით მიმირთვია ცოდვის ნაყოფი
და სხვისთვის სახრე მეც გამითლია ეკლის ტოტიდან.

მეც დამიგმიხარ და წესები დამირღვევია,
მაგრამ უბრალოდ, ჯერაც მყოფნის გამბედაობა
და ვაღიარებ, თუმცა შენი არც მე არ მესმის,
ვერ ამიხსნია შენი მცნებების არსი, რაობა...

არ მეშინია, დრო მოვა და ვიცი, შეგხვდები,
მეც მაქვს კითხვები სიყვარულის მქადაგებელთან,
მეც მაქვს კითხვები ცხოვრებასა და სამართალზე,
და ეს შეხვედრა არ იქნება მაამებელთან...

ვიცი, შეგხვდები, ერთხელ მაინც ვიცი, გიხილავ,
მეც გეტყვი სათქმელს, რომც არ მქონდეს შემდეგ შენდობა,
დროა გამოჩნდე , რომ არ იყოს შემდეგ გვიანი,
და არსებობას სანამ კაცი შენსას ენდობა...

დროა გამოჩნდე ...სანამ ვინმეს კიდევ სჭირდები,
სანამ ჯერ კიდევ შენს ხატებთან იწვის სანთელი,
სანამ ჯერ კიდევ გადარჩენა ამ მოდგმის ძალგიძს,
სანამდე წყვდიადს სულ შთაუნთქავს სულის ნათელი...

ჩემთვის არა გთხოვ, მე ხომ უკვე დამედო მსჯავრი,
მე კი არა და ... შენც, უფალო, გაგასამართლეს,
ჩემს ბოლო სიტყვას მაშინ გეტყვი, როცა შეგხვდები,
ჩემს ბოლო კითხვას შენ დაგისვამ...ჩემს მოსამართლეს.

09.01.2017 წ.

არაფერია მარადიული

ამ ქვეყანაზე არაფერია მარადიული...
თავად ღმერთებიც ემხობოდნენ დროთა დინებით,
ვინმეს ეგონა დაემხობოდა ერთ დღეს ოლიმპი?
ანდა ოდინი დამარცხდებოდა თავის შვილებით?

ვინმეს ეგონა მოექცეოდა ჩრდილში ამონ–რა?
ვინმეს ეგონა დაიმსხვრეოდა, თუნდაც, ზადენი?
რამდენი ღმერთი შეისრუტა უსასრულობამ,
ნახევრად ღმერთი და ანგელოზი კიდევ რამდენი...

ამ ქვეყანაზე არაფერია მარადიული...
ადამიანებს ძალუძთ ყოვლის ირგვლივ დამხობა,
ვერც ერთი გრძნობა ვერ იცოხლებს მგრძნობელზე დიდხანს,
არც ერთი ღმერთი თქვენ არ მოგცემთ ამის თანხმობას.

და, როცა ყველა თავის ღმერთს თხზავს,თავის სიმართლეს,
მე მხოლოდ ერთი ვაღიარე – საღვთო გენია,
მე მხოლოდ ერთის რიდი შემრჩა და მოკრძალება,
სინდისი ჰქვია – მისი თან მწამს, თან მეშინია.

მე მხოლოდ ამ ღმერთს დავატარებ ჩემში ჯერ კიდევ,
მისი დაკარგვის კვლავ შიში მაქვს და ეს მრცხვენია,
დიახ შიში მაქვს, არ დაემხოს ერთ დღეს სხვებივით,
რადგან ჩემ ირგვლივ მარადიული არაფერია.

მარადიული შეუქმნიათ მხოლოდ სიკვდილი,
მისი კალთები მოელიან დიდსა და მცირეს,
ნუ იწუწუნებთ, თუ კი გრძნობებს გაუვათ ყავლი
და ნუღარ ჩივით თანაგრძნობის ირგვლივ სიმწირეს.

მე კი არა და თავად ღმერთებიც გარდაიცვალნენ,
ყველა დაემხო, ვინც წოდებულა ოდესმე კერპად,
ადამიანი მარტო მოდის ცოდვილ მიწაზე
და ამ სამყაროს ტოვებს ცოდვილი, ასევე კენტად.

არა ღირს გლოვა დაკარგულზე ან დასაკრგზე,
თავად სიცოხლეც დასაკარგთა არის ნუსხაში,
დატკბით ყოველი წამით, წუთით, რაც დაგრჩენიათ
მაგრად ჩაბღუჯეთ ბედნიერება მკერდთან მუჭაში.

რადგან ემხობა ყოველივე, წარიხოცება,
რადგან ყოველი მარადიულიც დროებითია,
მხოლოდ სიკვდილი რადგან მეფობს მარადიულად,
სხვა ყველაფერი, დამერწმუნეთ, მხოლოდ მითია.

17.09.2019 წ.

ლიმნის ყვავილობა

ვის გინახავთ იანვარში ლიმნის ყვავილობა?
ვის გხვდათ წილად ამ ზღაპარის საოცრებით ტკბობა?
თუ როგორ შლის ზამთრის სუსხში ვუალსა და ფატას,
თითქოს ფიფქებს ყვავილებად გამიზნულად ხატავს.

როგორ ებრძვის მიძინების და ბუნების წესებს,
თითქოს ურჩი ამორძალი, ხიფათს განგებ ეძებს,
როგორ ცდილობს საკუთარი ბედისწერის ფლობას,
როგორ შვენის და იფერებს კეკლუც პატარძლობას.

თითქოს სამყაროს ჯინაზე აფეთქდა და ხარობს,
თითქოს ცდილობს დამტკიცებას, რომ არაფერს ნანობს
და, რომ მასთან ზამთრის სუსხი უშედეგოდ წვალობს,
იანვარში, მზეც კი თითქოს, მხოლოდ მისთვის დარობს.

ასე სწამს და ასე სჯერა, სხვა რამ არ ჰგონია,
თითქოს მისთვის მოუწყვია ვნებას აგონია
და გულისთქმას ისიც თითქოს განგებ აჰყოლია,
მაცდურ სითბოს ხვევნა–კოცნას უტყვად დაჰყოლია.

ეს მეორედ შევესწარი ამ იანვრის თვეში,
თუ სიცოცხლე როგორ ებრძვის კანონს ლიმნის ხეში
და სურნელი, საოცარი, ჟრუანტელად მივლის,
იანვარში ჩემს ოთახში აყვავებულ ლიმნის.

12.01.2020 წ.

მეეზოვე

ეჰ, მეეზოვეე, მხოლოდ შენ იცი,
როგორ ეძინა რიჟრაჟზე ქალაქს...
და შენი ცოცხი ასუფთავებდა
ღამის ცოდვათგან ამ წმინდა ალაგს.

ჰო, მეეზოვეე, მაგრად მოუსვი,
ააშრიალე ფოთოლთა გროვა
და ყვითელ ფოთლებს თან გაატანე
წუხანდელ ღამის ცრემლი და გლოვა...

რადგანაც თავი სურთ, რომ იხილონ,
სუფთა, რომელიც წუხანდელს არ ჰგავს,
მხოლოდ შენ ხედავ, მხოლოდ შენ ამჩნევ
ადამიანში დაგროვილ ნაგავს...

ჰო, მეეზოვეე, შენ მეც მჭირდები,
მინდა ეს სული ისე გახვეტო,
რომ ხვალე დილით ყველა დარდისგან
თავისუფალი გამოვეხეტო.

ჰოდა, კვლავ მინდა, ისე ვით უწინ ...
სინდისის სუფთა სამოსი მეცვეს,
არ დამიღამდეს, ისეთი ცოდვით,
სინანულისგან დილით, რომ შემრცხვეს...

21.08.2019 წ.

თბილისი „სითი”

ყარაჩოხელთა ნაშიერნო, ხართ კიდევ სადმე?
მაშ, წინაპართა ფაფახები მოძებნეთ სხვენში,
ვერცხლის ქამრებზე ბაირაღი გამოინასკვეთ,
ჩოხის კალთები აკეცეთ და გასწორდით მხრებში.

განთიადისას, თუკი ვინმე სადმე შემორჩით,
რიყეზე გელით, რომ ბოლოჯერ გაცოცხლდეს მითი,
მეტეხის ხიდზე ამ ჩვენს ქალაქს ავუგოთ წესი,
რამეთუ ხვალე გაიღვიძებს თბილისი „სითი”.

რამეთუ ხვალე, წარბამოქნილ კოხტა ბიჭები,
მაღალქუსლიან ფეხსაცმელით ატეხენ როკვას,
რამეთუ ხვალე, ეს ქალაქი საკუთარ ნებით,
ბოლომდე შესვამს ფრუჭერებით სოდომის ცოდვას.

რამეთუ ხვალე გაიღვიძებს მხოლოდ აჩრდილი
და შუშის ხიდი მეტეხის ხიდს დაუწყებს მტრობას,
რამეთუ ხვალე გათენდება ბოლო აისი,
და ამ ქალაქში ტრადიცია დაიწყებს კვდომას.

ყარაჩოხელთა ნაშიერნო, შემორჩით სადმე?
უკანასკნელად დაამშვენეთ შავი ჩოხებით,
თქვენი ქალაქის, შესანდობარს გაწვდით ფიალით,
რას ვიფიქრებდი, რომ უბრძოლველად დაიჩოქებდით.

სუფრა გაშალეთ, ისე, როგორც, უწინდებურად:
ცოტა მწვანილი, ცოტაც ყველი და თუნგით ღვინო,
თუ რამ მოგრჩებათ, როგორც სახელი, მტკვარს გაატანეთ,
მაგრამ იცოდეთ, რომ დღეს არავინ წაიღიღინოს.

დუმილით შეხვდით მარცხს, საკუთარ უსუსურობის
დუმილის გამო შემოგენგრათ ქალაქი მითი,
ყარაჩოხელნო, დაამსხვრიეთ ყველა ფიალა,
ხვალ ფრუჭერებით იბადება თბილისი „სითი“.

თილისმა

ყველა თილისმას ეძებს თავისას,
ამბობენ ქვები გვიცავს,
ზოგი აღმერთებს თურმე მთვარის ქვას,
ზოგიც ზურმუხტლალს ფიცავს...

ზოგის თირკმელებს შველის აგატი,
ზოგის ელენთას – ქარვა,
ავი თვალისგან გიცავთ გიშერი,
თუ არ გივარგათ კარმა.

ზოგის ქვა, თურმე ჟადეიტია,
ზოგიც ეშმაკობს მუდამ,
მთის ბროლს ურჩევენ, მას კი ჯიუტად
კვლავ ბრილიანტი უნდა.

თუ სიყვარულში არ გაგიმართლათ,
ფირუზს ძალუძსო შველა,
დაიკიდეთ და თქვენს ფეხქვეშ ნახავთ,
როგორ დაემხოს ყველა.

იქნებ ნეფრიტი ან სერდოლიკი?
ციტრინს არა აქვს ფასი,
თუკი შეიძენთ ბედნიერების
სავსე გექნებათ თასი.

იცით, ბარაქას რა აორმაგებს?
მილიონების შოვნას
შესძლებთ უთუოდ, თუ მოახერხებთ
ავანტურინის პოვნას...

კიდევ რამდენი კენჭი საღდება
ყველას ვერ მოთვლის ენა,
ქვას ენდობიან და შრომის ნაცვლად
აქვთ ამ ქვაღორღის რწმენა.

ამგვარ რჩევებით დიდი, პატარა
ყველა ქვას ეძებს თვისას,
თუკი კისერზე დაიკიდებენ,
სწამთ, მიაღწევენ მიზანს.

თეთრ ოპალს ეძებთ? ან იქნებ ნეფრიტს?
ზოგი ქრიზოპრაზს მტენის,
ჩემი ქვა, ვიცი, მარმარილოა
და ისიც შავი ფერის.

დიდს და პატარას, ჯანმრთელს და სნეულს
იგი თანაბრად შვენის,
ვიცი, რომ სადღაც გამოთლილია,
მხოლოდ წარწერას ელის.

ვისაც კვლავ გჯერათ, ფერად კენჭების,
თქვენზე სულ სხვა ქვა ზრუნავს,
ტვინნაკლულობას მხოლოდ გრანიტი
და მარმარილო კურნავს...

05. 07.2017 წ.

თქვენ რა გგონიათ

ღამის სიდინჯე, სევდანარევი,
მე მირჩევნია კაშკაშა მზესაც,
თქვენ რა გგონიათ, რომ გავიზარდე?
მე მთვარის შუქზე ვოცნებობ დღესაც.

ვოცნებობ, დადგეს ის დრო და ჟამი,
როს საკეთებელს დაიტევს ფიქრი,
თქვენ რა გგონიათ, რომ გავიზარდე?
არა, მე ისევ ფიქრებში მივქრი...

ვფიქრობ, ხვალინდელ დღის დასასრულზე
ვფიქრობ, საიდან დაბერავს ქარი
ვფიქრობ და ვამჩნევ, ასაკთან ერთად,
ჩემს ოცნებებსაც უჩნდებათ ბზარი.

თქვენ რა გგონიათ, ავიღე ხელი?
თუმცა ეჭვები ღრღნიან ჩემს გეგმებს,
ფიქრის შტორმები უმტვრევენ ანძებს,
ჩემი მომავლის ოცნების გემებს ...

თქვენ რა გგონიათ. რომ აღარ ძალმიძს?
მე მზად ვარ სიყრმეს კვლავ ხარკი მივცე,
თქვენ რა გგონიათ, რომ გავიზარდე?
და ფანტაზიას არ ჰყოფნის სივრცე?

თქვენ რა გგონიათ, რომ სული ჩემი
ამ რეალობამ გარიყა გაღმა?
არამც და არამც, ტრიოლეტივით
კვლავ დავყიალებ აღმა და წაღმა...

მე კვლავ ვოცნებობ, ბავშვობა ჩემში
ჯერ არ მომკვდარა და ჯერაც სუნთქავს
და ეს ოცნება ბავშვური ჟინით
მე მხდის უძლეველს და მე მხდის უკვდავს.

თქვენ რა გგონიათ, რომ აღარ მჯერა?
რომ ოცნებები აღარ ხდებიან?
მე მჯერა, მტკიცედ სანამ ოცნებობთ,
თქვენი სულებიც არ წახდებიან.

ინანებ რაც გითქვამს...

ერთხელაც მოიხედავ, იქ აღარ ვიქნები,
მომძებნი, ვერ მიპოვი და სახტად დარჩები,
ვერ ჩამეხუტები და ვერ შემეხები,
თუმც მოგონებებში და გულში ჩაგრჩები.

ჩაგრჩები მალულად, იქ სადღაც სიღმეში,
ჩაგრჩები ჭრილობად და ყოველ შენს სიტყვას
რამაც კი ოდესღაც მე გული მატკინა,
ინანებ, რაც გითქვამს და რაც ჯერ არ გითქვამს...

უჩემოდ მზეც ამოვა, ნიავიც იქროლებს
კვლავაც გაიცინებ, კვლავაც გალაღდები,
მაგრამ, როგორც ჩემში, ერთ დროს იდედოფლე
ისე ვერავისთვის ვეღარ ამაღლდები ...

გაყინულ ხელებზე ვინ მოგელამუნება?
ვინ გაგემასხრება და აგაღლიცინებს?
ჩემსავით ვინ დაიკრავს მკერდზე შენს ხელებს და
შენს გაწიწმატებაზე ნეტავ ვინ იცინებს?

დრო მოვა, გამოგხედავ კედლის სურათიდან
ვეცდები, იქიდანაც ვიყურო ღიმილით,
როცა დავინახავ ბებოს შვილიშვილი,
როგორ არ ასვენებს კვლავ ჟივილხივილით.

და, როცა გადაშლი, ალბომებს გაცრეცილს,
როცა გადაავლებ თვალს ლექსთა სტრიქონებს,
მიხვდები, რომ ვცოცხლობ და ჯერაც შენთან ვარ,
და მოგონებებიც კვლავ გადაგიქროლებს.

მე ვცოცხლობ მალულად, იქ სადღაც სიღრმეში
ვიფეთქებ ჭრილობად და ყოველ შენს სიტყვას,
რამაც კი ოდესღაც მე გული მატკინა,
ინანებ, რაც გითქვამს და რაც ჯერ არ გითქვამს...

12.01.2017 წ.

შინაბერა

ეგ შენი თოლები იმ თოლებს კვლავ ეძებს,
იქნებდა იმასაც ეწადა, ენახა...
დღეს თუ ხარ წალამი აჩეხილ–ასხლული,
გუშინ შენც ხარობდი გაფოთლილ ვენახად.

წლები არც შენ გინდობს, დაგატყო ღარები
და მოგონებების სევდაში გაცხოვრებს...
ეჰ, რარიგ გშვენოდა წელამდე ნაწნავი,
ახლა კი მიჰვები ფიქრების საძოვრებს...

მაისის თოვლივით რა უცებ ჩამოდნი,
აპრილის ყინვებმა კვირტები მოგიწვა,
,,კაი ყმას“ სწუნობდი და ახლა მის ნაცვლად
ვხედავ, რომ ქვეშაგში სიბერე მოგიწვა.

მაგ ჭროღა თოლებმა რამდენი მოწამლა,
ვინ იცის, რამდენი გაუშვი სნეული,
ნეტავი ამ ქვეყნად აგრე ვინ დაგწყევლა,
რომ ცალსიყვარულად დაბერდი ეული.

იგონებ სიყრმეს და თოლები წყლიანი
თითქოს ირეკლავენ ნისლიან მაყრიონს,
შენს ნაცვლად სხვა მიჰყავთ მზითევის მარხილით
და თეთრი ჩოხაც სხვას შეიყვანს საყდრიონს...

სულ სხვისი სურვილი გკლავდა და გწყუროდა,
სხვის ქმარზე ჩაიკალ უთქმელი წადილი,
ეგ ვერცხლის ქამარიც, ბალთებად ნაკეცი,
დაძველდა, როგორც ის ნაქარგი მანდილი.

დღეს შენი თოლები მის თოლებს კვლავ ეძებს,
ამ ღამით, ვით უწინ, გეწადა, გენახა,
და თუნდაც აჩეხილ– ასხლული წალამი,
კვლავ გაიხარებდი გაფოთლილ ვენახად.

27.08.2019 წ.

შხარა

აბა, თქვენ რას მოხვალთ, ალპებო, შხარასთან...
რას მოხვალთ თეთნულდთან, ღუბლებში მალულთან,
გოროზი კლდეების ჭიუხთა სიღრმესთან,
მყინვართან, კლდის ვეფხვის წრიაპით კვალულთან.

აქ დღესაც უშბაში კოშკი დგას მიჯნურის,
ბეშქენის ლოდინი თვალებს სწვავს მირანგულს
აქ დალი დაეძებს ბეთქილს[1], კლდეს მოწყვეტილს,
აქ დღეს ცა შეჰხარის მუხბეთა[2] ჟრიამულს.

აქ დღესაც კვირიკეს ფიცავენ ლალხორში,
ხალდეში კვლავ ისმის კოშკების ზრიალი,
აქ ძმადნაფიცები დაეცნენ მურყვამში[3],
და დღესაც მათ გლოვობს ენგური ღრიალით.

აქ ქორა მახვშების[4] კვლავ თლიან საკურცხილს[5],
აქ მონადირეებს კვლავ ხვდებათ აფსათი[6],
ქიმმერდეს[7] დასდევენ ბალღები ყიჟინით,
ქართული გულით და სვანური თავსართით.

რას მოხვალთ უშგულში მოძახილ ლილესთან,
ვეება დევების ზვავებით თამაშთან,
აბა სად თქვენი, სად, თეთნულდის კალთები,
აბა თქვენ რას მოხვალთ, ალპებო, შხარასთან.

06.01.2020 წ.

---

[1] მონადირე, ქალღმერთ დალის შეყვარებული მითოლოგიაში
[2] ძმა;
[3] სახლი კოშკით;
[4] ოჯახის უფროსი;
[5] ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი სკამი;
[6] ნადირთა და მონადირეთა ღმერთი
[7] ტყის კაცი მითოლოგიაში.

ახალი წელი

ახლა უკვე ახალს, ახალ შემართებით,
მეკვლედ ველოდები, მიზანს სამომავლოს,
ამ ახალმა წელმა, როგორც ჩურჩხელები,
იქნებ იმედებში ისევ ამომავლოს.

ძველი აღარ მინდა, აღარც გულის ფეთქვა,
მსურს, ეს შეგრძნებები წარსულს მივაბარო.
არქივს დარჩეს ძველი, ყველა მოგონება,
რომ მათ ასაკრეფად აღარ დავიხარო.

რადგან ილუზია გზაში გაიფანტა
და თქვენც, იმედებო, ვერც რა აღასრულეთ,
ძველო ოცნებებო, ძველ წელს გაჰყევით და
მომიტევეთ, მაგრამ, მე თქვენ დაგასრულეთ.

ახლა უკვე ახალ მეკვლეს ველოდები,
ახლა უკვე ახალ სიზმრებს დავიბედებ,
ახლა უკვე ახალს ველი ბედისწერას,
ვფიქრობ, ახლა მაინც, რამეს გაიმეტებს.

.

20.12.2019 წ.

ბედობის ღამეს

ბედობის ღამეს დაგიბედებ ახდენილ ნატვრად,
მხოლოდ ერთ სურვილს ჩავიფიქრებ, ერთი რამ მინდა,
ჩემს დანახვაზე ელვად სეროს გრძნობამ თვალები
და შენს ბაგეზე აყვავილდეს სემირამიდა.

რომ მონატრებად დაგებედო ახალწლის ღამეს,
იანვრის ღამე ვარდობისთვედ გექცეს – მაისად
შიშველ ფანტელად ჩამომადნე გახსნილ ბაგეზე,
თოვლის საფარქვეშ აყვავილდე ედელვაისად.

ბედობის ღამეს დამიბედე ახდენილ ნატვრად,
სხვა ოცნებისთვის არ დაუწყო უფალს ვედრება,
და ვით ატლასმა, ცის კიდის ქვეშ შეყუდებულმა,
რომ მხრებით ვზიდო შენი გრძნობა და მონატრება.

ჰოდა, ჩავითქვათ ერთმანეთი ნანატრ სურვილად,
ჭირს წაუღია ყველა მეკვლე წელს და გაისად,
მე მზის სხივივით შემოგადნობ თოვლის საბურველს,
ოღონ შენ ისევ აყვავილდი ედელვაისად.

02.01.2020 წ.

იღბალი

თუკი იღბალი გეწვიათ სტუმრად
და გამართლებას გემო გაუგეთ,
ბედნიერებით ამოისუნთქეთ
და ოცნებებსაც კოშკი აუგეთ.

გაიხანგრძლივეთ მისი სტუმრობა,
გამოიზოგეთ, მისხალმისხალით,
წუთისოფელის სიმუხთლე განა
დიდხანს დაგაცდით? ერთი მითხარით.

როდესაც იტყვით, ბედნიერი ვარ,
ამ ცხოვრებისგან მომეცა შვება,
აღმასვლის კიბე, სულ რაღაც წამში
დაღმა უფსკრულში გადაეშვება...

უბედურება არ დააყოვნებს,
მასაც სურს თქვენი კერის სტუმრობა
ასე ყოფილა მათი განრიგი
და ნუ გგონიათ ვინმეს ხუმრობა.

მოვა და თბილად მოიკალათებს
მასპინძლის ზღურბლზე დაიდებს ბინას,
მანამ ისტუმრებს, სანამ ბოლომდე
არ გამოგძალავთ ხარკსა და ქირას.

ერთიც იცოდეთ, ემზადეთ მისთვის
ნუ დათვლით დღეებს, ნეტავ სადამდის?
თუ კი გეწვიათ, ელოდეთ სხვებსაც
უბედურება მარტო არ დადის.

განსაცდელს თვალი არ აარიდოთ,
არ აზეიმოთ თქვენი დაცემა,
ზურგს ნუ შეაქცევთ, მას ხომ სისხლში აქვს
ზურგიდან ჩუმად ლახვრის ჩაცემა.

შეიარაღდით იმედის ფარით,
ჩასჭიდეთ ხელი ღიმილის მახვილს,
მოზიდეთ მშვილდი მოთმინებისა
რწმენით გაჰყევით ცხოვრების მარხილს.

მოგონებებში იპოვეთ ძალა,
დაცინვით კითხეთ სხვას რას ინებებთ?
თუ მცირედითაც გწამთ მადლი ზეცის,
ლოცვებში ღმერთი გაგაძლიერებთ.

ლექსს არ მიწერო...

ლექსს არ მიწერო, რომ მსყვედურობ,
მერედა, გჯერა ჩემი ლექსების?
გჯერა გრძნობების, რაც შიგ წერია ?
შემოხლართულის, გულზე ფესვების?

და, თუ არ გჯერა, მაშინ რად გინდა?
თუ კი ეჭვები გღრნიან და გჭამენ,
ვის რად სჭირდება ლექსის გუთნები,
თუ არ თესავენ და მხოლოდ ხნავენ.

და თუნდ გეჯეროს... ნეტა რად გინდა,
თუ არ ჩახედავ... რას გეტყვის იგი?
სად გინახია, მტვერში დაგდებულ
არქივს რომ ედგეს მკითხველთა რიგი?

აბა, რად გინდა ასეთი ლექსი...
ასეთი ლექსი... ვის რად არგია,
დღეს დაიწეროს და ხვალე უკვე,
თუკი თაროზე ობლად აგდია...

16.02.2017 წ.

მაშ დაწყებულა...

თუ მლიქვნელობა იფურჩქნება და ჩვენში ღვივის,
არაკაცობას, თუკი ადგას გვირგვინი დაფნის,
ფარისევლობა, თუკი არის ერის მედროშე,
და თუკი შური, ბოღმა, ღვარძლი ამაყად დაქრის...

თუ უნიჭობას თაყვანს სცემენ მუხლმოდრეკილნი,
თუკი შენს კალოს, დღენიადაგ, სულ სხვები ლეწენ,
თუ ანგარება არის მათი იდეოლოგი,
და მეძაობას ქადაგებენ, დღითიდღე ხვეწენ...

უსამართლობა, თუკი არის სუფრის თავკაცი
და მერიქიფე ატრიალებს ცოდვის ფიალებს,
თუკი ზნეობის შარავანდედს თავზე გახევენ
და უზნეობა ჭრელ ბაირაღს აგიფრიალებს...

თუ შემოგემსხვრა სულიერი აბჯარი ტანზე,
შენი ლოცვებიც ვეღარ სწვდება სმენას უფლისას,
თუკი იმედით დანთებული სანთელიც ქრება,
მაშ დაწყებულა დასაწყისი დასასრულისა...

2007 წ.

მე არ ვარ მაგი

მე არ ვარ მაგი, არც სასწაულის მოხდენა ძალმიძს,
მიწისგან შექმნილს, მე მიხმობენ ადამიანად,
თუმც სასწაულად დღეს სიყვარულს თუ ვინმე ჩათვლის,
გრძნობით და ვნებით ავავსებდი მის გულს მთლიანად.

თავზე დაცხრომას არ ვაპირებ, ეგ არ იფიქროთ,
განა რა ყრია, რომ მოვიხიბლო ძალადობაში?
მე თაყვანსა ვცემ მხოლოდ გრძნობას და არა ძალას
მე ვეტრფი ვნებას, აფეთქებულს მხოლოდ გრძნობაში.

ჩემთვის მთავარი არის წამი, რომელშიც ვცხოვრობ,
ბედნიერი ვარ, თუ წამით მაინც ისე ვიცოცხლებ,
რომ ჩემში გრძნობამ გაიმარჯვოს დღეს გონებაზე,
სიცოცხლით იყოს წამით სავსე ჩემი სიცოცხლე.

როგორც მზის სხივი არემარეს, მეც დავღვრი სითბოს,
შენთვის დავწურავ გრძნობის მტევანს, შემსვი ფიალად,
სიცოცხლეს მარქმევ? გადიქცევი ღამეულ მხევლად?
მიენდე გრძნობებს, რომანტიზმის იქეც ტრფიალად.

გენია

ადამიანში არის ასეთი ურცხვი გენია...
მუდამ ის უნდა, რაც სხვისია, არა მისია
და ამ წადილის მცირედითაც არა რცხვენია,
რადგან ვერ ხვდება, ამ ქვეყანაზე რა აქვს მისია.

ადამიანში არის ასეთი ერთი გენია...
სხვისი გრძნობების განკითხვისას თავად ცდებიან,
მას ემყნობიან, ვისაც სხვა აქვს ფესვი და ვარჯი
და შედეგად კი ვერასოდეს ერთხორცდებიან.

ადამიანში არის ასეთი დიდი გენია,
კლავენ სიყვარულს, ჭირისუფალნი მერმე ხდებიან,
ჯერ განდევნიან, უარყოფენ და შერისხავენ
არადა, ის რომ მათი იყო, გვიან ხვდებიან...

ადამიანში არის ერთი ბნელი გენია:
უმადურობით რომ უარყოს ის, რაც მისია ...
ქარის მოტანილს ქარსვე ატანენ დაუფიქრებლად,
მერმე მოთქვამენ, ქარწაღებული როცა სხვისია.

ადამიანში არის ასეთი ნიჭი, გენია:
ადვილად მომკილს თურმე მადლი არა ჰფენია,
ერთ დროს სანუკვარს და ახდენილ უკვე ოცნებას,
წყალს გაატანენ, ისე თითქოს არაფერია.

ადამიანში არის ასეთი რთული გენია:
ქმნა ილუზიის, რომ არ ნანობს და არც სწყენია,
მან ხომ ჯერ კიდევ სამოთხეში დაკარგა ნდობა,
გატეხა სიტყვა და ამ სიტყვის დღემდე რცხვენია..

ადამიანო, ბოროტებისაც მოგჩქეფს გენია...
სხვისი ცრემლებით არაერთხელ მოგილხენია,
ძალგიძს, შესწირო გადამთიელს მოყვასი შენი,
ვისი გულიც და ამოსუნქვაც მხოლოდ შენია.

ადამიანო, სუფევს შენში საღვთო გენიაც
და ბუნებისგან განგესაზღვრა ერთი მისია,
სითბოს სითბოთი უპასუხო, ღიმილს–ღიმილით
და სიყვარულიც გახდეს შენთვის მხოლოდ ნისია...

04.09.2019 წ.

გვირგვინოსანი

მაშინ, როდესაც სამყარო უარწივობას ჩიოდა,
ჟამი მუხთალი სუფევდა, ცხოვრებაც თავქვე დიოდა...
როცა ზეცაში ვერავინ შეკრა ერთობის კამარა,
და ცის ქვეშეთში მცხოვრებნი დარჩნენ იღბალის ამარა.

კარავი დასცეს თათბირად ყვავ–ყორნებმა და ძერათა
კაჭკაჭმა სიტყვა ითხოვა, ჩხავილი იწყო ბგერათა,
მოძმენო, დადგა ჩვენი დრო! არწივი არ გვყავს მხარეში,
გვეყოფა მძორ–ნასუფრალი, დროა დავიწყოთ თარეში.

წინ ვერვინ გადაგვიდგება, რიცხვით ვართ სხვაზე მრავალი
ქორ –შევარდენი მცირეა... გვერდით არც სხვა ჰყავთ მავანი.
სვავნი კი, მოგეხსენებათ, ბუნება მათი ასეა,
ყველა დროებას ჰგუობენ, როცა სტომაქი სავსეა.

ჰოდა, სანამდის ცის კიდეს არ სწვდება მეფის კივილი,
ვერც სხვა გაბედავს ურჩობით ატეხოს ჟივილ–ხივილი...
ყორანს დავადგათ გვირგვინი, გავხადოთ ქვეყნის მმართველი
მისმა ყრანტალმა დე, ამცნოს სამყაროს ჩვენი სათქმელი.

ჩვენ კი ვილხინოთ, ვილაღოთ, ვიყოთ მრჩევლები კარზედა,
კარგი ვსვათ, კარგი ვჭამოთ და კვლავ ვინარნაროთ ცაზედა.
იქვე, შემთხვევით, ამ ამბავს შეესწრო ჩიტი –ნიბლია
მიხვდა, ამბოხის განზრახვა – ძალაუფლების ხიბლია.

ჰოდა, არც დაფიქრებულა, მთებისკენ გაჰკრა კამარა,
ჭყივილით ამცნო ხეობებს ვრჩებითო ყორნის ამარა ...
ქორ–შევარდენნო იფხიზლეთ! ყორანს გასვამენ თავზედო,
შეწყვიტეთ კენტად ირაო და ნუ გადგებით განზედო.

თქვენი ცალ–ცალკე ყოფა და თქვენი ცალ–ცალკე ხმოსნობა
ხვალ გამოიწვევს ბოგანო ყორანის გვირგვინოსნობას.
ქორმა თქვა: ვიცი, ნიბლიავ, მათი განზრახვა ცხადია,
კარგა ხანია მათ ვებრძვი, შენ რომ დღეს შეგიცხადია.

გავწირე თავი, ოჯახი და ჩემი კეთილდღეობა,
მაგრამ მცირედნი გამომყვნენ, მრავალს არ ეყო ზნეობა...
გახსოვს? რა აღარ დამწამეს რა აღარ მომიგონესო,
ზოგმა – ,,ტახტისთვის იბრძვისო და არ იშურებს ღონესო“...

ტალახის სროლა მივიღე ღირსებისათვის ბრძოლისთვის,
არწივობა კი მძიმეა, თუნდაც ძლიერი ქორისთვის.
ვიბრძოლე, როგორც შემეძლო და ჟინი კვლავაც ბრიალებს,
მაგრამ დავმარცხდი და დღემდე მარტო ვიშუშებ იარებს.

გაფრინდი, ჩემო ნიბლია! თხოვნით აფრინე ალალი,
გადაიაროს მთა–ბარი, ზღვები, კლდეები, ტრამალი...
და იქნებ სადმე წააწყდეს არწივთა ბოლო ბუდობას,
ვინც არასოდეს დაუთმობს ყორანს ღირსების ქურდობას.

ამცნე, რომ კვლავაც მზადა ვართ ქორ–შევარდენთა გუნდები,
კვლავაც გვისარდლონ, ვიბრძოლებთ, სანამ არ გადავხუნდებით.
ოღონდ აცნობე ნიბლიავ, ზეცას არ უყვარს ბატონი ...
მეფე იმეფებს, თუ იგი გახდება ყველას პატრონი.

25.06.2019 წ.

დუმილი

მოვა დრო, პასუხად დუმილი მექნება,
დუმილი ყვირილზე ხმამაღლა მგრგვინავი...
და, თუკი სიტყვებმა დღეს ფასი დაკარგა,
დუმილით გახდება ეს გული მგმინავი.

დუმილით შევანგრევ აღმართულ ზღუდეებს,
დუმილით შევხვდები ცხოვრების ღვარცოფებს,
დღეს, როგორც არასდროს, სიტყვები მარისხებს
დღეს, როგორც არასდროს ბგერები მაცოფებს!

და, თუკი სიტყვებით ვერავის ვარწმუნებთ,
სიტყვები სუსხავენ გულსა და გონებას
სიტყვები ძარღვებში სისხლს როცა ამღვრევენ,
მე დუმილისაკენ ავირჩევ სწორებას!

დუმილით შევხვდები ბოდიშს და მადლობას,
დუმილში ჩავკარგავ წყენას და იარებს,
და, თუკი სიტყვებმა კვლავ დაიგვიანა,
ვიცი, რომ დუმილი არ დაიგვიანებს.

დაკარგეს თვისება ამაო სიტყვებმა,
ფიცმაც კი სიტყვებით დაკარგა ხარისხი,
ნუ მკითხავ ნურაფერს, ნუ მეტყვი ,,გაამოს!“
ეგ ღვინო უჩუმრად, დუმილით დამისხი

დუმილით დავლოცავ ჩემ წილად დასალოცს,
დუმილით შევხვდები წყევლას და გინებებს,
სიტყვები დღეს როცა გულ მუცელს წამლავენ
და ვიღაც სიტყვებით სისინსაც ინებებს...

მე მხოლოდ დუმილი მექნება პასუხად,
დუმილი ღრიალზე ხმამაღლა მყვირალი,
დუმილით შევაღებ მე სულის დარაბას,
დუმილით ვიქნები ზეცაში მზირალი!

სიტყვებმა ფასი დღეს იმდენად დაკარგა,
იმდენად დაეცა დღეს სიტყვის ხარისხი,
არ მინდა ბოდიში და აღარც მადლობა...
ეგ ღვინო უჩუმრად ერთხელაც დამისხით.

მადლობა, მეუფეო!

(მეუფე თადეოზს)

მადლობა, მეუფეო, რამეთუ გიცნობდით,
ფიქრსა და ლოცვებში ლექსებით მგალობელს,
სიკეთით ანთებულს, სათნოს და უბრალოს ...
ცოდვილთა იმედს და ბეჩავთა მწყალობელს.

მადლობა, მეუფეო, რამეთუ ვირწმუნე...
არა არს სასირცხვო სტრიქონთა ხლართვაში...
მაგ თქვენი ღიმილით სული, რომ გამითბეთ..
და ერთი ცოდვილი მიმიღეთ კალთაში.

მადლობა, მეუფეო, რამეთუ მიკურთხეთ
ამ აზრთა ჭიდილი სამზეოს ეხილა,
გული მომეცით და შემათამამეთ
ჩამეწნა სიტყვები რითმებში გრეხილად...

ვარდობის თვე იყო, დამლოცეთ უღირსი,
მიკურთხეთ პურ–ღვინო, მიკურთხეთ კერია,
ასეთი დიდი და იმავ დროს მდაბალი...
ცოცხლებში ჯერ კიდევ განა თუ ბევრია.

მადლობა, მეუფეო, ძალა, რომ მომეცით
მეთქვა ის ყოველი, რისი თქმაც მეწადა...
მებრძოლა იმისთვის, რაც მართლად მიმაჩნდა...
და თუნდაც წამეგო, ღირდა, რომ მეცადა...

ასეთი დიდი და ასეთი მდაბალი...
მსახური ქრისტესი და ლექსის მკონავი,
თვალნაპერწკლიანი, პირღიმილიანი,
მეუფე პოეტი, რითმებით მქროლავი.

მეც მერგო პატივი, რამეთუ გიცნობდით
დამრჩებით ზმანებად – ენა ტკბილ ხმოსანი...
ტაძარმა დაკარგა მეუფე – მსახური
და ერსაც აღარ ჰყავს უბადლო მგოსანი.

27.01.2019 წ.

მე სხვისთვის არ ვწერ

მე სხვისთვის არ ვწერ და ეს კალამი
ემსახურება უნიჭო მუზას,
ადრე თუ გვიან ჩემი ხომალდიც,
უძირო ზღვაში ჩაუშვებს ღუზას.
მაგრამ სანამდე ზურგის ქარია,

მინდა გავშალო ცხოვრების აფრა,
მე სიჭაბუკის სრუტე გავცურე
ის ბურუსივით ნელნელა გაქრა.

მე სხვისთვის არ ვწერ და ეს კალამი
არის ჩემივე სულის ტკივილი,
გავა დრო, ალბათ, ვერ გამაღვიძებს
მზის ამოსვლისას მამლის ყივილი.

და, როგორც ყველას, ტრადიციულად
ერთ ჭიქა ღვინოს მეც წამიქცევენ,
განვლილ ცხოვრებას ჭორაობისთვის
ლაყბობის თემად გადაიქცევენ.

მინდა მოვასწრო მეტი და მეტი
კაცის ბუნება ყოფილა ხარბი,
დრო კი თავისთვის მიდის დინებით,
ვერც ხელს ვერ ვუშლი, თავისთვის გარბის.

მე სხვისთვის არ ვწერ და ამ კალამით
ვესაუბრები საკუთარ მუზას,
ადრე თუ გვიან ჩემი ხომალდიც
მეწამულ ზღვაში ჩაუშვებს ღუზას.

09.05.2002 წ.

მეგობარი

დღეს მომინდა მექეიფა ძველებურად,
გადავწყვიტე მეგობრები მეხმო ჩემთან,
გულახდილი საუბარი მომენატრა,
მსურდა ხიდი აღმედგინა ყველაფერთან.

ჰოდა ვუხმე, ყველას ვუხმე, მაგრამ სამი
მხოლოდ სამი, გამოცხდდა მრავალთაგან:
ზოგი უკვე მეგობარი აღარ იყო,
ხოლო ზოგიც მიწვეული დამხვდა სხვაგან.

სუფრას ოთხი მივუსხედით, რაღა გვექნა
მე, ოცნება, იმედი და თავად რწმენა
დავილოცეთ და გავაბით მუსაიფი
შესაშური იყო ჩვენი ყოფალხენა.

შუაღამეს ვერ გაუძლო განსხვავებულს
და ოცნება შემოგვეფშვნა, დავრჩით სამი
გავაცილეთ, მშვიდობით გზა დავულოცეთ
გვერდით მივდგით ცარიელი მისი სკამი...

ცოტა ხანში იმედს სიტყვა აერია
წაბორძიკდა, გადაივლო შავი ღვინო,
მეც წავალო, ამოღერღა ვაივაგლახ
დროა უკვე, იმედმაც რომ დავიძინო.

რაღა გვექნა, გავაცილეთ მეგობარი,
ერთი ერთზე დავრჩით ისევ, მე და რწმენა,
კვლავ შევავსეთ სასმისები, ვადღეგრძელეთ
ბავშვობის გზა და სპეტაკი აღმაფრენა.

სწორედ მაშინ, როცა სხივმა გაიელვა,
ყივილის ხმა სარკმლიდან რომ შემოვარდა,
ფეხზე მდგომმა ჩაიჩოქა დალოცვისას
და რწმენასაც სავსე ყანწი გაუვარდა ...

დაეთხლიშა შავი ღვინო თეთრ სუფრაზე
და შხეფები, თვალიდან რომ მოვიწმინდე,
ვერ დავლანდე, ისე ჩუმად გაპარულა,
სიტყვაც ვერ ვთქვი და ხმაც უცებ ჩავიკმინდე.

გამოვცალე ბოლო ყანწიც გარიჟრაჟზე
და ის იყო უნდა მეთქვა მარტო დავრჩი,
შევიგრძენი, რაღაც მძიმემ დამკრა მხარზე,
ხმა ჩამესმა დამისხიო მეღა დაგრჩი.

შემოვბუნდი, მიღიმოდა მოთმინება
გაწვდილ ხელზე მაგრად დამკრა კვლავ მარჯვენა,
ნუ მისტირი გაქცეულ ძმებს ... არ ღირს დარდად,
ახლა მხოლოდ მე ძალმიძსო გადარჩენა.

აქ ვიყავი, არ მსურდაო გამოჩენა,
როცა შენით ის ოცნება თამაშობდა,
მერიქიფედ იმედი რომ გაიხადე,
როცა რწმენა გაშლილ სუფრას თამადობდა,

მე რა მეთქვა ... მომისმენდა განა ვინმე?
მაგრამ მოველ, როცა ყველამ მიგატოვა
დამისხიო შემახსენა ... მეც დაგლოცავ
ჩემთან ერთად გაზაფხული ისევ მოვა.

ჩევეჭიდე, არ გავუშვი უკვე ხელი
ასეთია, ალბათ, ჩემზე, უფლის ნება
დღეს დავდივართ მხოლოდ ორი მეგობარი,
ორნი დავრჩით, მე და ჩემი მოთმინება...

25.02.2017 წ.

მერი

მორიგი გაზაფხული, იღვიძებს ბუნება
მზის სხივი ეფინება, ნაცრისფერ ქუჩებს,
ქუჩაში ყავარჯნით მიდის მოხუცი,
ღიმილი დასთამაშებს დაჭმუჭნულ ტუჩებს.

თვალწინ წარმოუდგა განვლილი ცხოვრება,
განვლილი სიჭაბუკე, ხანა აღმაფრენის,
კურცხალი აუგორდა, ცრემლი მოერია,
იგი მარტოა და მას არავინ ელის.

სამოცდათხუთმეტი წელი ავბედითი
ასე უმოწყალოდ, გუშინ შეუსრულდა,
დღითი დღე აახლოებს მიჯნას იმქვეყნიურს,
ერთი ოცნება კი მას არ აუსრულდა...

მაშინ ის, ჯერ კიდე, სულ მთლად ახალგაზრდა
ამ ქუჩაზე მოხვდა ბედის უნებურად,
მისებრ ახალგაზრდა გოგოს შეეჩეხა,
გული აუძგერდა ისე უცნაურად...

ვერა მოახერხა, იდგა, შეჰყურებდა,
როგორ მიცურავდა ქალის სილუეტი,
ვერც სახელი ჰკითხა, ისე დააბნია
ქალის სილამაზემ თავს დაასხა რეტი.

მას შემდეგ იგი, ყოველ გაზაფხულზე
მარტის პირველ რიცხვში ამ ქუჩაზე მოდის,
უკვე საუკუნის ნახევარმა განვლო, რაც ის
თავს მთლიანად, მსხვერპლად სწირავს ლოდინს

ასე უსახელოდ იგი შეუყვარდა,
ასე უსახელოდ მიდის ამ ქვეყნიდან,
სუნთქვა გაუჩერდა, გული შეუღონდა
ქალის სილუეტი მოჩანს ფანჯრებიდან...

ქვაფენილს ენარცხება სასოწარკვეთილი,
წამი გაუშეშდა, ექცა საუკუნედ,
ქალის კივილი კი ისმის ფანჯრებიდან,
ხალხო მიეხმარეთ! წყალი მიაპკურეთ.

სახელი თქვენი? აღმოხდა მომაკვდავს
დაჭმუჭნულ ბაგეებს ღიმილი დაეფინა
ჩემი? ჩასჩურჩულა, მერი, გენაცვალე,
და ჩამქრალ თვალებში სხივი მოეფინა.

დიდება, უფალო, ჩუმად ბუტბუტებდა
მალევე გაეცალა სული წამებული,
ქალი დასტიროდა, ვის კი არ იცოდა,
ასე უკუღმართი იყო სიყვარული.

მითი

არაგვზე ნისლი ჩამოწვა
აბღავლდა თეთრი ხარიო,
ხეობას ამცნო ამბავი,
ყველასთვის გასახარიო
ღვთისშვილთა შეკრეს ლაშქარი,
ზანზარებს მთა და ბარიო,
წინ უძღვის წმინდა გიორგი
ზურგს იცავს იახსარიო.
მარჯვნივ კოპალა ლახტსა სცემს,
მარცხნივ გუდანის ყმანიო
ერთიანად სურთ გაწმინდონ
 ეს ჩვენი მიწა წყალიო,
თქვენც ქუდზე კაცი გამოდით,
წელზე შაიბით ხმალიო,
ღმერთი მაღალი ახსენეთ
გფარავდეთ მისი ჯვარიო.
ჭინკებს და დევებს შეება
ეს კურთხეული ჯარიო,
იჩქარეთ, ლაშარის ყმანო,
გამოიჩინეთ თავიო!
შუაფხოს ზარი ჩამოკრეს,
დამდგარა ჩვენი ჟამიო,
ლომისას მაცნე აფრინეთ
მათაც აქვთ ქვეყნის ვალიო,
თუშები მგლურით მოდიან,
კლდე აქვთ სავალი სალიო,
გაშლილი დროშით მოუძღვით
გაფრინდაულთა გვარიო.
მოხევეთ შეკრეს ხეობა,
რომ არ დაუსხლტეთ ავიო,

გაცოფდნენ არაგველები:
ვის გავუსწოროთ თვალიო,
კლდე ჭიუხებით ვიაროთ,
არც ვინ ვართ პატარძალიო.
სთქვეს და დაეშვნენ ზვავივით,
როგორც ხეობის ქარიო
მათ შემხედვარეს ავსულებს
გულში გაუჩნდათ ბზარიო,
აივსო მათი ძვალხორცით
ცალკე მთა, ცალკე ბარიო,
კოპალას გატყორცნილ დევის
ახლაც დგას ნაგუბარიო.
ერთიან ლაშქრის ცქერითა
ვერა ძღებოდა თვალიო,
სანამ მთა მთაობს, ქართველნო,
ნურც რა გაქთ საწუხარიო,
გამართეს დიდი დღეობა,
თამადობს ხევისთავიო,
ფიცვერცხლით შეკრეს პირობა,
ყველამ მხარს მივცეთ მხარიო,
ჯერ კვლავაც ბევრი სისხლი გვაქვს
ქვეყნისთვის დასაღვარიო.
მას მერე არვის უნახავს
არაგვზე თეთრი ხარიო,
ყველას აქვს იმის იმედი,
გაივლის დრო და ხანიო,
ღვთისშვილთა მთავარსარდლობით
კვლავ შაიყრება ჯარიო,
კვლავ დაიბღავლებს არაგვზე
ეს მითიური ხარიო,
ღვთის მადლის გადმოსვლას გვამცნობს
დიდი გერგეთის ზარიო.

ისე გათოვდა...

ისე გათოვდა, თითქოს ბოლოჯერ უნდა ითოვოს,
ზეცამ საკინძის შემოიგლიჯა თითქოს ზონარი,
მკერდგაღეღილმა მიწა შემოსა რძისფერი თოვლით,
ეს მერამდენედ გაადააფარა თავზე ოლარი.

დღეს მერამდენედ მოსწმინდა ცამ მიწას ნამუსი,
დღეს მერამდენედ მოისმინა ზღვის აღსარება,
დღეს ქარიშხალმაც ზეცას სთხოვა თითქოს შენდობა,
და მერამდენედ კვლავ დაიწყო ფერისცვალება.

ისე გათოვდა, ისე ბარდნის, ისე ფანტელობს,
ყველა ცოდვისგან თითქოს სურს, რომ დღესვე განწმინდოს
თითქოს ფიფქებად სურს აქციოს მთელი სამყარო,
შემინდვიაო – თითქოს შეჭირხვლით სურს, რომ დაწეროს.

ჰოდა ითოვე, ჰოდა იბარდნე, ჰოდა იჭირხლე,
რადგანაც შენით სულის უფსკრული ისევ ივსება...
დღეს კიდევ ერთხელ ჩამოწმინდე ცოდვილს ნამუსი
და კიდევ ერთხელ დაუბრუნე მიწას ღირსება.

04.11.2019 წ.

იქ, სადაც დუმან პოეტები

იქ, სადაც დუმან პოეტები, დუმან მწერლები
და ტრიბუნები აუღიათ შტურმით მასხარებს,
სადაც მეხოტბეთ დაუხუნძლავთ სივრცე ეთერის,
მე თუ ვერ ვხვდები, იქნებ ამიხსნათ თქვენ რა გახარებთ?

იქ, სადაც სიტყვას შეუხამეს რითმად სიბილწე
და თავის სათქმელს ასაღებენ ნათქვამად ერის,
იქ, სადაც დუმან პოეტები, დუმან მწერლები
და დღენიადაგ ყველა ახალ მესიას ელის.

იქ, სადაც სიტყვის მიზანია მოხვეჭა ყოვლის,
ძალაუფლების მოსახვეჭად უთრთით ხელები,
ვის მივაწვდინო ჩემი ხმა ან გულის ნადები?
იქ, სადაც დუმან პოეტები, დუმან მწერლები.

და, სანამ კალამს მახვილივით არ იშიშვლებენ,
სანამ ჭაობად პირში წყალი ჩაგუბებულა,
სანამდე დუმან პოეტები, დუმან მწერლები,
და სანამ ერი ღვარცოფად არ ადიდებულა...

მანამდე კითხვა არ დამისვათ, გეყოთ ზნეობა,
გვეშველებაო როდესმე რამე – არც ეს არ მკითხოთ,
იქ, სადაც დუმან პოეტები, დუმან მწერლები,
ერის შეგნება და ღირსება არ მოიკითხოთ!

იქ, სადაც დუმან პოეტები, დუმან მწერლები
და პანთეონში დაკრძალულთა ხმა მეტად ისმის,
იქ, სადაც მკვდარი, ცოცხალსა სჯობს გამბედაობით,
იქ, სადაც მხოლოდ სარფიანი სიტყვა გაისმის.

იქ, სადაც სექტას ვერ დააგდებ შერისხვის შიშით,
სადაც ზღვა გვჯობნის ღელვის შემდგომ
გულდამშვიდებით,
იქ, სადაც ტალღა ვეღარ რიყავს ნაპირზე უღირსს,
ალბათ, ჩვენც მუდამ ვიღელვებთ და ვერ დავმშვიდდებით.

იქ, სადაც აისს ვეგებებით უიმედობით
და, სადაც გულზე დაუკრიფავს ყველას ხელები,
მანამდე ვითხოვთ მოწყალებას ხელგაწვდილები,
სანამდეც დუმან პოეტები, დუმან მწერლები.

მაშინ დაბრუნდით...

მაშინ დაბრუნდით, როცა შეძლებთ სტრიქონის აღქმას,
ჩამომჭკნარ იის უძირო სევდას როცა შეამჩნევთ...
მაშინ მეწვიეთ, როცა ხავსზე იბრწყინებს ნამი,
ყინულის ლოლოს ჩაწნულ მზის სხივს როცა შეაღებთ.

მაშინ მიხილეთ, როცა შიმშილს დაიხშობთ ლექსით...
და ყელში ბურთი მონატრების გაგეჩხირებათ,
მაშინ მესტუმრეთ, როცა გრძნობა გაფანტავს ბურუსს
და, როცა ცრემლი მაგ ქვის გულზე დაგეთხლიშებათ.

მაშინ მიგიღებთ, გიმასპინძლებთ ყველას ღიმილით,
შავთეთრ ფონიდან მარადიულს მოგავლებთ მზერას,
რაც თქვენ ,,გეგონათ“, ,,გეჩვენებოდათ“, ,,იმედოვნებდით“,
მეც მაშინ გავცემ ამ კითხვებზე პასუხებს ყველას ...

მაშინ დაბრუნდით, როცა აღქმას ისწავლით ჩემსას,
და ჩემს მოსმენას შეძლებთ გულით, არა სიტყვებით
მაშინ მეწვიეთ, როცა თქვენში იპოვით ძალას
და თქვენს ცოდვებთან შესახვედრად მზად თუ იქნებით.

მაშინ დაბრუნდით, თუ მიხილავთ ერთ დღეს სიზმარში
და მოგონება ზღვის ტალღებად აიქოჩრება,
მაშინ ავღმართავ თეთრ ბაირაღს და დავნებდები
და ჩემი ბრძოლაც საკუთარ თავთან იმ დღეს მორჩება...

მაშინ დაბრუნდით, როცა სულის ისწავლით ხილვას,
როცა სიცოცხლის შეგეძლებათ აღქმა ტილოდან
და მეც გპირდებით, რომ არავის გაგიჯავრდებით,
მუდამ ღიმილით შეგეგებებით მარმარილოდან.

მე ისეთი ვარ

მე ისეთი ვარ, თქვენ როგორიც გინდათ მიხილოთ.
მკაცრი, დესპოტი, მრისხანე ... და, თუნდაც ლოთი,
ხანაც მზრუნველი, მოსიყვარულე და მხიარული,
ხანაც ზარმაცი, მდუმარედ უტყვი და ხანაც შფოთი...

მე ისეთი ვარ, როგორსაც ეძებთ, როგორაც მიმზერთ,
და ვისაც ხედავთ, მისი ნახვა, ალბათ, გეწადათ,
თუ არ გეამათ ჩემში ის, რაც იხილეთ გუშინ,
იქნება ღირდა დღეს სხვა თვალით ხილვა გეცადათ?

მე ისეთი ვარ, როგორც მიმზერენ თქვენი თვალები,
თუ სიყვარულით, მაშ აღმიქვამთ როგორც იდეალს...
თუ სიძულვილით, ეგებ ურჩხულიც იხილოთ ჩემში,
მე თქვენ გთავაზობთ არჩევანის ფართო არეალს.

ჰოდა, ვინ გინდათ და ვის ხილვას ესწრაფვით ჩემში?
მას, ვისაც ხედავთ, თქვენი სულის ანარეკლია...
მე მომიტევეთ, თუ ბუმერანგად დაგიბრუნდებით,
თუ ვერ ვახვედრებ მუდამ ღიმილს – მზერას ეკლიანს.

მე ისეთი ვარ, როგორადაც გსურდათ გეხილეთ
და, თუ შეკრთებით, გაოგნდებით, ერთ დღეს ნანახით,
საკუთარ აჩრდილს ნუ დაუწყებთ ლანძღვას, გინებას,
საკუთარ ტოტებს ნუ დაუწყებთ ჩეხას ნაჯახით...

მე ისეთი ვარ, ვისი ხილვაც დაიმსახურეთ,
ანგელოზი ვარ, მფარველი ვარ, გზავნილი ღვთისგან...
მაგრამ, თუკი ფრთებს შემასხიპავთ გესლით და ბოღმით
კარგს ნუღარ ელით დაცემული ანგელოზისგან...

მე ისეთი ვარ, როგორიც თქვენ გსურდათ გეხილეთ,
მე ისეთი ვარ, ვისი ნახვაც, ალბათ, გეწადათ,
არადა მსურდა, ვოცნებობდი ...მე დაგენახეთ,
იქნებ და ღირდა, ჩემის სულის ხილვაც გეცადათ?!

2018 .25.04 წ.

მითხარი თუ ხარ

მითხარი, თუ ხარ შთაგონებისთვის წყარო ანკარა,
რომ პოეზიის მუზა გახდე, ლექსი გაკმარო,
მითხარი, შესძლებ? გული ისე მონუსხო შარმით,
რომ თავდაყირა დამიყენო მთელი სამყარო?

მითხარი, მამცნე ვინ ჩასახა და ვისით იშვა
ეს ილუზია, იქნებ იყოს მისი მშობელი,
მაშ სიყვარული რატომღა კლავს თავად თვის მშობელს
და ეს ნათელი რატომ ხდება ბნელის მხმობელი?

მითხარი, რისთვის ვევლინებით ამ წუთისოფელს?
რა გვიწერია და ან, სულაც, რა გვაქვს მისია?
მითხარით, რისთვის ვიტანჯებით მუდმივ ძიებით,
როცა კი ვპოვებთ, თუ აღმოჩნდა, რომ ის სხვისია?

უსიყვარულოდ ყოფა რაა? ან ვის რას არგებს
იგი ტანჯვაა და, ამავ დროს, მადლი უფლისა.
არ გყვარებია? ესე იგი, არ გიცოცხლია,
წუთისოფელში სახელი გაქვს მხოლოდ სტუმრისა.

თუ გყვარებია, ზიარებულხარ ბედნიერებას,
თუ ყვარებიხარ, ესე იგი, იყავით ღმერთი,
ორ მხრივ სიყვარულს არც აქ, არც იქ არ აქვს საზღვარი,
ამ ნეტარებას ტოლს ვერ დაუდებს გრძნობა ვერც ერთი.

ეძებეთ მუდამ, ეკლიან გზას ნუ ერიდებით,
ტანჯვა დიდია, მაგრამ სამკელი უდიდეს გელით,
ჭეშმარიტ გრძნობას მხოლოდ ერთხელ გაუგებთ გემოს
და მხოლოდ ერთხელ მოახერხებთ შეეხოთ ხელით.

მიწა ღაღადებს

მიწა ღაღადებს, დაუგდეთ ყური, უგუნურებო,
წინაპართა ხმა, აწმყოს შემყურე მოსთქვამს და ვაებს,
სადაა რწმენა, ენა, მამული, თვითმყობადობა,
ცხადში შევყურებ და არ ვუჯერებ საკუთარ თვალებს.

აღარა ძღება ეს სტომაქი მხოლოდ ბალახით,
და ლელთ ღუნია აღარა ბჭობს ერში ხმამაღლა,
აღარც შავლეგოს შეძახილი გაისმის მთაში,
პირმოთნეობა, ბოროტება ქვეყნად ამაღლდა.

არც კონსტანტინეს „დააგდე სექტა“ გაისმის ხალხში,
ყველა გაურბის მართებულად მეფეთა წყრომას,
დადგა ეპოქა მლიქვნელთა და სულით მდაბალთა,
ქართულ სხეულში ქართული სული იწყებსო ლპობას.

ამაზე მოთქვამს სვეტიცხოვლის ზარი ხმამაღლა,
რად დაივიწყე წინაპართ გზა ახალ ქართველო?
ილიას მკვლელო, ყორღანაშვილის დამბადებელო,
ფურთხის ღირსი ხარ, ჭეშმარიტად, დღეს, საქართველო.

თუმც გაგვწყრომია ლომისა და გუდანის ჯვარი,
ერთ დროს მოწამეს, საქრისტიანოს დამამშვენებელს,
მე მაქვს იმედი, ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის
და კვლავ მოველი მკვდრეთით აღმდგარ აღმაშენებელს.

26.08.2002 წ.

მოგონებები

მოგონებები გარდასულ დღეთა
კვლავ თავს მევლება, როგორც მხევალი.
დღესაც ხარკს ვუხდი გონების უფსკრულს
საკუთარ ნებით ვხდები მძევალი.

თავისუფლების წყურვილი კვდება
მონობას ასეთს მხოლოდღა ვგუობ,
მოგონებებთან მე ვარ მართალი,
არც ვფარისევლობ და არცა ვცრუობ.

მოგონებებში მე ისევ მე ვარ
და მშვიდად ვუმზერ საკუთარ აჩრდილს
მოგონებებთან მე ვპოვე შვება,
აქ კი კვლავ ვეძებ საკუთარ ადგილს.

მოგონებებში არ მძულს არავინ,
ვგრძნობ, რომ კვლავ მიყვარს, არ ვგავარ ხიზანს,
მოგონებებში არ ვარ ეული,
მოგონებებში კვლავ ვაღწევ მიზანს.

მომბეზრდით

როგორ მომბეზრდა ყველა და ყველაფერი,
ქვეყნად აღარაფრის სურვილი აღარ მაქვს,
მე ისევ მარტო ვარ, სინათლეც არსად მოჩანს
ფიქრის და ნაღველის საგზალიც თან დამაქვს.

არავინ აღარ მინდა, არავინ მეტყველი...
ყველას გაქვთ სურვილი ნერვებზე ირბინოთ,
დამღალა სიტყვების გესლმა და აღარ მსურს,
ეჭვით შემოგხედოთ , ან ეჭვით მიმზიროთ.

ჩემთვის, სადმე ტყეში, ერთი ქოხი მინდა,
სადაც მხოლოდ მე და ბუნება ვიქნებით,
რა გინდათ? რას მერჩით? ადამიანებო,
ამ უმადურობით რით ვეღარ იღლებით?!

ო, როგორ მომბეზრდა ირგვლივ ყველაფერი:
გესლი, ბოღმა, შური და საყვედურები,
ხანდახან მინდება დავივსო თვალები...
ხანდახან მინდება დავიხშო ყურები...

ახლა უკვე მესმის ყველა განდეგილის,
ადამის მოდგმისგან თუ რატომ გაიქცნენ,
უსამართლობისგან, ალბათ, წაბორძიკდნენ,
უმადურობისგან კი უკვე წაიქცნენ.

როგორ დავიღალე ყველაფრის ყურებით,
შინაც და გარეთაც მხოლოდ ერთი ისმის,
რით არ დაელიათ ღვარძლის მარაგები,
დიდი და პატარა, ყველა გესლს რომ ისვრის.

უკვე მეზიზღება... დილის გათენება,
უკვე სულ ერთია ...ცაზე ცისარტყელა,
ო, როგორ მომბეზრდა ირგვლივ ყველაფერი,
და, როგორ მომბეზრდით, რომ იცოდეთ ყველა...

24.02.2017 წ

მე კი, ალბათ, ვერა

მიტევება შემძლებია მრავალგზის...
ყველა ტკივილს გავუსწორე მზერა,
დავივიწყე თქვენგან წყენა ყოველი,
ოღონდ სულში ჩაფურთხება – ვერა.

როცა სიტყვა მოიწამლა სიყალბით,
ეჭვმა გული ნაკუწ–ნაკუწ სერა,
ნაიარევს დრო ედება მალამოდ,
ოღონდ სულში ჩაფურთხებას – ვერა.

დავივიწყე თქვენგან ნდობის გათელვაც,
შემინდვია .... თუმცა აღარ მჯერა,
შევიხორცე მკერდში ყველა იარა,
ოღონდ სულში ჩაფურთხება – ვერა.

იცით, რატომ? იმიტომ, რომ მოგანდეთ,
მხოლოდ გული? არა, სულის მღერაც,
ალბათ, ღმერთი ყველა ცოდვას შეგინდობთ...
მომიტევეთ... მე კი, ალბათ, ვერა.

26.02.2019 წ.

მე საქართველოს ოფიცერი ვარ

მე საქართველოს ოფიცერი ვარ,
ქვეყნის, რომელიც ჯერ კიდევ გმინავს,
სისხლის, რომელიც წვეთ–წვეთ იცლება,
გენის, რომელშიც ღირსებას სძინავს.

მე, საქართველოს ოფიცერი ვარ...
და მის მძინარე ღირსებას ვიცავ,
არ მოვცილდები სასთუმალიდან,
ჩემი მუნდირის ღირსებას ვფიცავ.

არ მოვცილდები მანამ და ვიდრე,
სანამ იმედის მექნება რწმენა...
და ჩემს სამხრეებს დავაფენ წყლულზე,
იქნებ დაჭრილმაც შეძლოს აფრენა.

იქნება, შევძლო გამოღვიძება,
როგორც მრავალგზის, ფერფლისგან აღდგეს,
და როგორც უწინ, გაშლილი დროშით,
ყველა დუშმანთან მებრძოლი წარდგეს.

ფარისეველთა გაფანტოს ბანგი,
ყველას კუთვნილი პასუხი გასცეს,
ღირსების დროშით შეყრილ ლაშქარმა
კვლავ გამარჯვების ყიჟინა დასცეს.

და სანამ სძინავს ერში ღირსებას,
მე მის მძინარე ღირსებას ვიცავ,
ქედს არ მოვუხრი არც ერთ განსაცდელს...
ოფიცრის სიტყვას გაძლევთ და ვფიცავ.

26.12.2019 წ.

მე შეშლილი ვარ

–მოგესალმებით! მე შეშლილი ვარ,
თქვენ ვინ ბრძანდებით? წარმომიდექით,
სურვილი არ გაქვთ? მე მომიტევეთ,
თითქოს ჩანდა, რომ მარტო იდექით.

მე შეშლილი ვარ, არ დამიმალავს
არც თქვენ მგონიხართ ჭკუადამჯდარი,
განა იმ ხალხის ნაწილი არ ხართ,
თავის ნაჭუჭში როა ჩამჯდარი?

რატომ მიწყინეთ? ისეთი რა ვთქვი?
ვის აკადრეო – რატომ მიყვირით?
თქვენც ხომ ჩემსავით უსახლკარო ხართ
ცხოვრებას სტუმრობთ ვალით და ქირით.

თქვენ ხომ სიცოცხლეც მოგცეს ნისიად
და საკუთარი ესეც კი არ გაქვთ,
ყოველი დღეც ხომ ამ ვალს აკლდება
და სიკვდილამდე ეს ვალი დაგაქვთ.

გიჟი არა ხართ? მაშინ მითხარით!
რა დროა ახლა, როგორ გგონიათ?!
საათი არ გაქვთ, ზუსტად ვერ მეტყვით?
ეჰ, საკუთარი დროც არ გქონიათ.

მე მაპატიეთ, რომ მოგაცდინეთ,
თითქოს იერი გქონდათ ჭკვიანის,
რას ვიფიქრებდი შვიდ მილიარდში
პოვნა თუ ჭირდა ადამიანის.

თავად ვინა ვარ? აკი გითხარით...
დღეს თოლია ვარ...ხვალ – ჯერ არ ვიცი,
ახლა ღრუბლებში უნდა ავიჭრა,
მე მომიტევეთ, ვეღარ დავიცდი.

მე, შეშლილი ვარ, ჰოდა ნახვამდის,
იმ ცხოვრებაში უთუოდ გნახავთ,
ნუ სწუხართ, გიცნობთ, ჩემი არ იყოს
სისულეებს თქვენც უხვად ჩმახავთ...

31.01.2020 წ.

მეშემოდგომება

ისევ ჩუმად შემოცურდა მარტი,
მზის სხივების ვერ ვიგრძენი შვება..
სულში ისევ ნოემბერი მიდგას,
ვერ აღვიქვი შეგაზაფხულება.

ისე ჩუმად შემოცურდა მარტი,
თურმე მიწაც ისე ჩუმად ხურდა...
კვლავ გამომრჩა... ნუშის აფეთქება,
უკვე მერამდენედ შემომეზაფხულდა.

უკვე მერამდენედ, ვერ ვადევნე თვალი,
როგორ ძარცვავს მარტი თოვლის კალთებს,
როგორ ხეთქავს ყინულს ნაკადული
და ფერდობებს კვლავ იისფრად ანთებს.

უკვე მერამდენედ ფიქრში ჩაძირულმა,
ვერ შევნიშნე ისევ ვაზის აცრემლება,
თურმე კალენდარზე გადაშლილა მარტი,
მე კი კვლავ გამომრჩა გამოზაფხულება.

კვლავაც ნისლისფერი ჩემში უფრო ჭარბობს,
კვლავაც ვერ ვიგრძენი მზის სხივებით შვება,
ისევ შეუმჩნევლად შემოცურდა მარტი...
და ამ გაზაფხულზეც მეშემოდგომება.

02.03.2018 წ.

მუმლი

ქალაქი, ქალაქს აღარა ჰგავს,
ძველი სატახტო ზინტლში გაეხვია,
ჭუჭყის ოხშივარი ასდის ძველ პროსპექტებს,
და ქართულ მუხასაც მუმლი დაეხვია.

და დღეს ეს ქალაქი, ერთ დროს სიკეკლუცით
უზადო სინატიფით, ქვეყნად რომ ბრწყინავდა,
მუზა პოეზიის, თემა სატრიალო,
დილით გულგრილობის მორევში გმინავდა.

ვაჟას იმ დაკოდილ არწივს მომაგონებს,
კლანჭი გასცვეთია, თვალი დაბინდვია,
დალეწილი ფრთები დაბლა დაუყრია,
თავი დინებისთვის თავქვე მიუნდვია.

ეჰ, ნეტავი იმ წლებს, განვლილს სიამაყით,
ხმას რომ ვერვინ სცემდა ქვეყნად უბატონოდ,
ზინტლში შთაინთქა და ჭუჭყში ჩაიძირა,
მუმლმა წააქცია მუხა უპატრონოდ.

04.03.2002 წ.

ნიღაბი

ადამიანი ვერ შეიცვლება,
იცვლიან მხოლოდ ნიღბებს...
მწუხარებას და ბედნიერებას
ზოგი თანაბრად ირგებს.

თუკი დასჭირდა, თაფლად იღვრება
და ზიარებას იღებს,
თუკი დასჭირდა, დედის გინებას
დედის რძესავით ირგებს.

ადამიანზე ყალბი არსება
არვინ შობილა დღემდე,
ასჯერ ინანებ თუ ცხოვრებაში,
ვინმეს ოდესმე ენდე...

ადამიანზე უფრო სასტიკი,
არ მეგულება სახე,
ბევრჯერ ვინანე, ის, რაც ვერ ვნახე
და ისიც, თუ რამ ვნახე ...

ადამიანი არ შეიცვლება,
იცვლიან მხოლოდ ნიღბებს,
ერთგულების და ორგულობისას
ზოგი თანაბრად ირგებს.

პირობა

სირცხვილით როგორ შეგხედოთ,
როცა გეწვევით საძვალეს,
ან რა შევქმენი სათქმელი?
ეს კითხვა თან მდევს, მაწვალებს.

ასეთ წინაპრის პატრონსა
ქართველობა არ მაცალეს,
სისხლიდან ჯიში და გენი
სულ წვეთწვეთობით დამცალეს.

მხოლოდ ეს ერთი შევძელი,
რაც მაიმედებს, მახარებს,
აქ გავდგი ფესვიც და ვარჯიც
არ გავქცეულვარ სხვა მხარეს.

სიცოცხლით ვერ გასახელეთ
ვაი, რომ ფხა ვერ ვიჩინე,
გადაგვარებულ თვისტომში
თავი ვერ გამოვიჩინე.

ნეტამც სიკვდილით წაგადგეთ
სთქვან, მათი გორის ყოფილა,
ვისთვისაც რწმენამამული
ცალცალკე არ გაყოფილა.

სანამ ვარ, მანამ გადიდებთ
თქვენით ვამაყობ ქართველი,
პირობას გაძლევთ, ვიქნები
თქვენი ადათის დამცველი!

რად მინდა ...

რად მინდა სიბრძნე, თუ სიშლეგეს ვერ კურნავს იგი,
უსამართლობა თუ კანონით სიმართლეს დასჯის,
თუ გმირის საქმეს შემფასებლად უდგას ლაჩარი,
თუ მწერლის ნაწერს წაიკითხავს და სულელი განსჯის.

თუ ქალწულობა არ გაწირავს თავს დედობისთვის,
თუ სანთლის შუქი ვერ გაფანტავს სიბნელეს, წყვდიადს,
თუ ცეცხლის ალი ვერას ათბობს და მხოლოდ იწვის,
თუ ვერ არჩევენ ერთურთისაგან მდაბალს და დიადს.

რად მინდა მცნება, თუ შესრულებას არავინ ილტვის
რად მინდა ენა, თუ ეს ენა არავის ესმის,
რად მინდა ღვინო, სადღეგრძელოს თუ არ შესვამენ,
ჭეშმარიტებას თუ სიცრუე მუდამ ლაფს ესვრის.

რად მინდა სახლი, თუ სიღარიბე უდგას დარაჯად,
რად მინდა ციხე, თუ მეციხოვნე შიგნით არა დგას,
რად მინდა თვალი, თუ ვუმზერი და ვერას ვხედავ,
რად მინდა დაფნა, თუ ღირსეულს თავზე არ ადგას.

რად მინდა შვილი, თუ შვილობას იგი არ გასწევს,
რად მინდა ძაღლი, თუ ვერ შეძლო გარჩევა მტრისა,
რად მინდა ხელი, თუ ბორკილი მუდამ ზედ ადევს,
რად მინდა ცოლი, თუ გულში აქვს სურვილი სხვისა.

არ მსურს სიცოცხლე, თუ მოვკვდი და არვის ვეტკინე,
თუ ერთი ცრემლიც არ მოადგა არავის თვალზე,
რად მინდა სუფრა, მეგობარი თუ არვინ უზის,
არ მსურს გვირგვინი, თუ ვერასდროს დავიდგამ თავზე.

ფუჭია ყველა, თუ მომხმარე არ ჰყავს ამ ქვეყნად,
ფუჭია სიბრძნეც, ფუჭია შრომაც და სწავლაც ფუჭი,
დამფასებელი თუ არა ჰყავს, მოკვდება ყველა,
გინდ ჩააფრინდეს უკვდავებას ორივე მუჭით.

* * *

როცა მილულავ წამწამებს მორცხვად,
მოგეპარები, სასთუმალთან ჩამოგიჯდები,
მხოლოდ დაგხედავ, როგორ გძინავს და ისევ წავალ,
გაახელ თვალებს და თავს ჰკითხავ, ხომ არ ვგიჟდები?

რისთვის მესიზმრა სილუეტი, წარსული ლანდის...
ნეტავ აქ იყო? ან სად გაქრა სწრაფი ზმანება?
მე მხოლოდ ამბორს დაგიტოვებ შეხსნილ ბაგეზე,
რომ სულ თან გდევდეს, როგორც დამღა, ჩემო თავნება.

რომ სულ ეძებდე ბრბოს წიაღში ამბორის ავტორს,
რომ ვნება ჩემი გულს იპყრობდეს უფრორე მეტად,
მე კი გავყვები უსასრულო სიცარიელეს,
ისევ ეულად, ისევ მარტო და ისევ კენტად.

არ მკითხო რატომ? ამ კითხვაზე არ მაქვს პასუხი,
არ მკითხო რისთვის? და ან საით? არც ეს არ მკითხო,
შენთან ვიქნები და იმავ დროს, ვერსად შემამჩნევ,
თუ მომიგონებ, შეძელი ისე, რომ არ გამკიცხო.

და სანამ აქ ვარ, მსურს აგავსო, როგორც ფიალა,
ერთბაშად შეგსვა, დაგეწაფო, უგონოდ დავთვრე,
და შენც დაგათრო, როგორც ფუტკარი ტკბილი ნექტარით
წამად გიქციო საუკუნე და ამით დავტკბე.

მთვარის მოტაცება

ნაბადამოკრულ ცხენის ფლოქვების თქარათქურია,
გახვითქულ ულაყს მთვარის შუქზე ირეკლავს წყალი,
სადღაც ბუ კივის, თითქოს სიბნელის შეშინებია,
ისე საბრალოდ დაუჭყიტავს ორივე თვალი.

მხოლოდ წყლის ჩქეფი მორიდებით თუ არღვევს დუმილს,
სამყაროც, თითქოს დაზაფრული, გარინდებულა,
და რაღაც ისეთს ელოდება ირგვლივ ყოველი,
რომ მოლოდინში შეუმჩნევლად დაბინდებულა.

გავარდა მეხი, გაიელვა, გაიპო ზეცა,
თითქოს ცა ჩაქრა, ჩამობნელდა, იქმნა უკუნი,
ისევ ძალუმად დაუბერა ხეობას ქარმა,
ისევ გაისმა გახვითქული ფიცხი ფრუტუნი.

ბუმ დაიკივლა, როგორც ზარმა – შეკარით გზები!
და ამ კივილმა თითქოს მთებიც მდევრად აქცია,
სწორედ იმ ღამეს, ერთ უმსგავსოს თეთრი ულაყით,
ზეცის კიდიდან თურმე მთვარე მოუტაცია.

დღემდე ეძებენ ზეციური ტახტის მდევრები
და დღემდე მალავს გარდასახულს სასურველ ქალად,
ვერსად მიაგნეს, ვერ მიაკვლიეს კვალს მნათობისას,
არვის უხილავს იმ ღამის შემდეგ რადგანაც თვალად.

დღეს საიდუმლოს გაგანდობთ და ჩურჩულით გეტყვით,
ყოველთვის მსურდა, რომ სიმართლე თქვენთვის მეკმია,
მე ვარ მხედარი და ის მთვარეც მე მიზის გვერდით,
თქვენ რასაც ხედავთ, მხოლოდ მთვარის ანარეკლია.

მო–ლოცვა

დღესაც იმ ყაყაჩოს სურნელი აგიდის,
ნიავს რომ ებრძოდა უტეხად ქარაფთან,
დღესაც იმ ყაყაჩოს ფერი გაქვს ტუჩები,
გემოზე რომ დავობს ჩხავერის წარაფთან.

დღესაც იმ გოგონას თვალებით მიმზერი,
კალმით რომ სახელებს ქარგავდა ჭადართან,
დღესაც ის მცივანა, ბუტია ბავშვი ხარ,
მზის სხივებს რომ ეძებს და ჩხუბობს ზამთართან.

მო–ლოცვას მოგიძღვნი, როგორც იმ ყაყაჩოს...
დე, მუდამ მოერთოს გრძნობების მთა–ველი,
ჰო, ვიცი, დღესაც ის პატარა გოგო ხარ,
ჩემგან რომ სიყვარულს თვალებით მოელის...

14.11.2019 წ.

მუზა–რადები

ციხის ქონგურზე დარაჯებად დგანან სტროფები
და გალავანზე კოჰორტები – კალამ–მშვილდებით,
მე იმ ჯარს ვსარდლობ მელნისფერი ტაეპ–ოსნების,
რითმის აბჯარს რომ ატარებენ მთელი ღირსებით.

მე და თქვენ შორის სტრიქონების არის თხრილები,
ზღუდედ აღვმართე ლექსთსარტყორცნი ბარიკადები,
ვერ შემომინგრევთ მარცვალჭედილ სიტყვის კარიბჭეს,
რადგან ჩვენ შორის აგრაგნილან მუზა–რადები.

ამ ციხის შიგნით, მე მოვიწყვე ჩემი სამყარო...
და მას დავიცავ უკანსკნელ მელნის წვეთამდე,
აქ მე ლირიკას ავუშენე ფიქრის ტაძარი ...
და აქ ვილოცებ გონების და აზრის ცვეთამდე.

11.12.2019 წ.

ნადარეული

თუ ოდნავ მაინც ღელავთ და შფოთავთ,
ხართ ნირწამხდარი და არეული ...
ღიმილს მოგგვრით და შვებას მოგიტანთ
სამი ფიალა ნადარეული...

ჰოდა, იგრძენით ბახუსის ძალა!
ცრემლი შეიშრეთ თვალსმორეული,
გადაუჭირეთ მათრახი სევდას,
დაიცხრეთ ვნება სულამღვრეული.

ნაბახუსევის არ გქონდეთ დარდი,
გაფანტეთ ეჭვი შემორეული,
თავად იხილეთ როგორ ციალებს,
მზის სხივი, ღვინოს გამორეული.

მხოლოდ ერთია ამ ყოვლისშემძლე
ვაზის გულ–მუცელ ამორეული,
შესვი, შეგარგოს ამ ზეცის მადლმა
ღვინო–მირონი ნადარეული.

სამი ვარდი

ჩემს საფლავზე დარგეთ მხოლოდ სამი ვარდი,
ყვავილობას რომ ყვაოდეს სამი ფერი,
ცხოვრების გზას ასახავდეს ყველა ერთად,
თეთრი, შავი და წითელი სისხლისფერი.

თეთრი, როგორც სისპეტაკე უცოდველი,
მოვლინებას, სულის ყრმობის ჰგავდეს ხანას,
ჟამს, როდესაც ოცნებები სულდგმულობენ,
და სამყაროც შენთვის მღერის იავნანას.

სისხლისფერი, რომ სიწითლით არემარეს
სიყვარულის, ვნების ხანა შეახსენოს,
იქნებ გული სამარეში უტყვად მყოფი,
კიდევ ერთხელ შეაკრთოს და შეაძგეროს.

შავმა, როგორც ჩამოკრულმა გლოვის ზარმა,
რომ სიოსთან მოგუდულად წაიმღეროს,
თუმც დავმარცხდი, უბრძოლველად არ წავსულვარ
არვის ძალუძს ბედისწერა შეაჩეროს.

დე სამივე იკმეოდეს სურნელებად,
განმიქარვოს, თუ რამ დამრჩა ქვეყნად დარდი,
ყვავილობას სამი ფერი იფრქვეოდეს,
ჩემს საფლავზე დარგეთ მხოლოდ სამი ვარდი.

31.03.2010 წ.

სიბერეში

სიბერისას თბილ ბუხართან
შვილიშვილით კალთაში,
როცა ცეცხლის ტკაცატკუცის
ხმას გავიგებ ზამთარში,
ვიღაც „ბაბუს" დამიძახებს,
ვიღაც ფოსტალს ამაცლის,
ალბათ, ვიღაც ტიტინითაც
დაღლილს, სიქას გამაცლის.
ვიღაც სათვალეს მომპარავს
ვიღაც ხელჯოხს დამალავს,
ვიღაც ათას ძველმანებში
კვლავ მოაწყობს სამალავს.
ვიღაც, ალბათ, ზღაპარს მომთხოვს
ვიღაც ბაღში წაყვანას,
ამ ყველაფრის შემხედვარე
შევძლებ თავის აყვანას?
ვიღაც, ალბათ, კვლავ მიაგნებს
მას, რაც დიდად არ არგებს,
ბებოს მიერ გადამალულ
ტკბილეულის მარაგებს.
ვიღაც სულ მთლად მოითხვრება
შოკოლადის ფილეთი,
ვიღაც ლარნაკს დაანარცხებს
ჭიდაობის ილეთით.
ბებოც უმალ აენთება,
სულაც არ დახანდება,
და ის ვიღაც საშველადაც
ჩემსკენ გამოქანდება.
ნეტა, თუკი მოვესწრები
ყოველივეს დანახვას
რაც მინდოდა და, რაც მინდა,
ცხოვრებაში ასახვას.

11.11.2016

სტუმარი

სრულიად მარტო ვარ ქაოსის მორევში,
პრობლემის ზვირთები უტევენ გონებას,
დამხმარე არავინ და, როგორც ყოველთვის,
ნერვებით ვმასპინძლობ საკუთარ ცხოვრებას.

ძღომასაც ვერ იგებს, მეგზური მშიერი
გამოცლის მოთმინების ფიალას ფიალაზე,
ცოტა ჯანმრთელობას მიირთმევს დესერტად,
სულიერ სიმშვიდესაც მიმოყრის იატაკზე...

თუ ის სტუმარია, მე ვინ ვარ? – მიკითხავს
პასუხი გესლიანი სისინით ჩამესმის:
„ – შენ ხომ მძევალი ხარ მისი სამუდამო,
აქამდე რით ვერ მიხვდი? ნუთუ ეს არ გესმის ?“

გრძნობები, ემოცია, ღიმილი, ჰარმონია,
რაოდენ უცხოა ამ ჩემი სტუმრისთვის,
სხვა თუ ამ ცხოვრების ხანმოკლე სტუმარია,
მე რად ვარ მასპინძელი, ამას ვინ ამიხსნის.

24.06.2015

ტაო

სტუმრად ვიყავი, ვაი, რომ სტუმრად
კრძალვით ვეწვიე ჩვენს ძველ სანახებს,
ენით ვერ აღვწერ, ჩემმა თვალებმა
თუ რა აღიქვეს და, თუ რა ნახეს!

ვიხილე ციხე, ძვლებით ნაგები
ალბათ, წინაპარს ასე უჯობდა,
დაცემულიყო სამშობლოს რწმენით,
როცა ეს ციხე არტანუჯობდა.

ბრაზით და ბოღმით ამევსო გული,
აზრმა გამკენწლა, მაშ რისთვის განა?
იხოცებოდნენ მტერშემორტყმულნი,
რომ ასე ობლად მდგარიყო ბანა?

რისთვის პოხავდნენ სისხლით ამ მიწას
მკერდს აშველებდნენ დალეწილ ფარხმალს,
რომ მათ მომავალს თავდახრილთ ევლოთ?
და, რომ ქურდულად ელოცათ პარხალს?

კაცი ვერ შეძლებს, ქალის ნაშობი
ხელს ვერ აღმართავს, ვერ გაიმეტებს,
გულის მაგივრად ქვა უნდა გედოს,
რამე რომ ავნო იშხანის სვეტებს.

ფრთებჩამორღვეულ, გუმბათდალეწილს
ცრემლი რომ სცვივა დიდრონ ლოდებად,
ოშკის აჩრდილი ჩუმად მთხოვს შველას,
ვდგავარ უმწეოდ, მხოლოდ გოდებად.

სიმწრის ცრემლები, როგორც ღვარცოფი,
ამ სალ კლდეებზეც გადავლებულა
ეს იმ დედათა ცრემლები არის,
თორთუმის ტბად რომ დაგუბებულა.

ქვაში ნაკვეთი, სიმბოლო ერის,
ეს სილამაზე, არსად ნახული,
დღესაც ფრთებსა შლის მისი არწივი,
დღესაც მედგრად დგას დიდი ხახული.

წყარო გადმოჩქეფს უდაბნოს თავზე,
იქ, სადაც ზეცას კლდის ქიმი ერთვის,
თუ ყურს დაუგდებთ, გაიგებთ დღესაც
გრიგოლ ხანძთელი ლოცულობს ჩვენთვის.

კაცის ხელს განა ამდენი ძალუძს?
ამის შექმნაში წვლილია ღმერთის,
მიუვალ მთებში თითქოს თავმდაბლად
დგას ნაღვლიანად ტაძარი ტბეთის.

კვლავ მონუსხული შევცქერი წარსულს,
ამ ლოდებს თლიდა მკლავი რვალისა,
ალბათ, მტერსაც კი დაამუნჯებდა
ეს სინატიფე დოლისყანისა.

გაოცებული ვებრძვი ჩემს გრძნობებს,
თითქოს დავბრძენდი, თითქოს დავბერდი,
შენ არაფერი გინახავს ქვეყნად,
თუ არ გინახავს, ძმაო, შატბერდი.

ეს სულ სხვა არის, სახლი უფლისა?
არა, სასახლეს უფრო ვარქმევდი,
ოთხივე კუთხით ბრწყინვალეებს ოთხთა,
უკეთეს სახელს ვერც დაარქმევდით.

ვით დედოფალი გვირგვინოსანი,
ვით მარგალიტი იაგუნდებში,
დგას პატარძალი, ნათლით მოსილი,
ქართული მიწის ხოდაბუნდებში.

თუმცა ფარულად სწირავს მოძღვარი,
იწვის სანთელი, ნათლის მხმობელი,
ქართულ ტაძარში ქართული სულის
გაისმა ისევ საგალობელი.

ქართულ მიწაზე ვიყავი სტუმრად,
დავბრუნდი ჩემი მიწით სნეული,
შორიდან ვეტრფი ჩემს ტაოკლარჯეთს
მასზე ვარამით გულამღვრეული.

უმადურება

თავად უფალსაც არ შეძლებია ყველაფრის თმენა,
უმადურებამ ანგალოზისგან ეშმაკი შექმნა,
ვერ მიუტევა თავის კარზე უპირველესსაც,
და ჯოჯოხეთში გაისტუმრა ... რა უნდა ექნა ?!

უმადურობამ დააკარგვინა ადამს ედემი,
და ვერც ამჯერად მიუტევა უფალმა რჩეულს,
თუ კი შეეხო ... უმადურება კლავს ყოველივეს,
ყოველგვარ გრძნობას ანადგურებს და წამლავს სხეულს.

მან მისცა ნება აერჩიათ, მათაც არჩიეს ...
და დღემდე ვიმკით საკუთარი არჩევნის ნაყოფს,
უმადურება ერთ დროს მთლიანს სულსა და გრძნობას,
 სულ რაღაც წამში ქვესკნელად და სამოთხედ გაყოფს.

უმადურება არის ყოველი ცოდვის მშობელი,
შურისძიებას, მრისხანებას, სიძულვილს ბადებს,
უმადურებამ ანგელოზისგან შექმნა ეშმაკი,
უმადურობის ფასი ადამს ედემად ადევს.

2017 წ.

პაემანი მუზასთან

წუხელ მესიზმრა პაემანი მქონდა მუზასთან...
წმინდა მთის ბილიკს მივუყვებოდი, როგორც ზვარაკი,
სიტყვებს ვეძებდი სამსხვერპლოზე წარმოსათქმელად,
თითქოს ერთბაშად გამითავდა სიტყვის მარაგი.

გამომეცხადა ფოთოლგაცვენილ დაფნის გვირგვინით,
სხვაგვარს ველოდი... ჩემგან აღქმულს და ადრე ნაქებს,
სულის ნაფლეთებს უფარავდა თეთრი პერანგი,
თუმც მთვარის შუქიც ვერ მალავდა სირცხვილის ლაქებს.

წუხელ პირველი პაემანი მქონდა მუზასთან
უსასრულობამ სადაც შთანთქა ბევრი გენია,
იქ, სადაც უტყვი მდუმარებით წვანან ღმერთები,
იქ, სადაც ხვდები, რომ სიცოცხლე არაფერია...

ჰოდა, მეც შემრცხვა საკუთარი უსუსურობის,
აზრთა ტიტანებს აღემართათ იქ ბასტიონი,
ტატოს მერანი ჭიხვინებდა ანდამატიდან,
თითქოს მიწის ქვეშ გრუხუნებდა გალაკტიონი.

თითქოს ჩონგური ახმიანდა სიმგაწყვეტილი,
ფშავის არწივი თითქოს ფრენდა, როგორც ქიმერა
გუდიაშვილი ფიროსმანის შემხვდა თვალებით,
თითქოს ,,შავლეგოც“ ჩოლოყაშვილმა ისევ იმღერა.

ჰოდა მივხვდი, რომ ეს პაემანი არ იყო სულაც,
მე საკუთარი უსუსურობის მიხმეს მხილველად,
ყელში გაჩრილი დამრჩა ცრემლი გადმოუღვრელი,
ჩემი სიმცირე დამჩხაოდა თავზე პირველად.

დავემშვიდობე, ჩავიკარი მკერდში ბოლოჯერ
მისგან განკითხულს, ვიგრძენი, რომ რეტი დამესხა,
მაედნის ბოლოს დავეძებდი სარდაფში დუქანს,
ღვინო მეწადა გამშრალ ყელში ხარბად ჩამესხა.

წმინდა მთის ძირას შემეგება დოსტად უცნობი
ერთად შევსვათო – მომაწოდა სავსე ფიალა,
თითქოს ვიცანი სილუეტი გულჩათხრობილი,
თითქოს ფუნჯები მაგიდაზე ააფრიალა.

ნიკალა იყო.. დარდი სჭამდა საფლავდაკარგულს
ჭიქის წამქცევი არ დამრჩაო მითხრა ბუბუნით,
ჩემს მარგარიტას გადაეცი, რომ ისევ მიყვარს
და სამარეშიც მისით ფეთქავსო მკერდი გუგუნით.

წუხელ მესიზმრა პაემანი მქონდა მუზასთან...
და ფიროსმანიც მაედნის ბოლოს მელოდებოდა,
წუხელ პირველად მე არ მსურდა აისის ხილვა,
წუხელ პირველად არ მსურდა, რომ გამღვიძებოდა.

23.09.2019 წ.

რა ფასი აქვს...

რა ფასობს მეტად ძვირად?
და რას არა აქვს ფასი?
ალბათ, ის, რაც რომ არ გვაქვს,
თუნდაც, გრაალის თასი.
ალბათ, მას, რაც არ გვყოფნის
სითბოს, ღიმილს და ვნებას,
 რასაც ნატრულობს გული,
და ოცნებებში ფრენას.
და სხვა მრავალსაც არ აქვს
ფასი, სუნი და გემო...
როცა ხედავ და არ გაქვს
უფლება, რომ შეხედო.
როცა შეხება გინდა
და ვერ ეხები ხელით,
როცა გრძნობ და ვერ აღწერ,
ვერც კალმით და ვერც ენით.
ფასი არა აქვს სიტყვას,
როცა ვერ ამბობ სათქმელს...
ფასი არა აქვს სევდას,
თუკი ვერ არქმევ სახელს...
ფასი არა აქვს ლოდინს,
 არც ლელთ ღუნიას ყოფას...
როცა ხალხში ხარ, მაგრამ

ესწრაფვი მარტო ყოფნას.
ფასი არა აქვს მიზანს,
თუკი ვერ იწყებ ბრძოლას,
თუ არ გწამს, არ აქვს ფასი
რაბინს, მღვდელსა და მოლას.
ფასი არა აქვს მზესაც,
თუ ვერ უსწორებ მზერას...
და ყველაფერი სხვა კი
ჰგავს ფარშევანგის მღერას.
ასე რომ, იქნებ მამცნოთ...
გატეხეთ ვინმემ ნავსი
და ზემოთ თქმულის შემდეგ
გვაქვს კი რაიმე ფასი?

15,03.2018 წ.

რაც თქვენთვის სახელმწიფოა

რაც თქვენთვის სახელმწიფოა,
სამშობლო ჰქვია ჩემთვის.
ენა ყავარზე გაგიდევთ,
მე სიტყვაც კი არ მეთქმის.

თქვენთვის ეს მხოლოდ ქვეყანა,
სამშობლო – მხოლოდ ჩემთვის,
ეს თქვენ ხართ მოქალაქე და
მე მხოლოდ შვილი ქვეყნის.

რაც თქვენთვის საძოვარია,
სამშობლო ჰქვია ჩემთვის.
თქვენთვის ლიტონი სახელი,
საფიცარია ჩემთვის.

თქვენთვის – წყლის ორი ნაკადი,
წმინდა ალაგი – ჩემთვის,
მე იმ ადგილის შვილი ვარ,
მტკვარი რომ არაგვს ერთვის.

დიახ ეს – სახელმწიფოა,
სადგომ–ალაგი თქვენთვის...
თქვენთვის, რაც მხოლოდ სახლია,
სამშობლო ჰქვია ჩემთვის.

ამ ქვეყნის მიწა თქვენ და მე,
თუ ერთნაერად გვიტანს
თქვენ, მხოლოდ მიწაზე ცხოვრობთ
მე კი ეს მიწა მიყვარს.

ათასი ჯურის ხიზანი
თავის ,,უფლებას" იცავს,
ვუყურებთ, როგორ გვტაცებენ
ადათს, ენას და მიწას.

უცხო ,,დაფდაფის" ჰანგებზე
ბევრმაც დაიწყო როკვა,
არ მობეზრდებათ, არასდროს
გაწვდილი ხელის ლოკვა.

თქვენთვის გაშლილი ფურშეტი,
არამი ლუკმა ჩემთვის,
ვერ დამავიწყებთ ვერასდროს,
დიდგორს, მარტყოფს და ხერთვისს.

ადათ–წესების გინებით
იწყებთ ზნეობის ქილიკს,
ოთხივე მხრიდან უტევენ
ტაძრად მიმავალ ბილიკს.

და, თუკი, საქართველოში
აღარც ქართული გესმით,
უცხოტომელი მავანი
ფურთხსა და ტალახს გესვრით.

ბოზი გიკითხავთ ლექციას,
ქურდი გარიგებთ ჭკუას,
და საკუთარი ქვეყნიდან
გარგებენ მხოლოდ ყუას.

თუკი ჩურჩულით ლოცულობთ,
გრცხვენიათ თქვენი რწმენის,
არც ღირსი არა ყოფილხართ
ამ ცის, მიწის და ენის.

და იცით, ეს რატომ ხდება?
ბოლოჯერ ავხსნი თქვენთვის!
სახელმწიფოა – ყველასთვის
სამშობლო – მხოლოდ ჩვენთვის.

12.05.2018 წ.

სამი ევრო

როცა უფალი გაიყიდა ოცდაათ ვერცხლად,
ადამიანსაც განესაზღვრა თავისი ფასი...
ვიღაც მუქთაა, ორიოდე გროშიც არა ღირს,
ხოლო ვიღაცის საფასურია ჩალა და ხავსი.

თუ საკუთარი თავის ფასი კაცმა არ იცის,
რაგინდ სიკეთე აკეთო და ქვეყნად აბევრო,
ფასი არა გაქვს და სხვასავით შენც გაგყიდიან...
ან ჩირის ფასად და ან სულაც სამიოდ ევროდ.

ისე გაგცვლიან, როგორც საგანს, ნახმარს, უსულოს
და სარეცელზე ისე მშვიდად დაიძინებენ...
თითქოს გრძნობები, თითქოს გული, სულაც არ გქონდეს
აღარ სჭირდებით? მაშასადამე დაგიკიდებენ.

სამი ტალანტი, სამი დრაჰმა, სამი მანათი,
სამი დოლარი, სამი ვერცხლი ან სამი ევრო,
ეს არის ფასი, რითიც ბოლოს გადაგიხდიან...
ამიტომ თავზე არვის არ ღირს, რომ შემოევლო.

რასაც დასთესო, იმას მოიმკი – ბრძენთ ასე უთქვამთ,
ჩემგან დათესილს, თქვენმა გვალვამ გადაურა
თქვენ რა დათესეთ? და მოსავალს როგორს მოელით?
თუ კი თქვენს ნათესს, თქვენსავით სხვამაც არ მოუარა?

სხვა რა გზა არის, დაველოდები ხვალ აუქციონს,
საწყისი ფასი სამი ევროა – აბა ვინ მეტი ?!
და, ალბათ, ვიღაც მეც მიყიდის, თუნდაც უსულოს,
იქნებ ვიღაცამ შეისყიდოს მკვდარი პოეტი.

რაციონალებს აუღიათ მთელი ბაზარი,
დახლზე გვყიდიან ცივი ღიმილით, ყალბი გრძნობებით,
მეც მიყიდიან, სამიოდ ევროდ არა ვარ ძვირი,
აბა ვინ მეტიი ?! ამ შეძახილით გემშვიდობებით.

დღეს ყველაფერი იყიდება, ანდაც იცვლება
გამაიაფეს, ,,სეილია", მუშტარო – გესმის ?!
ინფლაციაა და გრძნობების კურსი დაეცა,
ცივი გონება დღეს ცხელ გრძნობებს მონეტებს ესვრის.

ხვალ მეც შევძახებ, როგორც მონა ტყვეთა ბაზარზე
მე ერთგულების გამო მყიდიან, მუშტარო – გესმის ?!
ინფლაციაა, ადამიანის კურსი დაეცა
და ის შემიძენს, ვინც სამ ევროზე ცოტა მეტს მესვრის.

ქარი

რა გაღმუვლებს, რისთვის დაქრი,
გრიგალად ვინ გაგაჩინა?
ზამთრის სუსხში ვის დაეძებ?
მშვიდად ვინ არ დაგარჩინა?

რომ დალეწავ ხის ხმელ ტოტებს,
მოგეშვება გულზე განა?
ვინ შეგიქებს ბობოქრობას,
ვის რად უნდა შენისთანა.

იქნებ, ვინმემ გაგაბრაზა
ვერ მიგიხვდი, გტკივა რამე?
სიყვარულმა გადაგრია
მას დაეძებ დღე და ღამე?

აბა, ცოტა დაუყვავე,
ის ხომ გელის, როგორც სიოს,
იქნებ სწორედ თოვლს ქვემოდან
ამ დროს თავი წამოსწიოს.

გაგიღიმოს, მორცხვად, კდემით,
გულს მოედოს შენი ტრფობა,
ეგ გრძნობები დაგიოკოს,
გაგიწიოს მიჯნურობა.

და ბუნების დიდ ტაძარში
ჯვარს, რომ დაგწერთ გაზაფხული,
მოწმედ ია წაიყვანეთ
და ჩუხჩუხა ნაკადული.

ყველა იმ დროს გაიხსენებს
დიდპატარა, კაცი, ქალი,
როცა სიო ნეფე იყო
და ენძელა პატარძალი.

ქვის გული

ქვის გული აქვსო, ამბობენ ასე,
ნეტავი ვინმეს თუ ესმის ფეთქვა?
ენა არა აქვს და ვერას ამბობს
და იქნებ მასაც სურს რაღაც ეთქვა.

დაუგდეთ ყური ასხლეტილ ლოდებს,
როგორ ეშვება უფსკრულს ზრიალით,
ისიც ხომ დედა კლდის კალთას მოსწყდა,
და ისიც დედას უხმობს ღრიალით.

არც კლდე დუმდება, მოთქვამს და ვაებს,
ცრემლი სდის ღორღად, ავსებს ნაპრალებს,
დარდით და ჭმუნვით უჩნდება ბზარი,
და ქვის გულიდან ნაღველს აპარებს.

მხოლოდ ოსტატი ხედავს სიცოცხლეს,
მხოლოდ ოსტატებს ძალუძთ გაგება,
ქვის ლოდისაგან შექმნან სიცოცხლე,
და უფლის სახლის მათგან აგება.

სულსაც შთაბერავს სამრეკლოს ზარი,
მოიკეკლუცებს, მოინატიფებს,
კვლავ დაადგებათ იმედის სხივი,
კვლავ გახედავენ გაღმა სათიბებს.

შენც ეახლები იმ ტაძრის ლოდებს,
შუბლს მიაყრდნობ და ემთხვევი კრძალვით,
გუშინ თუ ვერას ხედავდი მათში,
დღეს უმზერ მდაბლად და უმზერ მალვით.

არა აქვთ ენა, თორემ სათქმელი?
ვერვინ აღწერს და ვერავინ იტყვის,
რამდენი ჟამის არიან მომსწრე,
რამდენი გრძნობის, რამდენი სიტყვის!

აწი თუ სადმე ნახავ გაწოლილს,
მშვიდად მთვლემარეს საღამოს ბინდში,
ფეხს ნუ წამოკრავ, გახსოვდეს მუდამ,
ხვალ მასთან მიხვალ მლოცველთა რიგში.

05.12.2010 წ.

შატილი

შატილის ნანგრევებს შორის
ყვაოდა ყაყაჩო ობლად,
ჩიოდა გულისთქმას თვისას
მომწყვეტიც არ დარჩა სოფლად.

პირქუშ სიცივით ლოდნი
მდუმარედ ჩიოდნენ ყოფას,
ვერა ჰგუობენ დღესაც
ხევსურთ უაბჯროდ ყოფნას.

არავინა ჩანს კოშკზე,
მატყლს არავინ რთავს ბანზე,
მხოლოდ ნიავი სუსტი
ყვავილს ახეთქებს ქვაზე.

სათოფურეებს შორის
აღარ კრთებიან თვალნი,
არ ელვარებენ მზეზე
ქეთელაურთა ხმალნი.

აღარც ლუდს ხარშავს ვინმე,
აღარც ფანდურის ხმა ჟღერს,
არც სალამური ატკბობს
მთაში მეცხვარის ნამღერს.

ვეღარც ნაბადი ვნახე,
ქვეშაგის ნაცვლად ზვინზე,
აღარც კისკისი ისმის,
თითქოს, სიცოცხლის ჯინზე...

თითქოს, სევდაა მხოლოდ,
ნაღველი ქვის და კირის,
თითქოს, ქარაფზე ჯიხვიც,
თავის გულისწორს ტირის.

ასე კენტად დგას მუცოც,
ისიც სევდისფერ ნისლში,
გაბუტულია თითქოს,
ყინვამ დამსუსხა სისხლში.

ლამაზი, მაგრამ კუშტი,
ცისკენ კოშკებს რომ იწვდის,
ქვის გოლიათი თითქოს,
აწყმყოსთვის ბოდიშს იხდის.

ბოდიშს, რომ გაძლო დღემდე
და არ დაემხო მყისვე,
როცა დატოვეს ობლად,
და თავი ქალაქს მისცეს.

დიახაც, ბოდიშს იხდის
ამ გულგრილობის გამო,
თითქოს ეძახის სინდისს,
გაშეშდი დრო და წამო...

სულ ერთი წუთით შესდექ,
შეხედე ქონგურს დაშლილს,
გახსოვდეს, ღალატს მთისას
დრო ვერასოდეს წაშლის.

მუცოს ნაკვნესმა სიტყვამ
მყისვე მიწია გულში,
სინდისის წყევლა მესმა
სევდა ჩამიდგა სულში.

ანატორიას მისულს
აკლდამის სუნი მეცა,
შევხედე ძვლების გროვას
ნეტავ, შევძლებდი მეცა?

აქ მოვსულიყავ ჩემით
და სიკვდილს, როგორც სატრფოს,
დავლოდებოდი მშვიდად,
როცა მზე ლოდებს ათბობს.

როცა შხეფს ისვრის ჩქერი,
როცა სიცოცხლე ხარობს
შევძლებდი, ჩემი ნებით
მივბარებოდი ხაროს?!

ასე ფიქრებით უკან
კვლავ მოვადექი შატილს,
თითქოს დავლანდე ბინდში
ვიღაც მიქნევდა მანდილს.

თუმც ბოლო სხივთან ერთად
ჩემი ზმანებაც გაქრა,
თითქოს იმედის ჭრაქი
მიინავლა და ჩაქრა.

დარჩა პირქუში, ცივი
ქვაფიქალების წყობა,
თითქოს ხევისბერ კოშკებს
არც როს ჰქონიათ ყრმობა.

გაბუტულ მიჯნურს ჰგვანან,
შატილი, თითქოს უცხოს
ვნებით და კრძალვით უმზერს
მასავით ობოლ მუცოს.

ჩემს კუთხეში

ჩემს კუთხეში, ბალახს სულ სხვა სუნი უდის,
ჩემს კუთხეში ცვარს სულ სხვა აქვს ბრწყინვალება,
ჩემს კუთხეში ბია ყვავის ისე ნაზად,
თითქოს მასში სისპეტაკე იმალება.

ჩემს კუთხეში როცა შინდი აფეთქდება,
ალუბალი როცა პირველ ყვავილს გაშლის,
აზალიას თითქოს ცეცხლი მოედება,
და ყაყაჩო მწვანე მოლზე სუფრას გაშლის.

როცა შაშვი იჭახჭახებს ბჟოლის წვერზე,
და მოლაღურს წამოსცდება ჩუმი სტვენა,
მაშინ ხვდები, სხვაგვარია ყველაფერი,
გეუფლება კვლავ ბავშვური აღმაფრენა.

როცა ღამეს გაანათებს ბროლის მთვარე,
და მდინარე წაგიმღერებს მეგრულ ნანას,
როცა სიო მოგონებებს აგიწეწავს,
გაიხსენებ მყისიერად ოქროს ხანას.

მაშინ ხვდები, რომ კვლავ გიყვარს ყველაფერი,
რომ ვერ გაცვლი ამ კეცის მჭადს ვერაფერზე,
მაშინ ხვდები, რომ ფესვები გეძახიან,
და ამისთვის წამსვლელი ხარ ყველაფერზე.

ჩემს კუთხეში სხვა სუნი აქვს ბუხრის კვამლსაც,
ჩემს კუთხეში ცასაც დაჰკრავს სულ სხვა ფერი,
ჩემს კუთხეში სხვაგვარია მზის ჩასვლაც კი,
მიტომ მიყვარს ჩემს კუთხეში ყველაფერი.

ცხრა ძმა

ცხრა ძმა ხერხეულიძე
განა მხოლოდ ცხრა იყო,
ვინც იმ ველზე დაეცა,
ყველა მათი ძმა იყო,
ყველას ერთი ძუძუდან
ქართველობა ეწოვა,
ერთი ჰქონდათ მიზანი
მტერს არ გადაეძოვა,
მათი მთა და ველები,
ამისათვის დააცხვეს,
ბევრგან ობლის კვერები.
ამისათვის შემოსეს
ძაძით სატრფოცოლები,
ამისათვის შეღებეს
წითლად მწვანე მოლები.
ერთ სხეულად იბრძოდნენ,
ერთ სხეულად დაეცნენ,
სიკვდილს არ შეუშინდნენ
არავის არ გაექცნენ.
იმიტომ რომ იმ ველზე,
სისხლით ყველა ძმა იყო
ცხრა ძმა ხერხეულიძე
განა მხოლოდ ცხრა იყო.

ძმობილი

იდუმალ ღამის ფრთხილი ნაბიჯი
საღამოს ბინდში ისევ გაისმა,
კვლავ სასაუბროდ მესტუმრა ღამე,
კვლავ მეგობრობა მითხრა დაისმა.

მთვარის ანარეკლს გულს ვუხსნი მყისვე,
როგორც არავის მე მას ვენდობი,
მესაიდუმლედ მე ვარჩევ ღამეს,
და დღესაც სწორედ მას გავენდობი.

გავუმხელ ფიქრებს, სევდაგაჟღენთილს,
ჩავაცქერდები თვალებში წყვდიადს,
ღამესთან ერთად, ერთ ჭიქას შევსვამ
მასთან გავტეხავ მშვიდობის ხმიადს.

გადავეხვიეთ ფიცვერცხლ ნაჭამი
ძმობა შევფიცეთ ფანჯრის რაფაზე,
მე პაიკი ვარ, ის კი სტატისტი
ცხოვრებისეულ შავთეთრ დაფაზე.

აღმოჩნდა თურმე, რომ მასაც სტკივა,
და მასშიც წვეთავს მწარე ნაღველი,
რომ მას ღალატთან არა აქვს ხელი,
რომ შეუბღალეს ურცხვად სახელი.

რომ იყენებენ ვიგინდარები
და, რომ ბავშვებსაც მისით აფრთხობენ,
ბოროტებასთან გააიგივეს
და შიშით შუქსაც აღარ აქრობენ.

რატომ და რისთვის ვერ გაუგია,
ის ხომ სიმშვიდით არის ცნობილი,
არც სინათლეთან არა აქვს დავა
არიან ერთი დედის შობილნი.

ერთურთს ვუსმენდით ორი ძმობილი
და მოზიარედ ვიქეცით ხვედრის,
განთიადისას დავემშვიდობეთ
დავდეთ პირობა კვლავაც შეხვედრის.

სამბა ნიავთან

წუხელი ქროდა და ჩემს სარკმელთან
ნიავი ფოთოლს ეცეკვა სამბას,
თითქოს ცდილობდა თავბრუს დახვევას
და სამუდამო რომანის გაბმას.

დაჰყვა ცდუნებას, მოსწყდა ფოთოლი,
მიენდო იღბალს და აჰყვა ნიავს,
წარმოიდგინა, გრძნობის კოშკებში
მიჯნურს ჩაკრული თუ როგორ მიაქვს...

ჰოდა, ეცეკვა თავდავიწყებით,
თითქოს ლეგენდა შედგა ტრფობაზე,
მაგრამ რიყრაყზე მიტოვებული
ფოთოლი ეგდო ნაგვის გროვაზე...

მიხვდა, გაერთო მისით ნიავი
და ერთი ღამის მხევალი გახდა,
დილით სულ სხვასთან გააბა ფლირტი,
დილით ნიავი სულ სხვასთან დახვდა.

გამოიყენა, როგორც უსულო,
გაცვალა უფრო მწვანე ფოთოლზე
და ახლა ის სხვა ჰყავს საფიცარი,
სხვას მიაქანებს ვნების საწოლზე.

არადა, რარიგ ცეკვავდა სამბას,
არადა, რარიგ შესციცინებდა,
რას იფიქრებდა, დილით სიმწრისგან
ნაგვის გროვაზე გაიცინებდა.

ჰოდა, ასეა ამ სამყაროში,
ზოგი ფოთოლს ჰგავს და ზოგიც ნიავს,
ანგარებას ხომ წრფელი გრძნობები
ადრე თუ გვიან ნაგავთან მიაქვს.

30.08.2019 წ.

სანაპიროს როსკიპები

თუ დიდუბეს მიაშურებთ, ახლად შებინდებულს,
აქ შეამჩნევთ დასტა–დასტა გზაზე ჩალაგებულს...
ნაირ–ნაირ არჩევანის ღამის ანგელოზებს,
აქ, თავისი ,,სამოთხე“ აქვთ სანაპიროს ბოზებს.
აქა დგანან თოვლში, ქარში, ახალი წლის ღამეს,
ყველა ვნებით აფახულებს, გადათხაპნილ თვალებს.
ყველა ამვლელს აჩვენებენ ვნებით სავსე ნაბულს,
და არიან მუშტარისთვის ყველაფერზე ყაბულს.
ფოთოლა აქ ოლად იქცა, მაყვალა კი ალად,
ვიკა, დიკა, თიკა, ჟანა – ერთი ღამის ქალად.
ისტორია, ყველას მსგავსი, არც ღირს საკითხავად,
ზოგი შიმშილს გამოექცა, ზოგს არ ახსოვს თავად.
ზოგს შვილი ჰყავს სარჩენი და მწოლიარე დედა,
ზოგსაც ქმარი ნარკომანი, დღენიადაგ სცემდა.
ზოგი სატრფომ შეაცდინა, ზოგიც ბოსის ქებამ,
ზოგს არ ეყო მოხუცი ქმრის ღამის მოფერება.
ზოგი ისევ სინდისს ებრძვის, მორცხვად მალავს თვალებს,
ზოგი თავის ფასს რომ ამბობს, ხმაც კი უკანკალებს.
სევდა ყველას საერთო აქვს ლუკმაპურის შოვნის
და იმედი გულუხვ მუშტრის ალალბედზე პოვნის,
მაგრამ, განა ვინც აქა დგას, ყველას ნებით სურდა?
საკუთარი ხორცის ფასად რომ მიეღო ხურდა?
განა მათში არვინ ეძებს თავის სულის ნათელს?
განა ხატთან არ აწყობენ სეფისკვერს და სანთელს?
ზოგი სულით სუფთა არის, თუმც სხეულით ბოზი,
ზოგში დღემდე ისევ სახლობს, უფლის ანგელოზი.
ზოგი ბოზი სჯობს ქალაქის ბომონდ ელიტარებს,
ხორცს რომ ფარავს მხოლოდ ბრენდით, ნაკლებს არ იკარებს.
თუკი შანსი გამოუჩნდა, ქმარს აახევს დაქალს,

მერე ისევ სარფიანად მოინაცვლებს ახალს...
ეთერიდან რომ დამოძღვრავს ,,გოიმ“ თანატოლებს
და ,,მორალის“ შარავანდედს ბარში გაიყოლებს...
ხუთჯერ ქმარს რომ გამოიცვლის და თორმეტჯერ კუროს,
მოძღვარს რომ სთხოვს, ცოტა უხვად, ზეთი მიაპკუროს.
მერე ისევ რომ დაპრუწავს დასიებულ ტუჩებს,
და ,,გოგოშკებს“ ცხოვრებაზე ათას რამეს ურჩევს.
მეძავობას ვინ აკადრებს, ის ქალია პონტის,
ელიტაში ასე სექსი მიღებულა, მოდის...
ის ხომ მხოლოდ ,,გიარლფრენდია“, ევროპულად ხვეწავს,
ასეთი აქვს გამართლება მეძავთ შორის მეძავს.
ჰოდა, ახლა ვინ ბოზია და ვერ ძღება ფულით?
ის, თუ ხორცით მეძავია, ეს – როსკიპი სულით.
ის თუ მხოლოდ ხორცით ვაჭრობს და არასდროს გულით,
ეს – თავისი ბინძურ სულით, ვაჭრობს სიყვარულით.
როსკიპები, თავის გარდა, ვის აძლევენ ზიანს?
თუ მოძებნით, მათშიც ნახავთ ნამდვილ ადამიანს.
ნაირ–ნაირ არჩევანის ღამის ანგელოზებს,
აქ, თავისი ჯვარი დააქვთ, სანაპიროს ბოზებს.
ნუ გაკიცხავთ ლიკას, ვიკას, ჟანეტსა და ნინელს,
ვინძლო, აქაც კი წააწყდეთ თითო მაგდალინელს.

08.01.2020 წ.

სუნი და გემო

ყველაფერს ჰქონია გემო და სურნელი,
ყველაფერს თავისი ფერები ჰქონია,
სევდაც და ღიმილიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც
ადამის მონაგარს ფერებში გვქონია.

ნისლისფერ სევდას ხომ თამბაქოს სუნი აქვს,
გემო აქვს ნახევრად შეფერილ ქლიავის,
ზოგისას – ტალღებში მზის ჩასვლის ფერი აქვს,
ზოგისას – უდაბნოს მტვრიანი ნიავის ...

ღიმილი? ცისკარის, რიჟრაჟის ფერშია,
ნაკადულს არეკლილ მზის სხივის თამაშის
გემო აქვს ალუბლის, ხან– შინდის გემო აქვს,
სუნი აქვს თონეში მობრაწულ ლავაშის...

სიყვარულს მრავალი სახე და ფერი აქვს,
ცალმხრივს – წვიმისგან ამღვრეულ გუბურის
ჭურში ჩარჩენილი თხლის გემო გადაჰკრავს,
სუნი აქვს მიმწვარის, ჭვარტლის და გამურვის

ორმხრივი? ... კოცონის, ნაკვერჩხლის ფერია,
მარწყვის და ჟოლოსი, სიმწიფის სურნელის,
გემო აქვს ჩუხჩუხა რქაწითლის მაჭარის,
ქცევა აქვს ხან გმირის და ხანაც სულელის.

მონატრებასაც თავისი გემო აქვს,
როგორიც მთის წყაროს ფშავის და კლდეკარის,
ფერი აქვს ლილიის, ხან იასამანის
სუნი კი წიწვების ფიჭვის და კედარის

სიკვდილი? სიკვდილი ნაცრისფერ–თეთრია,
სუნი აქვს სარდაფის სინესტის, სიძველის
გემო აქვს ...თიხაში შეზელილ შაშკვლავის
და ენდროს ფესვების, ყველაზე ძირძველის...

სიცოცხლე ყველასთვის სხვადასხვა ფერშია,
სხვადასხვა სურნელით აღვიქვამთ სიცოცხლეს,
ზოგი კი გემოსაც ვერასდროს ვერ ატანს,
სიცოცხლის ბოლომდე შავთეთრად იცოცხლებს.

ყველაფერს თავისი სუნი და გემო აქვს,
ყველაფერს თავისი ფერები ჰქონია,
ჰოდა, მეც დავეძებ იმ ფერს, რაც ჩემია,
იმ გემოს, რაც აქამდე არასდროს მქონია.

16.08.2018 წ

ფრთები შემასხიპე

ფრთები შემასხიპე, რომ არ გაგიფრინდე,
რომ არ გამიტაცოს სევდის ნიავქარმა,
ხელი არ გამიშვა, ე მანდ არ გაგექცე
და შენც არ წაგიღოს ცრემლის ნიაღვარმა.

სულში ჩამეღვარე, გულში ჩამელექე,
ენა დამიდუმე, თვალი გამირინდე,
ხელი არ გამიშვა, მაგრად მომეჭიდე,
ფრთები შემასხიპე, რომ არ გაგიფრინდე.

შენად დამაპურე, შენად დამამშვრალე,
შენად გამიფრთხილდი, სხვისგან განმარიდე,
თვალი არ მომწყვიტო, წამით არ დამტოვო,
ფრთები შემასხიპე, რომ არ გაგიფრინდე.

შენად დამიტოვე, შენად დამატყვევე,
მხრებზე მომახვიე, შენი გრძნობის რიდე,
ხელი არ გამიშვა, რომ არ გამოგისხლტე,
ფრთები შემასხიპე, რომ არ გაგიფრინდე.

19.12.2019 წ.

ხევსურული ბალადა

დიაცო, თავზე რეტს მასხამ
დაღალულდამაშვრალსაო,
შორით მახელებ გრძნობებით,
ახლო არა მცემ ხმასაო...

თითქოს მიჯნურად გამიხდი,
გრძნობებს პასუხობ ზვავსაო,
მაგრამ იმავ დროს გამირბი,
ეს რა დავმართე თავსაო.

ან მამკალ, ან დამარჩინე,
ერთად ვიაროთ მთასაო,
თუ გული ჩემად გააღე
რად უნდა დარჩე სხვასაო.

ღრუბლებში ატაცებული,
რაღაზედ ფიქრობ ავსაო,
დაბლა ვარდნისა შიშითა
ქორი ვერ გაშლის ფრთასაო.

ხოხვით ვერ ახვალ მწვერვალზე
ფეხი წაგცდება სალსაო,
კლდე დაიხუვლებს, მოსწყდება,
შენც თან ჩაგიტანს ბარსაო.

ნეტარებას თუ ჰპოვებდი,
თვალს რად აყოლებ სხვასაო,
თუ გული ჩემად მოგიწევს,
ყურს რას უგდებდი ჭკვასაო...

თუ მარტო შაირ კაფიად
სიტყვებს ატანდი ქარსაო,
რას მემართლები, რას მერჩი,
ცოდვად რად იგდებ თავსაო.

ოხ, ერთი ჩამამაძინა
მაგ შენი კალთის ძღვარსაო,
გულში მყავხარ და ვერ გწვდები,
თვალში ვერ გიყრი თვალსაო.

ჰოროსკოპი

ასტრონომთა ჯაფაშრომა,
ახლა მსურს, რომ მართლაც ვაქო,
ეს რამდენი ოფლი ღვარეს,
რომ შეექმნათ ზოდიაქო.
კუროს თევზი შემიყვარდა,
შვილი იშვა მშვილდოსანი,
ასეთ შედეგს ვინც განსჭვრეტდა,
მართლაც იყო გულთმისანი.
ვერძი ლომთან აბამს რომანს,
მორცხვად იწყებს კეკლუცობას,
თხის რქასთან კი მეცოდებით,
ვინც დაკარგავთ ქალწულობას.
უანგარო მეგობრობა
აქვთ კირჩხიბს და მორიელს,
ხელი რომ არ შეეშალოთ,
თუ დავუდგამთ ვოლიერს.
ჰგონია, რომ ერთი უყვარს,
მერწყულსაც ჰყავს საფიცარი
ტყუპებს გაჰყვა, ახლა წყალი
ორმაგად აქვს საზიდარი.
ვერასოდეს გადაწყვეტთ,
ვერასოდეს აწონით,
სულ ეჭვებში იქნებით,
თუ გვერდით გყავთ სასწორი.
მეგონა, რომ მაკმარეს
ეს ამდენი ქილიკი,
ახლა იაპონურად
გამიკვალეს ბილიკი.

მიმტკიცებენ, რომ ვარ კატა
მჩხავანა და ავი,
ჩვენს შორის მტყუანს არ ეღირსოს
ბარაქა და ხვავი.
ზოგს ვეფხვობა დააბრალეს,
ზოგს ღორობა დასწამეს,
კაცის სახელს ვინც დაირქმევს,
ვარსკვლავები აწამებს.
ვერ ვეწყობი ჰოროსკოპს,
ვინც რა უნდა მითხრას,
ადამიანს ვერ ვუწოდებ
გველეშაპს და ვირთხას.
ვისაც გსურდეთ, დე იყავით
მამალი და გველი,
ღვთის ხატობა თუ არ გაწყობთ,
მოგემართოთ ხელი.
გინდა ცხენად წოდებულხართ,
გსურთ და გშვენით ძაღლობა?
ყველა დანარჩენებმა
უფალს ვუთხრათ მადლობა,
რომ ვშობილვართ, გავზრდილვართ
გხვმობენ ადამიანად,
მიწისაგან შექმნილნი
მიწად ვიქცეთ მთლიანად.
ჰოროსკოპის შემქმნელებს
გავუმხნევოთ გულები,
ყველა ერთად ყოფილხართ
ნიშნით მაიმუნები .

11.02.2011 წ.

ქართული სისხლი

ყველა ქართველში არის დავითი
და ლიპარიტმაც ყველგან იბუდა...
ყველა ქართველში ცოცხლობს იესო
და სადღაც, იქვე, სახლობს იუდა.

ყველა ქართველში თვლემს ცოტნეს გენი,
ყველა ქართველი დაცემას ნანობს,
გუშინ ფიცვერცხლით შეკრული სისხლი
დღეს მხოლოდ ვერცხლობს და შადიმანობს.

დღეს ქართულ სისხლში მიძინებულა
ქუჯი, დემეტრე, მღვდელი თევდორე,
და დანავარდობს და დახარხარებს,
ამავე სისხლის ყველა მედროვე ...

ჰო, გენო ჩემო და ჩემო სისხლო ,
მარადიული ხარ ბრძოლის ველი,
შემკული ყველა ნაკლით, ღირსებით
და ცოდვა– მადლის მატარებელი..

ჰო, ჩემი სისხლის, მუდამ მშფოთავის,
დღეს ამღვრეულის ველი დაწმენდას,
ვიცი, მოითხოვ მსხვერპლად მოწამეს..
და მწამს, რომ შეძლებ ისევ განწმენდას.

ჰო, ჩემო სისხლო, ქართულო სისხლო,
შენ ასეთი ხარ – ურჩი და შმაგი,
თან საარაკო და თან უზნეო,
ცოდვაც და მადლიც გადევს ათმაგი.

ქართული სისხლი ბრძენის და შლეგის,
მძიმეა ჯვარი ამ სისხლის ქონის,
სისხლი რაინდის, სისხლი მოწამის
და იმავე დროს სტომაქის მონის.

ყველა ქართველში დუღს გმირის სისხლი,
თუმცა ღალატმაც ვხედავ იბუდა,
ჩვენში თანაბრად ცხოვრობს უფალი...
და სადღაც, იქვე, სახლობს იუდაც.

25.11.2019 წ.

ქაცვის ჭალა

ჩემი ცხოვრება ნისლში ჩაძირულ
ბურუსით მოცულ ქაცვის ჭალას ჰგავს,
დღეებს ეკლების, წლებს კი ნაყოფის,
სიყვითლისფერი სევდა გადაჰკრავს.

ბუნდოვანების დგას ოხშივარი
და სინანულის მცემენ ზვირთები,
ალბათ, გავარღვევ ამ ეკლის ალყას
და იარებში გამოვიწვრთნები.

ალბათ, ვიპოვი გზას სამშვიდობოს,
და, თუ მივაღწევ მე ჩემს საყანეს,
იქ ავიშენებ გრძნობების ფაცხას,
ჩემს ოდაბადეს და ჩემს საყავრეს!

09.12.2019 წ.

ქვიშის საათი

ვგრძნობ, დგება ჟამი ქვიშის საათის,
შემინულ კედლებს დრო დაჰკრავს არგანს,
ქვიშის მარცვლებად გადავიქცევი,
ქვიშად, რომელიც სიცოცხლეს არ ჰგავს.

ჩავიმარცვლები სადღაც ნაპრალში,
სიცარიელის შევავსებ დაბლარს,
განმაქიქებენ იქედნეს ენით...
შეთხზავენ ათას ტყუილს და მართალს.

და მერე ისევ მოგონებები
გადაივლიან, როგორც სარანჩა,
ქვიშა შემუსრავს ყველა ნაკვალევს
და ყველა სათქმელს, გულში რაც დამრჩა.

გარბიან წლები და ვიმარცვლები,
სხეულით ვავსებ ნაღვარევ ნაპრალს,
ქვიშის საათი ერთნაირად ნთქავს
ყველა გენერალს და ყველა კაპრალს.

და, სანამ ჯერაც არ ჩამოვცლილვარ,
მარგილს ავაბამ შატროვან ალამს.
ზედ ამოქარგულ სამიოდ სიტყვით,
ქედის მოდრეკით მოგიძღვნით სალამს.

და, სანამ ქვიშად ჩავიმარცვლები,
წარვიხოცები სევდით და დარდით,
სამიოდ სიტყვას დავტოვებ მხოლოდ:
გახსოვთ? ოდესღაც – ,,მე თქვენ მიყვარდით“...

29.08.2019 წ.

ღალატის ფერი

ღალატის ფერი ჰქონდა თვალები,
მაცდური ნიღბით – სახე ,,უმანკო“ ,
ტუჩებს სდიოდა წვეთებად ჟინი,
თმა ზღვად მღელვარე, თითქმის უნაკლო...

მკერდი – ვნებისგან გამსკდარი კვირტით,
სხეულზე ცეცხლის მროკავი ალით,
ხმა – სირინოზის თბილი ბგერების
და თოვლისფერი სპეტაკი კანით.

მხოლოდ შენი ვარ, შენ მიყვარხარო;
მეხუტებოდა, მკოცნიდა ყელში
და მაღვიძარის რომ არა კრინი,
ვერ ავიყვანდი თავს, ალბათ, ხელში.

წუხელის სიზმრად მეწვია ქალი,
ქალი –ჯერ ნორჩი, ხელუხლებელი
და ჩემი სულის წასაწყმედელად,
იღვწოდა ისევ თვით ბელზებელი.

გამოვერკვიე მზის პირველ სხივზე,
განვდევნე ეშმა დანამწყრალები,
გადავრჩი, რადგან შევატყვე ბედად,
ღალატის ფერი ჰქონდა თვალები.

18.01.2020. წ.

მე დავეძებდი ციცინათელებს

მე შენს თვალებში კვლავ დავეძებ ციცინათელებს,
ერთ დროს ქვის გულში აყვავებულ ეხევერიას,
მე შენს წამწამში ახლართული ნიავიც მახსოვს,
მახსოვს, მზის სხივიც მზერაში რომ შემოგერია.

მახსოვს! გოგონა მოცქრიალე ნაკადულივით
და ზღვის ტალღებად აქოჩრილი ვნებებიც მახსოვს,
მახსოვს! მე შენი უსასრულო სევდის მორევიც
და შიშველ მხრებზე ნოსტალგია თუ როგორ გათოვს.

მე ვხედავ თმაში აფეთქებულ წაბლის ყვავილებს
და შენს ბაგეებს გამონასკვნილს კოწახურებად,
მახსოვს, თუ როგორ მოფრთხილებით წნავდი კესანებს,
მახსოვს გრძნობები, გონების რომ არ ეყურებათ.

მახსოვს რითმები, არეული და გაფანტული ,
ის მთვარეც მახსოვს, ლოდინში რომ ღამეს ათენებს,
მახსოვს! ოდესღაც შენ იყავი ჩემით გართული,
მე კი შენს სულში დავეძებდი ციცინათელებს.

10.12.2019 წ.

ცხოვრების ჯინაზე

ბევრჯერ მიხუმრია გულმუცელამღვრეულს
ბევრჯერ მიცინია ტკივილის ჯინაზე,
ბერვჯერ მომიკვნიტავს ტუჩები სიმწრისგან
ყოფნაც მინატრია სიცოცხლის მიჯნაზე.

ბევრჯერ მარტოობა წყლის პირას მომიკლავს,
მწყურვალეს ნაღველი ყანწებით მისვია,
სიტყვა მომიხრჩვია სახმო იოგებით,
ხშირად აფრენილი ფიქრისთვის მისვრია.

ძალით დავშვებულვარ ღრუბლიდან მიწაზე,
სული მომიხმია ჰორიზონტს გასული,
ცრემლი ჩამიყლაპავს იმედის ყლუპებით,
თუმც არ მინანია არასდროს წარსული.

ჰო, არ მინანია, მოხედვის არ მრცხვენია,
დღესაც, როგორც უწინ, ჩაგხედავთ თვალებში
სხვისი არაფერი არასდროს ამიღია,
სხვასთან არ ჩავფლულვარ არასდროს ვალებში.

მხოლოდ საკუთარი სულის ვალი მადევს,
ცოდვა–მადლი იწვის ორთავე პინაზე,
დღესაც წაგიმღერებთ ნაცნობ მელოდიას,
დღესაც გაგიღიმებთ ტკივილის ჯინაზე.

დღესაც გავიხუმრებ, მერე ისევ ჩემთვის
ოცნებებში შევკრავ ერთი–ორ კამარას,
ტყეში გავიჭრები, წყალთან ვიჩურჩულებ,
ჩემთვის გავიყოლებ ფიქრების ამალას.

და, თუკი, ხანდახან ჩემთვის გავიღიმებ
მერე, როგორც ბავშვი, გადავალ ყირაზე,
ნუღარ შეიმჩნევთ და ნუღარ შეიცხადებთ,
მე ხომ ასე ვცოცხლობ ... ცხოვრების ჯინაზე.

ჭიდილი

როცა გული მოერევა გონებას,
ნუ დაიწყებ ბედ–იღბალზე გოდებას.
არ დაგიდევთ სახელსა და წოდებას,
ნუ ეცდები მისთვის კვანტის მოდებას.
ვერვინ გათვლის მის შედეგს და ქმედებას,
რას გაუგებ გრძნობის შემოქმედებას.
გრძონება არ სცემს თაყვანს გათვლილ ნაბიჯებს
და შენს გვამზე ვნებით გადააბიჯებს.
აგამჩატებს, აგწევს, აგატრიალებს,
ნაკვერჩხლიდან ცეცხლად აგაბრიალებს.
გაგიტაცებს, ღრუბლებისკენ წაგიღებს,
ოცნებისთვის, სუყველა კარს გაგიღებს.
ყურს დაგიხშობს, თვალთახედვას დაგივსებს,
ყველა სასმისს ბანგ–ბახუსით გაგივსებს.
არ დაგიდევთ დასკვნასა და ანალიზს,
არც რჩევას სთხოვს, არასოდეს არავის,
მაგრამ, თუკი გულს აჯობა გონებამ,
მოიმატებს დოვლათი და ქონება,
შეიქმნება სტატუსები ცვენაზე,
სულ იქნები ლოჟაში და სცენაზე.
თაყვანს გცემენ თითქმის ყველა ენაზე,
ამხედრდები წარმატების მერანზე,
მაგრამ, ერთხელ, გულსაც ძალუძს განანოს,
როცა ფულით ვერ იყიდი ანანოს.
ვერ მოხიბლავ, თამარს, ჭრელი ფარჩებით
და სიკვდილსაც მაგ ქონებით დარჩები.
დაბერდებით მდიდარი და ეული,
ჭკუით ბრძენი, ხოლო გულით სნეული.
მართალია, ეყვარები ბანოვნებს,
ვნება–ჟინი არც მათთან დააყოვნებს,

მაგრამ კითხვის სულ გექნება მონება,
შენ უყვარხარ, თუ ის შენი ქონება?
ეჭვი დაგღრღნის სასტიკი და ავსული,
ხომ არ არის ანგარების ასული?
და ცხოვრებაც გაილევა ეჭვებით,
სანამ თავად ფსკერზე არ დაეშვები.
ერთი რჩება, რომ ორივე დაზავდეს,
გულის გრძნობა, ნაფიქრალით გაზავდეს.
ცეცხლს და ყინულს მოუნახო საერთო,
ამ ცხოვრებით დატკბე, განა გაერთო.
მაშინ გეთქმის კაცი, კაცად ქებული,
თუ გულზე გაქვს ჭკუა მიტანებული.
აგიხდება ყველა ნატვრა ნაქედნი,
თუ ცხოვრების ეტლში ერთად გახედნი,
თუ ასწავლი ერთად ჩორთით სიარულს,
სიმღერასაც შემოსძახებ მხიარულს
და, თუ ვერა, თავად ხდები მძევალი,
დილით ჭკუის, ღამით – გულის მხევალი,
ამ ორ შორის თუკი გიწევს არჩევა,
სულ იქნება კამათი და გარჩევა.
ჭკუა ალთას, გული ბალთას გაიწევს
და ძარღვებშიც ერთხელ წნევა აიწევს,
შენ კი, როგორც, თავმოჭრილი მხედარი,
თან იცოცხლებ, თან გერქმევა ცხედარი.
სანამ იწვის ამ ცხოვრების ფითილი,
სულ იქნება ამ ორს შორის ჭიდილი.
მათი ბრძოლა მხოლოდ მაშინ თავდება,
როცა, გული ჭკუას დაუზავდება,
ანდა, როცა დაიმსხვრევა ხიდები
და შენც მშვიდად სამარეში იდები.

10.01.2020 წ.

ვეფხვი და შველი

ტყე შეიფოთლა, მწვანე სამოსიც მოირგო მდელომ,
კვლავ აკიაფდა ნამის მარცვალი ცისკრის სხივებზე,
და ეს ამბავი ოდესღაც , სადღაც... განაგონები,
როგორც სურათი გადამეფინა თვალსაწიერზე.

შუა აპრილი იქნებოდა...ან იქნებ მარტიც,
როცა შვლის გუნდმა გაიკვალა ბილიკი ტყიდან,
მდელოსკენ გაჰყვნენ, მორაკრაკე, ხალას ნაკადულს,
თან გაზაფხულის წვიმის წვეთებიც ცვიოდა ციდან.

დაიგრუხუნა, დამრთხალმა გუნდმა ისკუპა ტყისკენ
და მხოლოდ ერთი ვერ შეაკრთო ზეცის ქუხილმა,
ისე სწყუროდა გაზაფხულის სიმწვანით ტკბობა,
შემორჩა მდელოს, ვერ მოიცვა შიშის წუხილმა.

დაგოგმანებდა, კოკეტობდა, ყნოსავდა მიწას
და ქორფა ბალახს კი არ ძოვდა, ეფერებოდა,
რას იფიქრებდა მარტო არ იყო და სიმწვანიდან
თუკი გამჭოლი, მშიერი მზერა ემუქრებოდა.

მწვანეს შერწყმული ჩალისფერი, შავი ზოლები
არ ირხეოდა ...იწვა თითქოს სუნთქვაშეკრული,
შიოდა ძლიერ, მაგრამ ნახტომს არ აკეთებდა,
თითქოს ნუსხავდა, აშეშებდა, მსხვერპლი ბედკრული.

მხოლოდ უმზერდა და თვალებით დაატარებდა..
შემდეგ წამოდგა, ბუნაგისკენ დაიძრა ნელა
და ის იყო, რომ მთის ქიმს უნდა მოჰფარებოდა,
რაღაც წამიერ შველმაც მოჰკრა მიმავალს მზერა.

შეკრთა, თუმცაღა სცადა შიში არ შეემჩნია,
დინჯად ჩაუყვა მობიბინე მდელოს ნაპირებს,
პირგამომშრალი დაეწაფა წყაროს ქოჩორზე,
ვერ გაერკვია, განგება სცდის? თუ რას აპირებს?

იგივე ფიქრი დასტრიალებდა მტაცებელს თავად,
განა პირველი იქნებოდა ეს შველი მისთვის?
განა რამდენი უგემნია და კვლავ იგემებს
და მაშინ რატომღა დაინდო? ნეტავი რისთვის?

გავიდა ხანი, კვლავ დაეშვა შვლის გუნდი ტყიდან,
კვლავ შერივნენ მწვანე ხავერდს თეთრი ხალები,
და მხოლოდ ერთი დგას ნაპირზე ისევ ამაყად,
ოღონდ ჰორიზონტს მისჩერებოდნენ მისი თვალები.

თითქოს ეძებნენ იმ ჩალისფერს და შავზოლიანს,
თითქოს უნდოდა კვლავ ეხილა მისი აჩრდილი,
გრძნობდა საფრთხეს და იმავე დროს სცდიდა განგებას,
ისე ძლიერი იყო მასში გულის ძახილი....

ისიც იქ იყო, ოღონდ ტყეში უკვე, ამჯერად
იმ ნაკადულთან შეერჩია ადგილი საფრად,
სადაც პირველად დაეწაფა წყალს ის რჩეული,
სადაც პირველად იგრძნო შველმა, რომ იყო სახტად.

უმზერდა ტყიდან, როგორ მოხდენით ნაბავდა თვალებს
ყელმოღერებით, როგორ ამაყად დანარნარებდა,
შიოდა, მაგრამ ეს შიმშილი სხვა იყო რაღაც,
თორემ ამდენ ხანს მუცლის გვრემა დაახანებდა?

მოსაღამოვდა...ისევ ტყისკენ გასწია შველმა,
ისევ ნაკადულს დეწაფა კვლავაც მწყურვალი,
დაიხარა და ოთხი თვალი არეკლა წყალმა
ორი დამფრთხალი, ხოლო ორიც ვნებით მხურვალი.

ლამის მუხლებმა უმტყუნეს, თუმც იპოვა ძალა,
ისევ ჩვეული სიამაყით შევიდა ტევრში,
ვეფხვი კი დარჩა, გაოგნებულ– ჩაფიქრებული,
ვერ გაემხილათ ეს ამბავი ვერც ერთს მთელ ტყეში.

ასე გაგრძელდა პაემნები, უტყვი და ფრთხილი,
დაკეკლუცებდა შველი ტყეში და ეს მოსწონდა,
იცოდა, რომ მას დაჰყვებოდა მუდამ ის მზერა,
იმავდროულად, რომლის იმედიც, თან შიშიც ჰქონდა.

სძულდა ნადირი, სძულდა მისი ყოფის რაობა,
ისიც იცოდა, მონადირე რომ იყო მასზე,
მაგრამ სიძულვილს, შიშს და სიფრთხილეს უკვე სძალავდა,
ვერ გარკვეული მიჩვევა იყო თუ გრძნობები მასზე.

არ გაურბოდა, არ ეძებდა მისგან შესაფარს,
აღარ კრთებოდა ხმელი ტოტების ტკაცუნის ხმაზე,
როცა ვერ გრძნობდა ჰორიზონტიდან იმ გამჭოლ მზერას,
მონატრებაც კი ეპარებოდა ხანდახან თვალზე.

ვერც ვეფხვმა გაძლო და ერთ დღესაც, როცა ნაკადულს,
კვლავ დაეწაფა მოკეკლუცე შველი თამამად,
ერთი ნახტომით გადაევლო ასკილის ბუჩქებს,
უსიტყვოდ გვერდით ამოუდგა კეკლუცს ამაყად.

აუფრიალდა საწყალს გული, თითქოს დაიბნა,
კვლავ აიზილა შიშისა და გრძნობის ძახილი,
მაგრამ იმავ დროს, თითქოს ეამა ეს სიახლოვე
და თანაც თითქოს გულს სერავდა ეჭვის მახვილი.

და მაშინ, როცა, მათი მზერა გადაიკვეთა
და მაშინ, როცა, ჩააცქერდა თვალებში შველი,
მიხვდა შველი, რომ ეს არ იყო სიკვდილის მზერა
და მიხვდა ვეფხვიც , რომ აღარ იყო ქვეყნად საშველი.

იმ დღეს პირველად გააცილა სატრფო ნადირმა,
იმ დღეს პირველად მათი ბეწვი ერთურთს შეეხო,
იმ დღეს პირველად გაუმხილეს გრძნობა ერმანეთს,
იმ დღეს პირველად დაუმთხვიეს გულისთქმის ექო.

ასე გაგრძელდა, კარგა ხანი ვლიდნენ მალულად,
მაგრამ ერთ დღესაც ვეღარ გაძლო შველმა მდუმარედ
და გაუმხილა ყოველივე დაქალ–მეგობარს
მეგობრის სიტყვა კი გადაევლო გრძნობებს მდუღარედ:

,,სულ გასულელდი? რახანია ნუკრი აღარ ხარ,
ან სიამაყე სად დატოვე? რომელ ბილიკზე ?
რა პასუხი გაქვს თვისტომებთან, თავს რით იმართლებ?
რას უპასუხებ ტყის ბინადართ მწარე ქილიკზე?

ის ცხოველია, ნადირია, გესმის არსებით?
მონადირეა და მისთვის ხარ ხორცის ნაჭერი,
თამაშობს შენით, შეგიწირავს ბოლოს ზვარაკად,
არ გაგიგია, ასჯერ გაზომე ერთხელ გაჭერი?

და თუნდ უყვარდე, რა ფასი აქვს თანაცხოვრებას?
შენ ბოკვერს ვერ შობ , ვერც ის გახდება ნუკრის მშობელი,
 ერთ მშვენერ დღეს მობეზრდები და თავს მოგაცლის,
შენი სიცოცხლის ის იქნება მუდამ მფლობელი.

გიჯობს, დაოკდე და დასჯერდე, რაც გაქვს ფარაში,
ახუნტრუცებას არ გაპატიებს თავად განგება,
და ტყის პრინციპებს ნუ დაარღვევ, მე ჩემი გითხარ,
გაგიჭირდება ტყიდან განკვეთილს გზების გაგნება....“

თითქოს სიმართლე მძვინვარებდა ნათქვამ სიტყვებში
და ეჭვი იგი თავად ღრღნიდა დიდი ხანია,
ტყე რას იტყვისო? .... თითქოს ექოც იმეორებდა,
ნუთუ გრძნობები რომ გაუჩნდა, მისი ბრალია?

სხვაგან წავიდა საბალახოდ იმ დღიდან შველი,
სხვა იალაღებს გადაავლო თავზე კამარა,
დანაყრდა, მაგრამ გემო ჰქონდა რაღაც მომწარო,
თითქოს შიოდა ამ ცარიელი თივის ამარა.

ენატრებოდა ზოლიანის აჩრდილი გვერდით,
ენატრებოდა მისი ღრენა, მისი ფრაზები,
სული ტკიოდა და, ვით სიმსივნე მოურჩენელი,
გულს ახლართვოდა მასზე გრძნობების მეტასტაზები.

ერთ დღესაც ბინდში მიიკვლევდა გზას სახლისაკენ,
გადაეღობა ვერ დავიწყებულ წარსულის ლანდი,
როგორ გიკითხოთ ? დაიღრიალა ვეფხვმა უეცრად:
,,რა გეგონათო – გაგივიდოდათ ჩემთან ეს ფანდი?

რა გეგონათო?... ასე ადვილად დამიძვრებოდით?
მე ხომ ვეფხვი ვარ, მონადირე, ეშვით, კლანჭებით,
აკი გიყვარდით? ნუთუ ტყუილი იყო ყოველი?
ოღონდ ამჯერად სიმართლე თქვით, ნუ იმანჭებით.

განა არ ვიცი რა გაბრკოლებთ, განა არ მესმის,
მაგრამ არ ძალმიძს გონებაში იმის დაშვება,
რომ სხვისთვისა ხართ, სხვა ჯოგისთვის დაბადებული,
მე მომიტევეთ, არ შემიძლია თქვენი გაშვება.

ნურაფერს მეტყვით, ნუ გამოსცდით ჩემს მოთმინებას,
ჩემთვის არასდროს არ ყოფილხართ საკვები ხორცი,
რაც გაგიცანით, რაციონი შევცვალე სრულად,
არ მიგემნია თქვენი მოდგმის სისხლი და ხორცი.

ერთი რაც ვიცი, ვეღარა ვძლებ ტყეში უთქვენოდ,
და მსურს დარწმუნდეთ უანგარო ჩემს განზრახვაში,
ოღონდ გაფრთხილებთ, ძაღლი არ ვარ და არ გარისკოთ
სახიფათოა, ჩემო კარგო... ვეფხვთან თამაში.“

გაჩუმდა შველი, თავი ჩაქინდრა რა უნდა ეთქვა?
განა შიშისგან, სიმართლისგან დადუმდა იგი,
თვალი დახუჭა, წარმოიდგინა ერთ მხარეს ვეფხვი,
მეორე მხარეს – მოქილიკე ცხოველთა რიგი.

ვერაფერი თქვა – მაცადეო, ჩაილუღლუღა,
და ისევ ერთად, ისევ უხმოდ გაუყვნენ ბილიკს,
ნეტავ როდემდე გაგრძელდება მისი ეს ყოფა,
ნეტავ როდემდე ასე მალულად ყველასგან ივლის?

რა ქნას, ის უყვარს, ვერ გარკვეულა, რა გზას დაადგეს,
განა უკეთეს სიყვარულს კი ვინმე ინატრებს?
ეს შეცდომაა, მაგრამ იქნებ უღირს – დაუშვას ?
იმ არ დაშვებას თუკი მერე უფრო ინანებს.

და თუკი არა? არც შეცდომა ყოფილა მაშინ,
ტყე რას იტყვისო ? გასჩენია ტყესაც ხანძარი,
ბედნიერებას თუკი იგრძნობს და სწორედ მასთან
სურს აიშენოს უღრან ტყეში გრძნობის ტაძარი.

ასე ფიქრებში მიჰყვებოდა ზოლიან სხეულს,
ასე ფიქრებით აცილებდა სატრფოს ხალიანს,
არავინ იცის, რით დამთავრდა ეს ისტორია,
ეს საიდუმლო აბარია ღამეს მთვარიანს.

ვისაც როგორ გსურთ, ისე შექმენით ამბის ფინალი,
შეჭამეთ შველი, ან გადაჩეხეთ ვეფხვი ქარაფზე,
მაგრამ არავინ განიკითხოს შველ–ვეფხვის ტრფობა
მაგრამ არავინ გაიცინოს გრძნობის არაკზე.

ოღონდ არ გინდათ ცრუ მორალით შველის გაკიცხვა,
ოღონდ არ გინდათ ცრუ მორალით დაცვა წესების,
რადგან ვერავინ მოახერხა გრძნობის გაზომვა,
რადგან სიყვარულს არც ზღვარი აქვს დანაწესები.

ჰოდა, როგორც გსურთ, ყველამ ისე დასვით წერტილი,
ღიად დატოვა ეს ამბავი თავად ბუნებამ,
ზოგი დაღუპა ცხოვრებაში უშეცდომობამ...
ზოგსაც შეცდომის დასაშვებად სძლია ცდუნებამ.

არსი ის არის და მორალი მთელი არაკის,
ხვდებით შეცდომას? მაგრამ თუ გსურთ მისი დაშვება,
მაშ, არასოდეს არ ინანოთ თქვენი ნაბიჯი,
ნუ ელოდებით ვინმეს ტაშს ან ფარდის დაშვებას.

მეწისქვილე

ბინდდებოდა, ფეხს ავუჩქარე. ველოსიპედზე გადაკიდებული ორი ფუთი სიმინდი მიმქონდა დასაფქვავად ისიდორეს წისქვილში. შორიდან დავლანდე, შუქი ენთო მეწისქვილეს. გადავრჩი! – შევძახე გახარებულმა. ჯერ კიდევ შუადღე იყო, ბაბუამ რომ გამომატანა საფქვავი და თან გამაფრთხილა, ხვალ, უთენია, მუშტარი მყავს დაბარებული, აბა, შენ იცი, არ დამაღალატოო. ილუშას ჭკუაზე რომ გაივლის კაცი, რა მქვია ახლა მე? ჯერ ვიბანავოთო, მერე ფეხბურთიო და ქეც შემომაბინდდა ამასობაში. ჭრიალით გაიღო კარი. მეწისქვილე ტახტზე იყო წამოწოლილი და რაღაც წიგნს კითხულობდა.

– გამარჯობა, ისიდორე ბაბუა! ხმამაღლა შევძახე, მეგონა ხმაურში ვერ გავაგონებდი.

– გაგიმარჯოს, ბიძიკო, მარაა, რა გაყვირებს, შე კაცო, ვეღარ ვიხედები, თვარა კი არ დავყრუვებულვარო– მომაძახა სათვალის ზემოდან.

– ბაბუამ, დილისთვის მჭირდებაო და იქნებ გამიხერხოსო – ამოვიჯღნავლე დარცხვენილმა.

– დილისთვისო, ხო? და ახლა გამოგატანა, ხო? – ჩაეცინა.

– კი, ახლა... არა, ახლა არა... მარა�ა – ენა დამიბა ტყუილმა.

– კაი, ბიძიკო – ჩაეცინა ისევ. აგერ დააწყვე ეგ ტომრები, ჩამოიცლება ჩაყრილი სიმინდი და მერე დავუფქვათ ბაბუაშენს.

– მადლობა, ისიდორე ბაბუა, აგაშენებს ღმერთი.

– ბიძიკო, აწი, მე რომ რამე ამაშენებს, არ გეტკინა

არაფერი – ჩაიცინა მეწისქვილემ და ისევ თავის წიგნს მიუბრუნდა. სიჩუმეს მარტო დოლაბის ხმა არღვევდა. თითქოს ხრიალით ღიღინებდა და იყოლიებდა დაფხავებული წისქვილის ჭრიალს. ერთი ხანობა ჩემთვის ვათვალიერებდი ნახევრად გაჭვარტლულ და გაფქვილულ ხის მორებს, მერე ვეღარ მოვითმინე და საუბრის გაბმა ვცადე.

– თქვენ სად ცხოვრობთ, ისიდორე ბაბუა? (თითქოს არ ვიცოდი)

– აქ. ისე მომიგო, თავიც არ აუწევია წიგნიდან.

– აქ როგორ? – შევიცხადე მოჩვენებით.

– შენისთანების გადამკიდეს აქ მიწევს, ბიძიკო, ცხოვრება – ამომხედა სათვალის ზემოდან და განაგრძო კითხვა.

– მივხვდი, რომ მიწყრებოდა და გულის მოლბობა ვცადე: მაპატიე რა, ისიდორე ბაბუა, ბიჭებმა ფეხბურთი ვითამაშოთო და უარი ვერ ვუთხარი, ხოდა შემომაბინდდა და ...

– კაი, ბიძიკო, კაი. რახან სიმართლე თქვი, აღარ ვარ გულმოსული, მარა ტყუილი არ უნდა გეკადრებინა. დაიხსომე, ბიძიკო, სიმართლისთვის გალახული სჯობს ტყუილისთვის გალანძღულსო – ასე უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ისშაჭკვადილეფის შუკაში ვცხოვრობ მე, ბიძიკო.

– რატომ ეძახიან, ისიდორე ბაბუა, ამოწყვეტილებს თქვენს შუკას? (ვიცოდი, მაგრამ საუბრის გაგრძელება მინდოდა)

– მთელ შუკაში მხოლოდ ერთ ოდაში იზრდება გვარის გამაგრძელებელი და მიტომ – ისე მიპასუხა, თავიც არ აუწევია წიგნიდან. სინანული შეეპარა ხმაში.

– სულ მეწისქვილე იყავი, ისიდორე ბაბუა, თუ ხელობაც გაქვს რამე? – არ ვეშვებოდი, მინდოდა რამე გამეგო კიდევ

მის შესახებ.

– წამოჯდა, წიგნში დაფნის ფოთოლი ჩადო და დახურა.

– ვისი ხარ შენ, ბიძიკო?

– ბონდოს შვილიშვილი ვარ, ეწერიდან. მამაჩემი არ გეცოდინებათ, თბილისელები ვართ ჩვენ.

– ვიცი, ვიცნობ ზურიკოს, კარგი ექიმია. მეც თბილისელი ვიყავი ერთ დროს. მოდი, მომეხმარე, ამაწევინე და ჩავუძახოთ საფქვავად შენს სიმინდს, ბონდოიას შვილიშვილო.

– მართლაა? ამჯერად გულწრფელად გავოცდი. ვუყურებდი ამ ზორბა მოხუცს და უფრო და უფრო მაინტერესებდა მისი ისტორია.

– ჰო, ბიძიკო, მართლა. ერთ დროს, მეც ვიყავი ვიღაც და რაღაც.

– მერედა, მეწიქვილე როგორ გახდი, ისიდორე ბაბუა?

– როგორ და... მიწას დაუბრუნდითო, წლების წინ ბრძანა პატრიარქმა...სულ მახსოვდა მისი ეს ქადაგება. ჰოდა, მეც დავუბრუნდი, შეძლებისდაგვრად. დავუბრუნდი და მივხვდი, რომ მიწა (დედა მიწა) ერთადერთი ადეკვატური მოძრავი სხეულია ამ სამყაროში, რომელიც შენთვის ბრუნავს ბაბუა, რომელიც ათმაგად და მადლიერებით გიბრუნებს ამაგს, შრომას, ზრუნვას, სიყვარულს, სითბოს, ყურადღებას. მოეფერები, მოგეფერება... მიხედავ, მოგხედავს.... გაუფრთილდები, გაგიფრთხილდება. მიწა ერთადერთია, ვინც არასოდეს გიღალატებს, არასოდეს გაგცვლის, არასოდეს გაგიცრუებს იმედს, არასოდეს გიპასუხებს სითბოზე სიცივით, არასოდეს გაიცინებს შენს ტკივილზე, არასოდეს გაგწირავს და არასოდეს გამოგიყენებს. ის ერთადერთია, ვინც, მიუხედავად იმისა, ვინ ხარ და როგორი, უანგარო ერთგულებით დაგელოდება. დაგელოდება, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, რათა უკანასკნელად

ჩაგეხუტოს, ჩაგიკრას გახსნილ მკერდში და შენთან ერთად ერთ მთლიანად იქცეს, რათა სწორედ შენთან ერთად გააგრძელოს უსასრულო მოძრაობა ამ სამყაროში, ბაბუა. ჩემს პროფესიას ხელობა ვამჯობინე ბიძიკო, ჩამოვედი, დავიწყე მიწის ჩიჩქნა, ვიყიდე წისქვილი და ასე გავხდი მეწისქვილე.

– მეწისქვილეობა ხელობაა, ბაბუა?

– არა, ბიძიკო, კაცობაა ხელობა, კაცობა. მეწისქვილეობა კი ხელოვნებაა ბაბუა, ლუკმაპურის საშოვარი ხელოვნება.

– დავიბენი. ვერაფერი გავიგე. შემატყო დაბნეულობა, გაიცინა და განაგრძო.

– შენი პროფესია თუ კაცობის დათმობას მოითხოვს, კაცობა უნდა აირჩიო, ბაბუა, ასეა ეს. აგერ მიუგდე ყური, გესმის, როგორ ეხეთქება ნოღელა წისქვილის ქვას? როგორ ატრიალებს ეს ერთი ბეწო მდინარე ამ ნახევარტონიან ქვას, გესმის?

– კი, მესმის ბაბუა, მაგრამ....

– რა მაგრამ? ეს, რომ მოიგონო, ქვა გამოთალო, ააგო და გამართულად აამუშაო, ქვას და წყალს ლუკმაპური რომ აშოვნინო, ოსტატობა ხომ სჭირდება ამას, ბაბუა?– სჭირდება. ხოდა ხალხის სამსახურში მდგომი ოსტატობა ხომ ხელოვნებაა, ბაბუა? ჰოდა, რა გამოდის ახლა, ბაბუა, ამ ქვის ტრიალის ხელოვნებას ხომ ვემსახურები მეც? ეს ხელოვნება ბაბუაშენის ნაშრომ-ნაოფლარს, ფორმას, აზრს, ფასსა და ხეირს რომ მისცემს, მშიერს რომ არც მე დამტიებს, არც შენ და არც ბაბუაშენს, ხომ ყოფილა ეს ხელოვნება ხალხის სამსახურში, ბაბუა? დოუფქვავ და გოუცრელ სიმინდს ქათამი და საქონელი ჭამს ბაბუა მხოლოდ. საშოვარზე მოსიარულე ცუდ ოსტატს მოხელე უძახიან ჩვენში ბაბუა, კარგს კი – ხელოვანს ...დაიხსომე

ბაბუა ეს.

– ჰოოო, ამოვილუღლუღე. კაცობა როგორღაა ხელობა, ბაბუა?

– ეგ ყველაზე დიდი ხელობაა, ყველაზე მძიმე და დაუფასებელი ხელობა. ფარსაგ და ცუდ საქმეს რომ ჩაიდენ, რა ჰქვია მაგას ბაბუა? ხომ ჰქვია ნაფარსაგალ-ნაცუდკაცარი? ხოდა, ხალხს და ქვეყანას რად უნდა ბაბუა ასეთი კაცის ან ცოდნა, ან ნიჭი და ან პროფესია მერე? კარგ საქმეებს როცა აკეთებ, რა ჰქვია მაგას ბაბუა?

– ნაკაიკაცარი? ვიკითხე გულუბრყვილოდ.

– არა ბაბუა, არა. მაგას კაცობა ჰქვია, უბრალოდ და მარტივად. ეგ ყველა კაცის ხელობა და მოვალეობა უნდა იყოს, ბაბუა. აი, თუ დიდ, საქვეყნო, კაი საქმეს აკეთებ, ბაბუა – ე მაგას ქვია ხელოვნება და მამულიშვილობა ბაბუა.

– შენ თქვი, პროფესიას ხელობა ვარჩიეო და შენი კაცობა ხელოვნებად რატომ ვერ აქციე, ბაბუა?

– იმიტომ, რომ კაცობის ხელობა მოვალეობად მივიჩნიე მხოლოდ. ხელოვნებად რომ მექცია, მსხვერპლი და თავგანწირვა სჭირდებოდა მაგ ხელობას, ბაბუა. ეგ ერთეულებს შეუძლიათ მხოლოდ. მხოლოდ მამულიშვილებსა და ჭეშმარიტ გმირებს შეუძლიათ ეგ, ბაბუა. მე გმირი არ ვარ, მეწისქვილე ვარ მე, მეწისქვილე. ხელობა თუ მხოლოდ საშოვარისთვის გინდა, თუ შიმშილის გრძნობისა და მუცლის ამოყორვისთვის გინდა, თუ ამპარტავნებისთვის და სხვის დასანახად გინდა, თუ ჩასაცმელ-დასახურისთვის გინდა, მკვდარი ხარ მაშინ ბაბუა, მკვდარი.

– ეგ როგორ მკვდარი?

– გრძნობათაგან მხოლოდ სიცივისა და შიმშილის გრძნობა თუ შემოგრჩა და სხვა ყველაფერს ამ ორის მსახურებაში ჩააყენებ, გარდაცვლილხარ და ვერ გაგიგია. აი, ასეა ეს, ბაბუა.

–თბილისში რა სამსახური გქონდა, ისიდორე ბაბუა?

– თბილისში სტატუსიც მქონდა და სახელმწიფოს სამსახურშიც ვიყავი ბაბუა.

–მერედა, რატომ წამოხვედი სოფელში? რატომ ვერ შეძელი შენი ხელობა და სტატუსი იქ გამოგეყენებინა, ისიდორე ბაბუა?

–ადამიანობასა და სტატუსს შორის არჩევანს როცა სტატუსის სასარგებლოდ გააკეთებ, ამის შემდეგ შენც სტატუსი ხდები და არა ადამიანი, ბაბუა. ამ სამყაროში კი ყველაზე ხშირად სტატუსები იშლებიან, იცვლებიან და იმსხვრევიან. მე ადამიანობა ავირჩიე ბაბუა, სოფლად ყოფნის სანაცვლოდ – ადამიანობა. სახელმწიფოს ვემსახურე, ბაბუა, მაგრამ ქვეყანას ვერა, მაინცადამაინც. სახელმწიფოს მსახურება, ყოველთვის, ქვეყნის მსახურებას არ ნიშნავს, ბაბუა. მას სხვა მსახურება სჭირდებოდა და ქვეყანას სხვა. ჰოდა, ამას რომ მივხვდი და დავინახე, საკუთარი უსუსურობა რომ დავინახე, გული ამივარდა, ბაბუა. სახელმწიფოს სამსახურში ნამეტანი პატიოსნება არ შენაძლება, ბაბუა. ხელს მიშლიდა ამ საქმეში ჩემი ხელობა, ვხედავდი, შველა ჭირდებოდა სახელწიფოსაც და ქვეყანასაც, შველა და ვერ შევძელი.

– ეგ როგორ, ისიდორე ბაბუა?

– როგორ და, თუ სახელმწიფო სამსახურში შენი პატიოსნება შენთვის ხელისშემშლელი გახდა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პრობლემები შენ კი არა, სახელმწიფოს აქვს და შველა, შენ კი არა, სახელმწიფოს სჭირდება, ბაბუა. რომ უშველო, გმირი უნდა იყო და თანაც, დამხმარე უნდა გყავდეს. გმირსაც სჭირდება დახმარება, დაიხსომე ეს, ბაბუა. მე კი გმირი კი არა, მეწისქვილე ვარ ბიძიკო, მეწისქვილე.

– შენ არავინ გეხმარებოდა, არავის უყვარდი, ისიდორე

ბაბუა?

– რა გქვია შენ, ბონდოიას შვილიშვილო? – მკითხა სიცილისაგან ცრემლმორეულმა.

– ცოტნე.

– მეტი შენნაერი ცოტნეები სჭირდება, ბიძიკო, ქვეყანას. ეჰ, ვუყვარდი, როგორ არ ვუყვარდი, მაგრამ... სიმართლე გითხრა, ჩემში ყველას უყვარდა – მეგობარი, პატრონი, მფარველი, თანამებრძოლი, კოლეგა ან მასწავლებელი. მე კი, ვინც მიყვარდა, ყველა მიყვარდა, მათი შინაგანი სულიერი სამყაროს გამო. პირველი – მათი ქვეცნობიერი, შეფარული ანგარება იყო, მეორე კი ჩემი აშკარა იდიოტიზმი. ჰოდა, ამ იდიოტიზმის გამო ვენდობოდი, ვცდებოდი და მღალატობდნენ ხოლმე, ჩემო ცოტნე.

– როგორ? ყოველთვის ცდებოდი?

– ჰო, ბაბუა, ყოველთვის. ნდობის გარეშე არ შემეძლო, მივენდობოდი ხოლმე და ვცდებოდი. მე კი არა, უფალიც ცდება ხანდახან, ჩემო ცოტნე.

– კარგით რა, უფალი ხომ შეუცდომელია, ისიდორე ბაბუა.

– ასეა, ბიძიკო, ასე. უფალიც არ ყოფილა შეუცდომელი. ის მაშინ შეცდა, როცა ადამიანს ენდო და თავის ხატებად შექმნა. ამით მას უფლება მისცა ამ სახიერების ღვთაებრიობა შეებღალა, გასტოლებოდა და ებრძოლა მის წინააღმდეგ. შექმნილთა ომი შემქნელთა წინააღმდეგ კი ყველაზე სასტიკი და დაუნდობელია. ეს არის ომი, რომელშიც ერთ–ერთი აუცილებლად ნადგურდება და, რომელშიც ზავი და შერიგება არ მიიღწევა, ბაბუა. ეს ერთადერთი ომია, რომელშიც ტყვეები არ აჰყავთ, ჩემო ცოტნე. ჰოდა, მეც ნდობის გამო ვმარცხდებოდი ხოლმე ყოველ ჯერზე.

– თუ ამდენი იცოდით, რატომ არ უშლიდი ხელს, ისიდორე ბაბუა? ხატზე დაგეფიცებინათ და არ

გიღალატებდნენ მაშინ ღვთის შიშით.

სიცილი წასკდა მოხუც მეწისქვილეს. გულიანად იცინა ჩემს სიტყვებზე. სული რომ მოითქვა, თავზე გადამისვა ფქვილიანი ხელი და მითხრა:

– ვერც კანონი, ვერც მორალი და ვერც ათი მცნება ვერ შეაჩერებს ადამიანს, რომელმაც ღალატი გადაწყვიტა, ჩემო ცოტნე. დაიხსომე ეს. არავისგან არ უნდა შექმნა იდეალი, არავინ უნდა შემოსო შენი ნდობის თარგზე გამოჭრილი ილუზიის სამოსით, თორემ, ერთ დღესაც შენი ნდობის ნაფლეთებიდან გაყინული თვალებით მომზირალ, შიშველ სიმართლეს დაინახავ, თავზე ანგარების შარავანდედითა და სახეზე სიყალბის ნიღბით. ეს სიმართლე კი სამუდამოდ დაგაკარგვინებს ადამიანთა მოდგმის ნდობისა და თანაგრძნობის უნარს. ასეა ეს ,ბიძიკო. მე ყოველთვის ვაძლევდი ადამიანებს არჩევანის უფლებას წასვლასა და დარჩენას შორის, ერთგულებასა და ღალატს შორის, მეგობრობასა და მტრობას შორის. ვიცოდი სიმართლე, ვხვდებოდი, რა არჩევანს გააკეთებდნენ, მაგრამ მაინც ვაძლევდი, ბაბუა.

– ვერ გავიგე, ისიდორე ბაბუა, თუ სიმართლე იცოდით, თუ იცოდით, რომ გიღალატებდნენ, რატომღა აძლევდით ამის უფლებას? შური არ იძიეთ მერე? დაგესაჯათ და აღგედგინათ სამართლიანობა.

– სიმართლე ვიცოდი, მაგრან ისიც ხომ ყველას თავისი აქვს ბაბუა. ყველა ისე ხსნის თავის სიმართლეს, როგორც აწყობს და რა სიტყვებსაც მოარგებს, ბაბუა. სიმართლე ბევრნაირია, ჭეშმარიტებაა ბაბუა ერთი და ისიც ნამოქმედარის შემდეგ დამდგარი ფაქტითა და შედეგით შეიცნობა მხოლოდ. კი, ვიცოდი, ვხვდებოდი და ამიტომაც წინასწარ ვსჯიდი ამით, ბაბუა. არჩევანის მიცემით, ღმერთმა ადამიანი მერყეობისთვის გაწირა და წინასწარ

დასაჯა. იგივე გავაკეთე მეც, ჩემო ცოტნე. ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე უფალმა ხომ იცოდა, რომ ადამი და ევა ცდუნდებოდნენ და გასინჯავდნენ აკრძალულ ნაყოფს? – იცოდა. ჰოდა, რატომ არ შეუშალა მათ ხელი? ხომ შეეძლო, საერთოდ გაექრო ის ვაშლის ხე? – შეეძლო. ხომ შეეძლო სამუდამოდ სამოთხეში დაეტოვებინა ამით ისინი? – შეეძლო. მთელი არსი ისაა, ჩემო ცოტნე, რომ, სამოთხეში დასარჩენადაც კი, არ ღირს ვინმეს რამით იძულება. ნაძალადევი არაფერი გინდოდეს ცხოვრებაში, ჩემო ცოტნე. ეს მათი არჩევანი იყო. ახლა კი მათ თავიანთი არჩევანის შეგრძნებით უნდა იცხოვრონ, მე კი ჩემი. ასეთი შეგრძნებითა და სახელით ცხოვრებაზე უფრო საშინელი დასჯა და შურისძიება განა არსებობს ბუნებაში, ჩემო ცოტნე? ასე რომ, მე თან დავსაჯე და თან გავიმარჯვე მათთან, ბაბუა. სამართლიანობა კი არ არსებობს, ბიძიკო. მისი აღდგენაც შეუძლებელია, რაც ერთისთვის სამართლიანია, ის, აუცილებლად, უსამართლო იქნება მეორე კაცის აღქმაში.

– ეგ როგორ? ვერ გავიგე, ისიდორე ბაბუა.

– როგორ და... მაგალითად, გავაშენე ბოსტანი, შემოვღობე, ჩავღვარე ოფლი, ფული და მოვიწიე წლის სამყოფი ბაღჩა–ბოსტნეული. მერე, ერთ დღეს, ჯემალიას ბურვაკებმა შემოანგრიეს ღობე და გამიჩანაგეს მთელი მოსავალი. დავუშვათ მივედი, ვუთხარი ჯემალიას ჩემი გაჭირების ამბავი და ასე მითხრა – ჩემი რა ბრალია, კარგად უნდა შეგეღობაო, ღორს რა ჭკუა მოეკითხებაო და გამომიშვა, ასე. სამართლიანი იქნება ეს ბაბუა?

– არა, ბაბუა. ასე თქვენ დაიჩაგრებით.

– კაი. მივედი ჯემალიასთან მოვუყევი და შეიცხადა. წამოვიდა და მომეხმარა ღობის შეკეთებაში. მერე ჩემი ბოსტნის გადამჯეგავი იმ ხუთი ბურვაკიდან ერთს მოკიდა ხელი და მომიყვანა – ეს შენ, ისიდორე, მოყენებული ზიანის-

თვისო. სამართლიანი იქნება ეს ჩემო ცოტნე?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ეგაა კაცური საქციელიც და სამართლიანობის აღდგენა, ისიდორე ბაბუა.

– კაი ბატონო. ჯემაილიას ეს ბურვაკები თავის სამი შვილის სასკოლოდ გამოსაწყობად რომ უნდოდა და ზრდიდა, მაგათში ამონაგები ფულით, შვილებისთვის რომ უნდა ჩაეცმია, დაეხურა, წიგნები და ჩანთები ეყიდა და, ხანდახან, ტკბილეულის ფული მიეცა – შეძლებს ოთხი ბურვაკის ფასად ისე ჩააცვას და დაახუროს, ისე გაუკეთოს ყველაფერი, როგორც ხუთის ანგარიშში, ბაბუა?– ვერ შეძლებს. რა გამოდის, ბაბუა? ესე იგი, რაღაც უნდა დააკლოს თავის შვილებს, ხომ ასეა, ბაბუა? ან ჩანთას ვერ გამოუცვლის, ან ქურთუკს და ან ფეხსაცმელს ვერ უყიდის ახალს, ხომ? კაი, დავუშვათ და, წავიდნენ სექტემბერში ძველი ფეხსაცმელით სკოლაში, რამდენიც ავდარში იმ ფეხსაცმელში წყალი შეუვათ და რამდენჯერაც ჩემს საღორეს ჩაუვლიან გვერდით, რას გაიფიქრებენ ჯემალიას შვილები, ბაბუა, თუ იცი, შენ? იმას, ბაბუა, რომ მაგათი ფეხსაცმელი აგერ მე მყავს დამწყვდეული საღორეში და საშობაოდ ვასუქებ მუცლის ამოსაყორად. ხომ გაიფიქრებენ ამას, ბაბუა? – ხოდა, ჯემალიამ თავისი კაცური საქციელით მე რომ აღმიდგინა სამართლიანობა, თავის შვილებს რომ მოაკლო და დაჩაგრა, ამ ბავშვების მიმართ სამართლიანი იქნება ეს, ბაბუა? ჩემთვის აღდგენილმა სამართლიანობამ თუ ჯემალიას უდანაშაულო ბავშვების ცრემლი, ჯავრი და უსამართლობა გამოიწვია, ესაა სამართლიანობაა, ბაბუა? აგერ ახედე, ბაბუა, წისქვილს მარცხენა მხარეს, ჭერში. იმ დამპალ ბოძს ხომ ხედავ, კრამიტის სიმძიმისგან რომ ჩამოზნექილა და საცაა ჩამოიქცევა, მისი შეცვლა და სახურავის აღდგენა ხომაა შესაძლებელი, ბაბუა? – შრომა უნდა, მასალა და შესაძლებელია. ამ წისქვილს საძირკველი

და კედლები, რომ არ ჰქონდეს, რას გადახურავდი, ან რას აღადგენდი, ბაბუა? ასეა, ბიძიკო, მე ვერ აღვადგენდი სამართლიანობას, რადგან იგი არასდროს არსებულა ბაბუა. შეუძლებელია, რესტავრაცია გაუკეთო მას, რაც არასდროს აშენებულა. აშენებას კი გმირების მთელი არმია სჭირდება ბაბუა და არა მეწისქვილე.

– მერედა ხალხი რატომ არ ეძებს და არ ქმნის გმირებს ისიდორე ბაბუა?

– არ უყვართ და იმიტომ.

– რას ამბობთ ბაბუა? როგორ შეიძლება გმირები არ უყვარდეთ?

– ჰო, ბაბუა ჰო. დღევანდელ საზოგადოებაში გმირები არ უყვართ, ისინი მხოლოდ სჭირდებათ გარკვეული მიზნით და გარკვეულ პერიოდამდე. სჭირდებათ არა, როგორც მისაბაძი იდეალი, არა როგორც მორალური სახე, არამედ საშუალება, რომელსაც თავის უმსგავსოებას ამოაფარებენ, წინ წაიმძღვარებენ და საკუთარი შეცდომების განტევების ვაცად აქცევენ ბოლოს. დღევანდელი საზოგადოება ახალ გმირებს კი არ ქმნის, არამედ შემორჩენილს იყენებს და ანადგურებს ბაბუა, რადგან ნაცრისფერ მასაში თავის წარმოჩინება გაცილებით იოლია, ვიდრე იდეალების გვერდით თანაცხოვრება და რამის მიღწევა. დღეს გმირის შექმნა და მის ირგვლივ გაერთიანება გაცილებით რთული და არამომგებიანია, ვიდრე ანტიგმირის შეთხზვა, მის წინააღმდეგ მასების შემოკრება და საზოგადოებრივი აზრის ნეგატივით გაჯერება. წარმოუდგენელია იმ სახელმწიფოს შველა და წარმატების გზაზე დაყენება შეძლოს ვინმემ, რომელშიც საზოგადოება გამუდმებით ანტიგმირს ეძებს და იგონებს, ვინაიდან ქვეყნის შენებას და მტერთან ბრძოლას ოსტატი და გმირი სჭირდება, ბაბუა. ასეთი ხალხი ვერც ვერაფრის აშენებას შეძლებს და ვერც ბრძოლას მოიგებს

ვერასოდეს, ვინაიდან ასეთი საზოგადოება და სახელმწიფო უსასრულო ქაოსისთვის არის განწირული, ბაბუა.

– აბა, რა უნდა ქნას კაცმა, ბაბუა ისიდორე, როგორ უნდა მოიქცეს?

– არ ვიცი, ჩემო ცოტნე, და არა მგონია ვინმემ იცოდეს ეგ. ბევრი მიფიქრია ამ წისქვილში მაგაზე, მაგრამ ვერც თავი მოვუყარე ნააზრევს და ვერც ბოლო დავადგი აქნობამდის. უზენაესის ნება უნდა იყოს და თანაც თვითნაბადი და არა შექმნილი გმირი უნდა გამოჩნდეს, ალბათ, ბევრი გმირი. მე კი მეწისქვილე ვარ ბიძიკო, მეწისქვილე.

– ძალიან რთულად ხომ არ უყურებთ ყველაფერს? იქნებ უფრო მარტივადაა ყველაფერი. იქნებ თქვენ ხართ რთული ადამიანი, ისიდორე ბაბუა?

– ჰო, ბაბუა, ჰო, ასეთი გავხდი და ასეთად ვჩანვარ, ალბათ. რას გეტყვი, იცი, ჩემო ცოტნე! მართლა იყო დრო, როცა არ მხიბლავდა მარტივ ადამიანებთან ურთიერთობა. ვცდილობდი გამეგო და ამომეხსნა რთული ადამიანების ბუნება, მათი ხასიათის თავისებურებანი, მათი ნათქვამის ქვეტექსტი და ქვეცნობიერი. თითქოს იყო რაღაც საინტერესო, აზარტული და იდუმალი ასეთ ადამიანებთან ურთიერთობაში. ახლა, როცა წლები მომემატა, მივხვდი, ბაბუა, რომ ვცდებოდი და თავად ვირთულებდი ცხოვრებას. მივხვდი, რომ ყველაზე დიდი გულწრფელობა და სისუფთავე სიმარტივეშია. ყველაზე მშვენიერი და უანგარო სიმარტივეა, სადაც მიყვარხარ–მიყვარხარს ნიშნავს, მაპატიე –ბოდიშს, გენდობი–გენდობის, შენთან ვარ – შენთან ვარს, მტკივა–ტკივილს და მიხარია–ბედნიერებას. სამწუხაროდ, ამდენი სირთულეების ძიება–ამოხსნაში, ცხოვრების ამდენ ქარტეხილში თავად დავკარგე სიმარტივე, ბაბუა. არადა ხანდახან მეც რა მარტივად ვიძახი სათქმელს, ჩემო ცოტნე, მაგრამ ახლა უკვე სხვები ,,ცდილობენ ‹› ამოხსნან, რა დგას

ჩემი ნათქვამის მიღმა. ახლა უკვე სხვები მთვლიან რთულ ადამიანად, არადა, ჩემი მტკივაც – ტკივილს, დავიღალე – დაღლას, მიყვარხარ – სიყვარულს და მიხარია – ბედ-ნიერებას ნიშნავს. სამწუხაროა, რომ ამას მხოლოდ ახლაღა მივხვდი, მივხვდი მაშინ, როცა ცხოვრებამ ,,გენდობი“ სამუდამოდ ამომაღებინა ლექსიკონიდან და ამით წინასწარ... ყველაფერი მარტივი უსასრულო სირთულეებისთვის გამაწირინა, ბაბუა. ადამიანში ერთი უცნაურობაა ბაბუა ჩადებული, თვითგანადგურებისაკენ სწრაფვის და სირთულების გამოჩხრეკის საოცარი ნიჭი აქვს ადამინს.

– რას გულისხმობთ თვითგანადგურებაში, ისიდორე ბაბუა?

– რას და... ბავშვობაში ყოველთვის მეღიმებოდა ერთ ნახატზე, თუ როგორ ჭრიდა ადამიანი ტოტს, რომელზედაც იჯდა, ბაბუა. შენც გექნება ეგ ნახატი ნანახი, ჩემო ცოტნე. ჰოდა, მეღიმებოდა და ვფიქრობდი, რომ ეს ფანტაზიის ნაყოფი იყო და ამგვარი ადამიანები ბუნებაში არ არსებობდნენ. გავიდა წლები და ცხოვრებამ შემახვედრა რამდენიმე ასეთ ადამიანს. მხოლოდ მათთან შეხვედრის შემდეგ დავფიქრდი, თუ რატომ უნდა გაეკეთებინა ეს ადამიანს? რა აიძულებდა ადამიანს საკუთარი საყრდენის გამოცლას, დანგრევასა და განადგურებას? დავფიქრდი და მივხვდი, რომ ასეთი გადაწყვეტილებამდე მისასვლელად აუცილებელი იყო კიდევ ვიღაც. ვიღაც სხვა, რომელიც კადრში არ ჩანდა. სწორედ კადრს მიღმა არსებული ვიღაცის უხილავი ხელი და ენა აიძულებდა, აცდუნებდა და უბიძგებდა თითოეულ ადამიანს მოეჭრა ტოტი და რისკის ქვეშ დაეყენებინა საკუთარი მომავალი. ვუყურებდი, ვფიქრობდი და ვოცდებოდი ადამიანების მიამიტობითა და პრიმიტივიზმით. ვუყურებდი და ვოცდებოდი კადრს მიღმა

არსებული ადამიანების ნაძირლობით, გარეწრობით, ფარისევლობით, დაუნდობლობით, შურით, სილაჩრითა და ყველაფრის მკადრებლობით. ვუყურებდი და ვოცდებოდი მიწაზე დასანარცხებლად განწირული ადამიანების სიჯიუტით, უმადურობით, უგუნურებით, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი საბედისწერო შეცდომისაკენ ლტოლვითა და სიბეცით. ვუყურებდი, ვერ ვითმენდი და ვერეოდი მათ საქმეში. ვერეოდი ხან პირდაპირ და ხანაც ირიბად, ხან საქმით და ხანაც სიტყვით, მაგრამ სანაცვლოდ ლანძღვას, ხელის კვრას, უმადურობას, სიძულვილს, ზიზღსა და ტალახს ვიღებდი იმ განწირულთაგან, ბაბუა. ჰო, ასე ხდებოდა, ასე მეზღვევოდა ჩემი მცდელობებისათვის და ერთ დღესაც გადავწყვიტე გავჩუმებულიყავი. ჰოდა, გავჩუმდი, ვინადან მივხვდი, რომ არავის ცხოვრებაში ჩარევა და არავის ბედისწერის შეცვლა არ ღირს, რადგან სხვისი ბედისწერის შეცვლით შეიძლება საკუთარი შეცვალო უნებლიეთ და ხვალ სწორედ შენ აღმოჩნდე გადარჩენილთაგან განწირული. ახლაც მეღიმება იმ ნახატის დანახვისას, ჩუმად მეღიმება, მაგრამ უკვე არა სიბრალულისგან, ბაბუა.

– რატომ გაჩუმდით, საკუთარი ბედისწერის შეცვლამ შეგაშინათ, ბაბუა?

– იმიტომ, რომ მათ არჩევანი ჰქონდათ უკვე გაკეთებული და დღეს რომც შემეცვალა რამე, ხვალ მაინც იმავეს გააკეთებდნენ ბაბუა. არა, შიშის გამო არა, ჩემო ცოტნე. შიშით კარგა ხანია აღარაფრის მეშინია, ბაბუა. იმიტომ, რომ საკუთარი ბედისწერის შეცვლა აღარ მოვისურვე, იმიტომ, რომ დავიღალე მასთან ბრძოლით, ბაბუა. ბედისწერასთან გაუთავებელ ბრძოლასაც გმირი სჭირდება, მე კი მეწისქვილე ვარ, ბაბუა, მეწისქვილე.

–წეღან რომ თქვით, იმათთან გავიმარჯვეო, თუ

გაიმარჯვეთ, მაშინ რატომღა წამოხვედით სოფელში, ბაბუა?

–ეს მათთან გავიმარჯვე, მაგრამ ცხოვრებასთან დავმარცხდი, ბიძიკო და მიტომ. დამხმარე, გვერდით მდგომი და სიტყვის შემომშველებელი არ დამრჩა ბოლოს, ბაბუა, და მიტომ. არავის ვჭირდებოდი და მიტომ. ქალაქის სიცივის საშინელებას გამოვექეცი ბიძიკო და მიტომ. საშინელებაა, როცა მზადა ხარ ერთი სიტყვისათვის – ,,მჭირდები", ერთი მზერით ნათქვამისათვის – ,,მე შენ გვერდით ვარ", ერთი ღიმილისათვის, ერთი ჩახუტებისათვის, ერთი კოცნისათვის სული ეშმაკს მიჰყიდო, მაგრამ უფრო დიდი საშინელებაა, როცა ეშმაკს შენთვის არ სცალია, ბაბუა. ხოდა, სანამ ჩემთვის მოიცლიდა, ამ მარტოობის სიცივის საშინელებას გამოვექეცი სოფლად, ბაბუა. თბილია სოფელი, ჩემო ცოტნე, თბილი. აქ შენი შრომით თავის გატანა დაუმადლებელ–დაუყვედრებელი ლუკმით შეიძლება ბაბუა.

– რატომ? აქ სხვანირი ხალხია, ისიდორე ბაბუა?

– არა, ხალხი ყველგან ერთნაირია, ჩემო ცოტნე. აქ მეტი მზე და ღმერთია ჯერ კიდევ ბაბუა.

– ამდენი ღალატის შემდეგ, ცხოვრებისაგან დამარცხებულს თვითმკვლელობაზე თუ გიფიქრია? თუ ცოდვის მოკიდების გეშინოდა, ისიდორე ბაბუა?

– თვითმკვლელობამდე ადამიანი ღალატს, პრობლემებსა და ტკივილს კი არ მიჰყავს, არამედ უიმედობას, უმიზნობასა და სიცარიელეს, ჩემო ცოტნე. თვითკვლელობა გაქცევაა და მის ცოდვად შერაცხვას ვერასოდეს დავეთანხმები, ვინაიდან ის არჩევანია დარჩენასა და გაქცევას შორის. არჩევნის უფლება კი თავად უფალმა უბოძა ადამიანს, ბაბუა. როცა ყინულის ლოლოში ჩაწნული მზის სხივის სილამაზეს ვეღარ შევამჩნევ, აი მაშინ დაცარიელდება უმიზნოდ და უიმედოდ სამყარო ჩემთვის

და აი მაშინ ვიფიქრებ მაგაზე, ბაბუა.

–ესეც ასეეე... შენი საფქვავიც ჩამოიცალა. ჩემო ცოტნე! მოდი, მომეხმარე, ჩავყაროთ ტომრებში და გაუდექი შენს გზას.

არ მინდოდა წამოსვლა წისქვილიდან. თითქოს, რაღაც ქვეცნობიერი მექაჩებოდა. თან, ფქვილით ვავსებდი ტომრებს და თან ვფიქრობდი, რა მეკითხა მოხუცისათვის, რომ საუბარი გაეგრძელებინა.

–ცხოვრება რა არის, ისიდორე ბაბუა? – ესღა მოვიფიქრე მხოლოდ და თავად მივხვდი რომ უკონტექსტო კითხვა გამომივიდა.

– ცხოვრება? (ჩაფიქრდა). აგერ ნოღელას ხომ ხედავ! ეგ არის ცხოვრება. მასსავით სულ მიდის და მიიდის, სულ მოძრაობს. ხან ადიდდება და აიმღვრევა, ხან დაიკლებს და დასუფთავდება. ხანაც, გვალვისგან დაშრება და ღელესავით მიიკლაკნება, მაგრამ არ წყვეტს მოძრაობას. ამ წისქვილის ქვას ხომ ხედავ! ეგაა ცხოვრება. ტრიალებს, ხმაურობს, გრგვინავს, მოძრაობს და თითოეული ქვის დატრიალებაზე, ამ სიმინდის მარცვლებივით, ფქვავს და ფშვნის შენი სიცოცხლის საათებსა და დღეებს. ამ ფქვილს მუჭაში რომ დაიჭერ და თითებს შორის გაგისხლტება და ჩაიფშვნება ტომარაში, აი ეგ არის ცხოვრება, ბაბუა.

– ხელზეც ხომ რჩება რაღაც? – ვცადე მეხუმრა.

–ეგ, რაც გრჩება, სახელი და მოგონებებია, ბიძიკო. მეხუმრა ისიდორე მეწისქვილეც.

–სიყვარული რაღაა, ისიდორე ბაბუა?

–სიყვარული მსხვერპლია, ბაბუა. ამ მსხვერპლის გაღება რომ გსიამოვნებს, გიხარია, სანაცვლოდ რომ არაფერს ითხოვ და არასოდეს ინანებ, ესაა სიყვარული. ადამიანები ხეებს ჰგვანან, ჩემო ცოტნე. თუ ერთი სახეობის, ერთი გვარეობის, ერთი კლიმატისა და ხასიათის, ერთნაირი

ნიადაგით მკვებავ ხეებს არ შეარჩევ და ჯიუტად ეცდები, ორი სხვადასხვა ფესვისა და სამყაროს ტოტი ერთიმეორეზე დაამყნო, სულ რომ სასათბურო პირობები შეუქმნა, ბოლოს მაინც გახმებიან. ნუშზე ვერასოდეს დაამყნობ ტყემალს. ხეებმა იციან, ვის შეეზარდონ, ვის დაემყნონ, ვინ დამტვერონ, ვისთან გაიკეთონ ყლორტი, ვარჯი და ნაყოფი. ადამიანებმაც იციან, მაგრამ არ ახსოვთ, ან არ უნდათ, რომ ახსოვდეთ. ჯიუტად ემყნობიან ერთმანეთს სხეულებით, ვერ ერთხორცდებიან და ხმებიან. ხმებიან, რადგან არც სული აქვთ საერთო და არც ფესვები. სიყვარული ერთი სულიერების, ერთი ნიადაგის, ერთი ფესვისა და ვარჯის მქონე ორი სხეულის შესისლხორცებაა, ჩემო ცოტნე. სიყვარულია, შენს ,,მეს“ რომ სხვის ,,მეს“ ამჯობინებ და ის სხვა თავისას, შენსას – ესაა სიყვარული, ბაბუა.

– ქალს უფრო ძლიერი სიყვარული და თავგანწირვა შეუძლია თუ კაცს, ბაბუა?

– ქალს, ქალი უფრო ძლიერია, ბაბუა. ქალის შესაძლებლობები განუზომელი და განუსაზღვრელია. ქალს ერთდროულად შეუძლია იწვეს ერთთან, სიყვარულს უმტკიცებდეს მეორეს, ეარშიყებოდეს მესამეს და გათხოვდეს მეოთხეზე. იმავდროულად, ქალს შეუძლია სიკვდილის კარამდე უღალატოდ ატაროს იმ ,,ერთის“ სიყვარული, ბაბუა. ქალის შეცნობა შეუძლებელია, რადგან მას ერთი კაცის გამო შეუძლია გაწიროს შვილები, დედ-მამა, მეგობრები, კარიერა, გაწიროს სამშობლო... და, იმავდროულად, შვილების ან/და სამშობლოს გულისთვის გაწიროს ყველა კაცი დედამიწაზე. ქალის გონება შეუღწევადია, რადგან დღემდე ვერავინ მოახერხა მისი ანალიზი, ვერავინ აჰყვა მისი ლოგიკის რიტმსა და დინებას. ქალს შეუძლია, დაგაჯეროს ყველაზე დიდი ტყუილი ამ სამყაროში და, იმავდროულად, შეუძლია დაგაკარგვინოს შეცნობილი

ჭეშმარიტება. ქალს შეუძლია ერთი ყვავილის სანაცვლოდ გაჩუქოს ღიმილი, რომელიც მთელი სამყაროს ტოლფასია და, იმავდროულად, შეუძლია მსხვერპლად მიიღოს მთელი შენი სამყარო და ერთი ღიმილიც არ გაღირსოს, ბაბუა. ქალს შეუძლია მთელი სამყაროს სითბო და მადლიერება გადმოაფრქვიოს თვალებიდან და, იმავდროულად, იმავე თვალებიდან თავს დაგანთხიოს მთელი სამყაროს ზიზღი და უმადურება. ქალს შეუძლია აგავსოს მადლით და, იმავდრიულად, შეუძლია ყველაზე მძიმე ცოდვა აგკიდოს ტვირთად. ქალს შეუძლია ყველაზე დიდი არარაობა აქციოს კაცად და, იმავდროულად, ყველაზე ძლიერი კაცი აქციოს არარაობად. ქალს შეუძლია იცინოს სიმწრისგან და იტიროს ბედნიერებისგან. ქალს შეუძლია, ერთდროულად იყოს აგელოზიც და სატანაც. ქალს ყველაფერი შეუძლია, ერთი რამის გარდა, იგი ვერასოდეს ივიწყებს წყენას და ადრე თუ გვიან აუცილებლად წამოგაძახებს, ბაბუა.

ბაბუშენს უთხარი, რიგი იყო წისქვილში და ამიტომ შემაგვიანდა შუაღამემდე – თქო. შენი გართობისთვის დროის დაკარგვის გამო ნუ ატკენ გულს მოხუცს, ბიძიკო, ვიცი, გელოდება აქნობამდე.

–ტყუილი ვიკადრო, ისიდორე ბაბუა?

–უყურე, ამ გლახას ახლა...ბიძიკო, აქ რომ მოხვედი, წისქვილი მოცლილი ნახე?

–არ მინახავს, მაგრამ არც ხალხი მინახავს და თანაც დავაგვიანე.

–ადრე რომ მოსულიყავი, ან ხალხი ან მათ მიერ დასაფქვავად დატოვებული ტომრები ხომ დაგვხდებოდა, ბიძიკო?

–კი, ალბათ, დამხვდებოდა.

–მერე, ან იმ ხალხს, ან მე მაკადრებდი, რომ სხვისი ტომარა გაწიე და ურიგოდ დამაფქვევინეო, ბაბუა?

– არა, რას ამბობთ, ურიგოდ წასვლას არ ვიკადრებდი, ისიდორე ბაბუა.

–ხოდა მოსვლისას თუ მოცლილი წისქვილი არ გინახავს, ყველაფერს თუ თავისი წესი და რიგი აქვს, სულიერსაც და უსულოსაც და ვერც უკადრებელს იკადრებდი, მაშინ კი მიდიხარ ბაბუაშენთან იმ დროს, როცა რიგმა და სინდისმა მოგიწია ბიძიკო – გამიღიმა მოხუცმა.

– კარგი ადამიანი ხარ შენ, ისიდორე ბაბუა.

– არა, ბაბუა, არა. მე არასდროს ვყოფილვარ კარგი ადამიანი, მაგრამ მე ზედმეტად ჯიუტი აღმოვჩნდი იმისათვის, რომ ცუდი გავმხდარიყავი, ბაბუა. ესაა სულ.

– რაზეა ის წიგნი, თქვენ რომ კითხულობდით, ისიდორე ბაბუა?

– შურისძიების ყველაზე საშინელ იარაღზე მსოფლიოში, ჩემო ცოტნე – კალამზე.

– ეგ რანაირად? სად კალამი და სად ავიაცია, არტილერია ან ატომური ბომბი?

– ასეა, ჩემო ცოტნე. შურისძიებისათვის მწერლის კალამზე უფრო სასტიკი და საშინელი იარაღი ჯერ არ გამოუგონია კაცობრიობას. დაიხსომე ეს, ბაბუა.

–და მაინც, რატომ დაგამარცხათ ცხოვრებამ, ისიდორე ბაბუა? მთავარი მიზეზი რა არის?

– ადამიანის ნდობა დავკარგე და იმიტომ. ვერასოდეს გავთვალე და ვიკადრე ის, რასაც ცხოვრება კადრულობდა და იმიტომ. იმიტომ, რომ გმირი არ ვარ ბაბუა, მეწისქვილე ვარ მე, მეწისქვილე.

13.12.2019 წ.

ფარისეველი

ზარმა ჩამოკრა, ფეხს აუჩქარა ფარისეველმა. არ უნდა დააგვიანდეს, არა. ყველამ უნდა დაინახოს, როგორ შევა ტაძრის ეზოში, თუ როგორ გულუხვად დაარიგებს მოწყალებას. ჰო, დიახაც, უნდა დაანახვოს ყველას, აბა რა. აბა, ისე რა აზრი აქვს... ოფლი გადასდის შუბლზე, ოჰ, როგორ ცხელა ამ დილაადრიან, როგორ აცხუნებს ეს დაწყევლილი – წამოსცდა ხმამაღლა. არადა, წუხანდელ ნამრუშალ-ნაბახუსევს სიკვდილი ერჩივნა ახლა ლოგინიდან წამოდგომას და აქ მოსვლას, მაგრამ ასეა საჭირო...მისთვისაა საჭირო და მიტომ. სამი ქისა მიაქვს ფარისეველს ხელის კანკალით. ვერცხლით პირამდე სავსე სამი ქისა. ერთს ტაძარს შესწირავს, ერთს მოძღვარს მიართმევს, ერთსაც მათხოვრებს დაურიგებს. ჰო, უნდა გასცეს დღეს... იცის თავისი საქმის...დიახ, ასეა საჭირო მისთვის და მიტომ. დამეხმარე! – მოესმა უკნიდან. ჩამოძონძილი სილუეტი აედევნა, აბა რას ვიზამ, ძმობილო! წამო, ცოტა ტაძართან მივიწიოთ, უპასუხა ფარისეველმა და ნელა დაიწყო ქისის გახსნა. ჭიშკართან უკვე მოგროვილიყო ათამდე გლახაკი და ყველა შემსვლელს მოწყალებას სთხოვდა. შეჩერდა, თვალებით დაუწყო მათხოვართა ყოჩს ძებნა. აქა ხარ, ზინა ბებო? გაუღიმა შორიდან. მოდი, ზინაჩკა, ყველანი მოდით, ყველას დაგეხმარებით – უკვე ომახიანად გასძახა ტაძრისკენ მიმავალ სივრცეს. სამ-სამი მონეტა ამოიღო ქისიდან ფარისეველმა. სამ-სამი ვერცხლი დაურიგა მათხოვრებს. თვალი გააპარა შეგროვილი ხალხისკენ, უყურებდნენ – ამოისუნთქა. მცირეოდენი

ვერცხლიღა დარჩა ქისაში, 30 ვერცხლი დაერიგებინა უკვე. აბა, ვინმე ხომ არ გამომრჩა? მოდით! ნუ გერიდებათ! – კიდევ ერთხელ გასძახა ტაძრისკენ სივრცეს. თითქოს ენიშნაო – ამირან, შენ გაიხარე, ჩვენო გულუხვო და განმკითხველო – დაიწყო ზინა ბებომ. ღმერთმა ასჯერ მეტი მოგცეს მოწყალეო, ჯანმრთელობა და უფლის მადლი არ მოგკლებოდეს – აზუზუნდნენ დანარჩენებიც. ამინ, თქვენს პირს შაქარი, შეგისმინოთ უფალმა – ჰმ, ისევ ხმამაღლა წამოსცდა. დალახვროს ეშმაკმა ეს ნაბახუსევი. ამ ბოლო დროს რაღაც ხმამაღლა ფიქრი დასჩემდა. ესეც ასეეე... წელში გაიმართა ფარისეველი და, თვითკმაყოფილი სახით, უკვე დინჯი ნაბიჯით გაემართა ტაძრის შესასვლელისკენ. გააპო ხალხი და ის იყო ფეხი უნდა აედგა კიბეზე, რომ კალთებაკეცილი ანაფორით გამოეგება წინამძღვარი. ვა�ა, ამას ვის ვხედავ, ამირანი მოსულა, ჩვენი ამირანი! – გასძახა მნათეს და გადაეხვია. ეს თქვენ, მამაო, ესეც ტაძააარს – გაუწოდა ქისები მოძღვარს ფარისეველმა და კიდევ ერთხელ გააპარა თვალი შეკრებილი მრევლისკენ. კვლავ უყურებდნენ. კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა საულვაშეზე. მოდი, ამირან, დაიკავე შენი ადგილი, ახლავე შეგმოსავთ – უთხრა მოძღვარმა და გასძახა მორჩილს – სტიქარი მოუტანეთ ამირანს! თავისი სტიქარი! საკუთარი ხელით გადააცვა სტიქარი, მოიკითხა და კიდევ რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ უკვე აღარ ესმოდა არაფერი ფარისეველს – ფიქრებს წაეღო. დავიწროვებულა ეს ოხერი, რაღაც ღიპზე მიჭერს, მხუთავს, არ შემომერღვეს აქ და არ მომეჭრას თავი. უფფფ, ისე, რა კარგი სუფრა იყო წუხელ და სუფრაზე უკეთესი ის მანდილოსანი ...რაო, რა ერქვაო, რა მითხრა მერაბმა? ჰოოოო, თამარი – ძლივს მოაგონდა. რა თამარი ? ფიქრები გაუფანტა წინამძღვარმა ...არაფერი, მამაო, აი ...აი... თამარის ხატი... ხატებზე ვფიქ-

რობდი და... გაქვთ ახალი ხატები ტაძარში გასაყიდი? კი, ამირან, მიდი მნათესთან და აგარჩევინებს, როგორიც გინდა. კარგი, მამაო, შევიძენ ბარემ ერთს – მიუგო ამირანმა და დახლისკენ გაეშურა. სულაც არ აპირებდა დღეს ხატის ყიდვას, მაგრამ დასწყევლოს ეშმაკმა ეს ნაბახუსევი. სხვადასხვა ზომის ხატი ესვენა თაროებზე, ყველაზე დიდს დაადგა თვალი ...უკაცრავად! რა ღირს აი, ის?. რომელი? – ჰკითხა მნათემ. აი, ის, დიდი... მაღლა რომ დევს ... იესო. ეეს? – ჰო, ეგ, რა ღირს, უფალი? – ამოილუღლუღა ნაბახუსევმა. გაშრა მნათე, უფალიიიი, უფალიი ...უფალ.... 30 ბატონო, თქვენთვის. წინამძვარს ვეტყვი და კიდევ დაგიკლებთ – გამოერკვა მნათე. არა, იყოს, რაც ღირს იმას გადავიხდი, ხომ იცით, მე არ მენანება– გაუღიმა მნათეს. 30 ვერცხლი აწკარუნდა დახლზე, ესეც ასეეეე... უფალიც იყიდაااა, ჰო, იცის თავისი საქმის...დიახ, ასეა საჭირო მისთვის და მიტომ. კიდევ ერთხელ გადაურბინა თვითკმაყოფილების ღიმილმა ოფლით დანამულ საულვაშეზე. დაიწყო წირვა, გაივსო ტაძარი მრევლით, ჩამოცხა. რამდენი გამხდარან, დასწყევლოს ეშმაკმა, გაიფიქრა ფარისეველმა და ფუი, შენი ... კვლავ ხმამაღლა მოუვიდა. რაო, ბატონო? რა თქვით? მიაჩერდა გამჭოლი თვალებით გვერდით მდგომი ბერიკაცი. არაფერი, ბატონო, ვლოცულობდი და მაცალეთ ლოცვა...თავიდან მოიშორა აბეზარი მოხუცი. ესღა მაკლდა ახლა ...არადა, რა ქალი იყოოო? რაო, რას იძახდა მერაბი თამარზე, გათხოვილიაო, არა? გათხოვილი, თორე ეგაც არ იყოს ახლა ალამუთის აუღებელი ციხესიმაგრე რა. მოსვენება კი დამიკარგა და.... არა რა, რა ფეხები მოუჩანდა იმ მოკლე კაბიდან, უფფფფ... მთელი სუფრის მანძილზე ვერ მოსწყვიტა თვალი, მისჩერებოდა ბარკლებში და თვალებით ჭამდა...ჰო, ჭამაზე გაახსენდა, ეჭამა რა ის ასატრინა და ხბოს ჩაშუშული, რას

გამოიდო თავი ამ აზიზობით...აუუუფ, რა ჩაქაფულზე თქვა უარიიიი. ფუი, ჩემი დებილი დედა მოვტ.... რა სალათები აგიტყდა ...აი, მაგიტომაც გისკდება თავი, ამირან – გაიფიქრა ფარისეველმა. არა, რა ქალი იყო მაინც ااااا! შენი უნდა გახდეს, შენი! გესმის, ამირან! – შეუძახა თავს. შენ აუცილებლად იპოვი გზას მისი გულისკენ, შემდეგ კი იმ ფითქინა ჩათქვირული ფეხებისკენ, აბა რااااა, ამირან, მაგრამ ძლიერი ხასიათის ჩანს, პრეტენზიულიც.... რა მაგრამ, დაიკიდე რა, ამირან... ხომ იცი, ეგეთ ქალებს როგორ უნდა მიუდგე? ჯერ თავი უნდა შეაცოდო, ნდობაში შეხვიდე და დაუმეგობრდე. ჰო, ჰო, შეაცოდო, ეგეთ ქალებს სუსტი კაცები მოსწონთ, ამირან ჩემო, სუუუსტიიიი. აი, რაღაც შენნაირი, ამირან, მაგრამ არა ასეთი ჭკვიანი შენ რომ ხარ. მათ მოსწონთ, როცა ზრუნავენ და გიცავენ, როცა ჰგონიათ, რომ გმართავენ ... ჰოდა, მხოლოდ ფულითა და ვაჟკაცობის თამაშით მაგას ვერ იყიდი, ვერა. ვერ იყიდი და არც გამოგ-დის ეს ვაჟკაცობის თამაში. ისევ სისუსტეს უნდა მიაწვე ამირან, ჩემო... ჰოდა, შენდამი ჯერ სიბრალულის უნარი უნდა გაუღვივო, მერე თანაგრძნობის, მერე შენი დაცვის ინსტინქტიც გაუჩნდება, ბოლოს შეუყვარდები და ეგااااااა, დამკაში ხარ ამირან, დااااამკااااში. საკუთარი სტრატეგიით კმაყოფილმა, ღიმილით ახედა ტაძრის გუმბათს და თვალები მოჭუტა – შენი იმედიც მაქვს, უფალო, ჩემი უნდა გახდეს, ჩემიიი. კვლავ ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრი. რაო, ბატონო? რა თქვენი უნდა გახდეს? – ისევ მიაჩერდა ის აბეზარი ბერიკაცი თავისი მომნუსხველი მზერით. ბიძაჩემო, რას შემომიჩნდით? რას მომჩერებიხართ პირში? მოძღვარს უსმინეთ, მოძღვარს და მაცალეთ ლოცვა, რას გადამე-კიდეთ? ვერ ხედავთ, ღმერთს ვესაუბრები, ჩემთვის – თავი ვეღარ შეიკავა ფარისეველმა. ისევ ფიქრებმა წაიღო – არა, სახლში მიცილებაზეც როგორ უთხრა უარი, ჰااا? რა

დაუწუნა: გარეგნობა, სიტყვა-პაუხი, კანის ფერი თუ რა?... ,,პადუმაეშ", გათხოვილი. არადა, სულ არ აპირებდა წუხელ მეძავთან წასვლასა და ჟინის დაკმაყოფილებას...ჰოდა, ეგ ცოდვაც შენზე იყოს, თამარ, შენზე, აბა ჩემზე ხო არ იქნება ...უიიიიი, მე ამირანი არ ვიყო, შენ თუ საკუთარ თავზე მეტად არ შეგაყვარო თავი და ჩემზე ფიქრებში არ გატეხინო ღამეები, აი შენ თუ იქით არ გაგიხადო სადევნი, სახვეწნი და საეჭვიანო მაგასაც ნახავ. მდა�ა... არა, რაღაც სერიოზული მინდა ფინალისთვის, ისე ვერ გავტეხავ, ვერა, მაგნაირ ტიპაჟს ჩემნაირი ვაი ,,მაჩო" ვერ ააპლაკვინებს ფეხებს, პირდაპირ საყვარლობასა და სექსზე მაგას ვერავინ დაითანხმებს, ამირან ... ჰოდა, როგორც ანკას, მაგასაც ცოლობას შეპირდი, ამირან ჩემო, რატომ იგონებ ხელახლა ველოსიპედს? ჰოდა, ძალიანაც კარგი, სწორი ტაქტიკა აირჩიე, ამირან ჩემო, ყველა მდედრობითი ციხესიმაგრის ასაღებად სწორი სტრატეგიაა მთავარი. ჰოდა, ეგრეც ვეტყვი, რომ მის გარეშე სიცოცხლეც არ მინდა, რომ უმისოდ ვერ ვძლებ, რომ ის არის ჩემი წიწილა და შევარდენი, ჩემი ბაჭიაც და ვეფხვიც და ამგვარ ბანალურ რაღაცებს... მხოლოდ ვეტყვი კი არა ნელ-ნელა, ყოველდღიურად წვეთ–წვეთ მივაჩვევინებ ყურსა და თვალს. ქვეცნობიერად ჩემზე დამოკიდებულს გავხდი და შაბაშ, ამირან – შაბაშ. ეგ არის, დამკაში ხარ, დამკაში. ჰოდა, რა, არ დაიჯერებს თუ რა? ცოლი მე არ მყავს და შვილი, ჰოდა, უნდა დაებას, წესით. აი მერე კი ....მერე შენ იცი და შენმა მოხერხებულობამ, ჩემო ამირან. მოიცა, შენა და ისე, რომ შეუყვარდე, მართლა, რომ მოინდომოს შენი ცოლობა, მერე? მერე რას იზამ ამირან? .... ჰოოო, რას ვიზამ და ... რას და ...ჰა, მოიფიქრე რამე, მიდი, თორემ გაყავი თავი უღელში ამირან და დაგკიდეს ეჟვნები სადაცაა. რას ვიზამ და... ევრიკა! რას და აგერ არაა დედაჩემი, ჩემი დედიკონა-დედა აგერ არ მყავს?

ჰოდა, აი მაშინ ვეტყვი ზუსტად სიმართლეს, სიმართლეც ხომ უნდა გამოიყენოს კაცმა, ისაც საჭიროა ხანდახან, ჩემო ამირან. ჰოდა, ვეტყვი – დედა ვერ გადაიტანს განათხოვარი და შვილებიანი რძლის შესვლას ოჯახში – თქო, ერთ ჭერქვეშ ასეთ ქალთან ვერ იცხოვრებს – მეთქი. ვეტყვი – სანათესაოც წინააღმდეგია – მეთქი. ვეტყვი – დედა რომც დავითანხმო, მარტოს ვერ დავტოვებ, ასაკშია და მოვლა–პატრონობა სჭირდება – მეთქი. ვეტყვი – ჰოდა, ამიტომ ცალკე ვერ ვიცხოვრებთ – მეთქი. იმასაც ვეტყვი ცალკე რომც გავიდეთ ცხოვრება გაგვიმწარდება – მეთქი, ვეტყვი. ჰოდა, ვეტყვი – დავრჩეთ ასე მიჯნურებად სიცოცხლის ბოლომდე–მეთქი, მთავარია გვიყვარდეს ერთმანეთი–მეთქი, ვეტყვი. აპა რაااა, ამირან, ჯერ შენი გაინაღდე და თავის დაძვრენას რა უნდა მერე შენ მაგარო, შენა. გენიოსი ხარ, ამირან, ჩემო, გენიოსი. დაილოცოს რძალ-დედამთილობის მომგონი, ცნება და მისი არსი ამ ქვეყანაზე. აი, ასე, ამირან, აი, ზუსტად ასე ეტყვი. იტირებს, ინერვიულებს, იდეპრესიებს, დაგაყვედრებს, წამოგაძახებს რაღაცეებს, მაგრამ თავადვე იტყვის მერე უარს ზედმეტ ვალდებულებებზე ქალბატონი... მთავარია შენი გახდეს და მერე სად გაიქცევა, ამაზეც დაგყაბულდება, აბა რა ჯანდაბას იზამს. ჰოდა, თუ არც დაგყაბულდება და ეშმაკს წაუღია მაგის თავი და ტანი, შენ ეგ აღარ იჯავრო მერე. გენიოსი ტაქტიკოსი ხარ ამირან ჩემო, გენიოსი. ვაااااი მას, ვინც შენი ფასი არ იცის. ისე ცოდვა კია ის საბრალო, ხო იცი შენ და ცოდვაში იგდებ თავს ამირან ჩემო...ჰო, მაგრამ... აუუუუ, რა ფეხები ჰქონდა ... კაი რა, ცოდვა არა კვახი, წაიმარხულებ, დაანახებ, რომ მოინანიე და შეგინდობს მოძღვარი, აბა რას იზამს, სხვა რა მოხელე-ნაჩალნიკია, სხვა რა ევალება, ეგეთები შეუნდია თუ რა? შენ არც პირველი და არც უკანასკნელი არ იქნები, ამირან. ასეა სამყარო მოწყობილი, ძმობილო. ჰოდა მიდი,

შეუტიე, აიღე, დაიპყარი ალამუთი, ჩემო სტრატეგო... კართაგენი უნდა დაინგრეს, ის შენი უნდა გახდეს, შენიიიი! და მორჩა, გადაწყვეტილია, წერტილი. უფფფ, ხვალ დილით ისევ სამსახური ... ისევ ის, ვითომ მოვაჭკაცო ტიპაჭები და მათი უკბილო ირონიული ხუმრობები უნდა აიტანო, არა ? ფუ, როგორ მეზიზღება მთელი სამსახური.... არა უშავს, მანდაც მოვა ჩემი დრო, მოვა და მატლებივით გავსრეს ყველას....ყოველთვის მოდის ჩემისთანების დრო, ყოველთვის. მთავარია მოვითმინო, არა, უფალო? ჰო, როგორ მასწავლიდი? მარცხენაში რომ გაგარტყამენ, მარჯვენა მიუშვირეო, არა? თუ როგორც არის...ჰოდა მივუშვერ, მოვითმენ, უფალო და აი ჩემი დრო რომ მოვა, სულ ძმრად ვადენ ყველას ყველაფერს. აი, მერე ვანახებ ვინ ვარ და როგორი – შენ შემაძლებინე ყოველივე, უფალო, შენი სახელის ჭირიმე. აუფ, რა გულზე გასკდებიან თამარს რომ დაინახავენ ჩემ გვერდით! აუუუფ, წარმომიდგენია, თავდახრილები რომ მომმართავენ – გისმენთ, ბოსს!... რას ინებებთ, ბატონო ამირან?!... როგორც გვიბრძანებთ, ბატონო ამირან!... მართალი ხართ, ბატონო ამირან! .... ჰოდა გახეთქე, ამირან, ჩემო, დახეთქე შურით და დაითრიე ჯერ თამარი, მერე უფროსობა და დამკაში ხარ ამირან, დამკაშიიიი – ისევ ხმამაღლა მოუვიდა ფიქრი. ყმაწვილო რა დამკა, რის შამათი, რას როშავთ?! – უკვე შეუღრინა ბერიკაცმა და ანთებული სანთელი მიუტანა სახესთან. ისე მიაჩერდა, თითქოს სურდა სულში შესძრომოდა. სანთელი გაწიე, მოხუცო, არ დამწვა. სწორი ყოფილა რა, ბავშვს და მოხუცს ასანთს რომ უმალავენ – თქვენს საქმეს მიხედეთ, გეთაყვა, საცაა მოგაკითხავთ უფალი, მე რას მომჩერებიხართ. რამე სთხოვეთ, მოინანიეთ. ვერ გავიგე, ეგ სანთელი მას დაუნთეთ, თუ მე?. გასწიეთ იქით.... დედა, ვის გადავეყარე ეს ჰაااა – გაწიწმატდა ფარისეველი.

ამასობაში წირვაც დასრულებულიყო და ზეთისცხება იწყებოდა. ჯერ კაცები გამოატარეთ! კაცები! – გაისმა ხმა ტაძარში. ყველა მიიწ-მოიწია და კორიდორიც გამოჩნდა მასაში. მობრძანდით, ამირან! მობრძანდით! გამოსძახა მოძღვარმა. გამოსძახა და დაიძრა ფარისეველი, წელში მოხრილ-მოდრეკილმა გაიარა მრევლს შორის. ნეტარების ცრემლი სდიოდა ამღვრეული თვალებიდან და ნაბახუსევის ოფლსა და დუჟს უერთდებოდა ნიკაპთან ყულფად. კარგად მაცხეთ, მამაო, კარგად – თვალდახრილმა ხარბად შესთხოვა მოძღვარს. არც წინამძღვარს დანანებია ზეთი და ბარაქიანად გაუსვა ფარისეველს გაოფლილ, ნახევრადშემელოტებულ შუბლზე.

ჩამოკრა ზარმა, დინჯი ნაბიჯით ტაძრიდან ბრუნდებოდა ფარისეველი. გულში ჩახუტებული მოჰქონდა ნაყიდი უფალი. აქეთ – იქით ატრიალებდა ნეტარებისგან აპრიალებულ შუბლს და მდაბალი, მაგრამ ხმამაღალი სალმით ესალმებოდა გამვლელ-გამომვლელს. კარგი კაცია, სუფთა, სპეტაკი, პატოსანი, გულმოწყალე. შეხედეთ, რა სათნო სახე აქვს, ბედნიერი მაგისი ცოლი ვინც გახდება, ნეტავ, შენს დედას, შვილო.... – ნაყიდი განწყობა მოჰყვებოდა მრევლში ჩურჩულით. უფალმა დაგლოცოს, ამირან და ბარაქა მოგცეს, წარმატებები, ამირან, ყველა შენს საქმესა და ჩანაფიქრში! უფალმა გაგაძლიეროს, ამირან! – ნაყიდი დალოცვა ჩაესმოდა ყურებში ფარისეველს. ამინ, ამინ, ამინ... ღმერთმა შეგისმინოთ – პირღიმილიანი პასუხობდა გულსა და გონებაში ყველას. იდგა დღე ნეტარებისა ფარისევლისათვის. საბოლოოდ, მიაღწია მას, რაც სურდა – შეიქმნა იმიჯი, შექმნა ილუზია ... ხალხი რას იტყვისო, არა? ჰოდა, აგერ ბატონო, რასაც ამბობს ხალხი. ხმა ღვთისა ხმა ერისაო, არა?..ჰოდა, აგერ, ბატონო .... თუ როგორც არის. ჰოდა, რაღა დაგრჩა მისაღწევი, ჩემო

ამირან? თამარი და კარიერა? ჰოდა მიაღწევ, უსათუოდ მიაღწევ, რადგან ორივე მიღწევადია შენნაირებისთვის, მთავარია არ აჩქარდე, მთავარია, მარცხენაში რომ გაარტყამენ, მარჯვენა მიუშვირო, როგორც უფალი გასწავლის, მთავარია, ნდობაში შეხვიდე და მერე... მერე შენ იცი და შენმა მოხერხებულობამ, როგორ დაიდგამ თავზე შარავანდედს. უცებ შეჩერდა, რაღაც იგრძნო, რაღაც ვერ იყო მთლად ისე, რაღაც ზურგს სწვავდა, რაღაც ხელს უშლიდა სრული ნეტარებისათვის. შეჩერდა, მაგრამ ვერ გაბედა ტაძრისკენ შემობრუნება. მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილიდან, ფეხს აუჩქარა, დაღმართზე დაეშვა, რაღაც სჩხვლეტდა ზურგში. მიდიოდა ფარისეველი, მიდიოდა და თან მიჰყვებოდა ბერიკაცის გამჭოლი მზერა, აი, ის მზერა... აი, ის დაჟინებული და გაუსაძლისი მზერა. მიდიოდა ფარისეველი ნაყიდი უფალით, ნაყიდი დალოცვით, ნაყიდი იმიჯით, შექმნილი ილუზიით და მხოლოდ ეს მზერა უჭერდა ზეთნაცხებ, ალაპლაპებულ და გაოფლილ შუბლზე ეკლის გვირგვინივით...

10.09.2019 წ.

შიში

ა – წვიმს... შენ გიყვარს წვიმა?
ბ – მიყვარს.
ა – მერე არ გეშინია ნიღაბი ჩამოგრეცხოს?
ბ – არა... არ მეშინია, კიდევ მაქვს შიგნით.
ა – ისიც რომ ჩამოგრეცხოს...
ბ – არ მეშინია...კიდევ ბევრი მაქვს.
ა – და ყველა, რომ ჩამოგრეცხოს... შენი ნამდვილი სახის არ გეშინია?
ბ – არა... არ მეშინია. არ არსებობს ისეთი წვიმა, ბოლომდე რომ გამაშიშვლოს.
ა – და მაინც...ასე, რომ მოხდეს...
ბ – არ მეშინია. მაინც ვერავინ შეამჩნევს, ვერავინ მიცნობს, რადგან თავად არ მახსოვს როგორი ვარ.
ა – არ გახსოვს, როგორი ხარ?
ბ – ჰო...არ მახსოვს.
ბ – და შენ? ... შენ გიყვარს წვიმა?
ა – მიყვარს, მაგრამ მეშინია.
ბ – რისი გეშინია?
ა – მე მხოლოდ ერთი ნიღაბი მაქვს.
ბ – კაი ახლა, არ არსებობს...
ა – ასეა.
ბ – და რა ჰქვია მაგ ნიღაბს?
ა – სიმკაცრე და გულცივობა.

ბ – რაში დაგჭირდა ეგეთი, რა მოაქვს შენთვის?
ა – მიცავს.
ბ – რისგან?
ა – ადამიანებისგან და იმისგან, რაც მათ მოაქვთ.
ბ – და რა მოაქვთ?
ა – იმედგაცრუება და ტკივილი.
ბ – მხოლოდ?
ა – ჰო... ჩემთვის ასეა.
ბ – და შენ ნამდვილი როგორი ხარ?
ა – სუსტი.
ბ – სუსტი როგორია?
ა – ადამიანური, მე ჯერ კიდევ ადამიანი ვარ.
ა – ყველაზე მეტად რა მოგწონს?
ბ – გამარჯვება, მიზნის მიღწევა, აღიარება ...
ა – ჰო...გასაგებია.
ბ – შენ რა მოგწონს?
ა – სიკეთის კეთება...მომწონდა...
ბ – ეგ ხომ სისულელეა...
ა – ჰო ... ვიცი.
ბ – ხშირად აკეთებ ამ სისულელეს?
ა – ადრე ვცდილობდი...
ბ – ახლა ?
ა – ახლა თითქმის აღარ...
ბ – რატომ?
ა – იმიტომ, რომ მეშინია...
ბ – რისი გეშინია?
ა – უმადურობის მეშინია.
ბ – რატომ?
ა – იმიტომ, რომ უმადურობას გაბოროტება შეუძლია.
ბ – და რა მერე ? .... მიმოიხედე ყველა ასეთი არაა ?

ა – მე ყველა არ ვარ.
ბ – რატომ?
ა – იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ადამიანი ვარ...
ა – სიკვდილის გეშინია?
ბ – კი მეშინია. შენ?
ა – მე არა.
ბ – ეგ როგორ? აკი სუსტი ვარო....
ა – ჰო, უნიღბოდ სუსტი ვარ...მე სიცოცხლის მეშინია.
ბ – სიცოცხლის? რატომ?
ა – მეშინია მანამდე არ მოვკვდე ვიდრე გარდავიცვლები.
ბ – ეგ როგორ? ... ადამიანს შეუძლია რამდენჯერმე სიკვდილი?
ა – შეუძლია.
ბ – მაინც როდის?
ა – იმედგაცრუებისას, სირცხვილისას, ღალატისას ...და ა.შ
ბ – შენ მომკვდარხარ?
ა – კი...
ბ – მერე მკვდარს რიღას გეშინია?
ა – წვიმის და სიცოცხლის. სიცარიელეში სიცოცხლის მეშინია.
ბ – მაშინ რატომ არ ირგებ უფრო მეტ ნიღაბს?
ა – იმიტომ რომ მეშინია.
ბ – რისი გეშინია?
ა – მეშინია, შენსავით არ დამავიწყდეს როგორი ვარ.
ბ – და როგორი ხარ ბოლოს და ბოლოს?
ა – სუსტი.
ბ– რატომ?
ა – იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ადამიანი ვარ...

14.08.2019 წ.

ლოდინი

– ისევ აქა ხარ, ილარიონ ბაბუა?

– ჰო, აქა ვარ, ბაბუა. 10 წუთში უნდა ჩამოდგეს...

– ისევ იმ ქალს ელოდები ბაბუა?

– ჰო, ველოდები.

– არ დაიღალე, ილარიონ ბაბუა? რამდენი წელია რაც დადიხარ ამ სადგურზე?

– დავიღალე, ბაბუა, დავიღალე...არ მახსოვს, შვილო, წლებია დავდივარ...

– ძნელია ხო ლოდინი, ილარიონ ბაბუა?

– ჰო, ბაბუა, ჰო...ძნელია, გოუსაძლისად ძნელია ლოდინი...მარა�ა..

– მარა რა ილარიონ ბაბუა ?!

– იცი, რა არის ძნელი ბაბუა? საყვირის ხმა რომ გასერავს სმენას, ნელნელა რომ გიახლოვდება გუგუნი და ბორბლების წკარაწკური გულის ფეთქვას რომ აიყოლიებს, ესაა ძნელი, ბაბუა. რომ ჩამოდგება მატარებელი, რომ შეიღება კარი, თვალებით რომ ეძებ ამდენ მგზავრში და ... დაცლილი ბაქნის ყურებაა, ბაბუა, ძნელი. სიცარიელეში ყურებაა, ბაბუა, ძნელი, მაგრამ ყველაზე ძნელი იმ აფართხალებული გულის დაწყნარებაა, ბაბუა, იმის

დანახვის იმედითა და მოლოდინით რომ იწყებს შიგნიდან მკერდის გამორღვევას. ლოდინის ყოველი წუთი და დღე, თვე და წელიწადი საშინლად გრძელი და ძნელი ყოფილა, ბაბუა.

– რატომ ელოდები ილარიონ ბაბუა?

– წასვლისას, მეც მიყვარხარო – მითხრა, მაპატიეო – მითხრა, დაგიბრუნდებიო – ასე შემპირდა, ბაბუა.

–ისევ გიყვარს, ილარიონ ბაბუა?

არ უპასუხია ილარიონს. სადღაც სიცარიელეს მისჩერებოდა აწყლიანებული თვალებით.

– ილარიონ ბაბუა, მართა ხომ კარგა ხნის წინ დაბრუნდა, გათხოვდა და შვილთაშვილებიც ჰყავს უკვე – აღარ გახსოვს?

– ვიცი, ბაბუა, მახსოვს და ვიცი მარა ეგ დაბრუნებული სხვა იყო ბაბუა. მაგი ჩემს მართას პირსახით ჰგავდა მხოლოდ, ბაბუა. ჩემი მართა ხალისიანი და თვალნაპერწკლიანი იყო ბაბუა, სუფთა და თბილი იყო, ჩემი მართა, ბაბუა. ჩემი მართა იმედს ასხივებდა, ბაბუა, ჩემს მართას სიცოცხლე უყვარდა, ბაბუა ... ჩემი მართა დამპირდა დავბრუნდებიო, ბაბუა.

– გენატრება? გიჭირს უმისოდ, ილარიონ ბაბუა?

– ჰო, ბაბუა, მენატრება და მიჭირს. ლოდინი მიჭირს ბაბუა ძალიან, მარა ეს ლოდინი მაცოცხლებს, ბაბუა. ლოდინი და იმედი მაცოცხლებს აქნობამდის, ბაბუა. მატარებლიდან რომ ჩამოხტება, რომ გამოიქცევა და ჩამეხუტება, ხომ შეგპირდი და აი, დაგიბრუნდი ილარიონო, რომ მეტყვის ეს იმედი მაცოცხლებს ბაბუა. იცი რავარი ჩახუტება იცოდა, ბაბუა?...

– იმედი კი არა ილუზიაა ეგ, ილარიონ ბაბუა. რახანია დაბრუნდა უკვე მართა.

– შენ რაც გინდა იგი დაუძახე, მთავარია, აქნობამდის მაცოცხლებს ბაბუა. ლოდინი და იმედი მაცოცხლებს ბაბუა. ის სხვა იყო, მე ჩემსას ველოდები, ბაბუა. ჩემი შემპირდა, დაგიბრუნდებიო... ბაბუა.

– კაი, ბაბუა, კაი. წადი სახლში ახლა, ილარიონ ბაბუა, ხომ ხედავ, წავიდა მატარებელი.

– ხვალაც ხომ ჩამოდგება, ბაბუა, მატარებელი?

– კი ჩამოდგება ილარიონ ბაბუა, აუცილებლად ჩამოდგება.

– კაი, აბა, ბაბუა, წავალ და ხვალე მოვალ ამ დროს... შემპირდა დაგიბრუნდებიო და...

– მოდი, ილარიონ ბაბუა, აუცილებლად მოდი...

13.09.2019 წ.

სარჩევი

ანთილიოსი 5
თავის – უფალი 7
გამყინვარება 8
მე, შენ და ტანგო 10
თუში ხანუმი 11
ა კ ა ც ი ა 15
ახლა სულ ერთია 16
გრძნობების რთველში 17
ა ნ ბ ა ნ ი 19
არ მეშინია 21
გ ლ ა ხ ა 22
დამხატეთ, მხატვარო! 24
აღსარება 25
ბედნიერი ხარ 26
გერი 27
ტფილისური ამქარი 29
ბ ე ღ უ რ ა 33
ბ უ ნ ე ბ ა 35
გადავიღალე 36
გამომიგონე 37
წინათგრძნობა 38
აღარაფერი შემარჩინეს 39
არასდროს თქვათ — არასოდეს 40
დამაგვიანდა 42
დიდი კაცობა 43
ვაზელინი 44
ვერ დავუმთხვიე 48
ვიცი შეგხვდები 49
არაფერია მარადიული 52
ლიმნის ყვავილობა 54
მეეზოვე 55
თბილისი „სითი” 56
თილისმა 58
თქვენ რა გგონიათ 60

ინანებ რაც გითქვამს... 62
შინაბერა 63
შხარა 65
ახალი წელი 66
ბედობის ღამეს 67
იღბალი 68
ლექსს არ მიწერო... 70
მაშ დაწყებულა... 71
მე არ ვარ მაგი 72
გენია 73
გვირგვინოსანი 75
დ უ მ ი ლ ი 77
მადლობა, მეუფეო! 79
მე სხვისთვის არ ვწერ 81
მ ე გ ო ბ ა რ ი 82
მერი 85
მითი 87
ისე გათოვდა... 89
იქ, სადაც დუმან პოეტები 90
მაშინ დაბრუნდით... 92
მე ისეთი ვარ 93
მითხარი თუ ხარ 95
მიწა ღაღადებს 96
მოგონებები 97
მ ო მ ბ ე ზ რ დ ი თ 98
მე კი, ალბათ, ვერა 100
მე საქართველოს ოფიცერი ვარ 101
მე შეშლილი ვარ 102
მეშემოდგომება 104
მუმლი 105
ნიღაბი 106
პირობა 107
რად მინდა 108
* * * 109
მთვარის მოტაცება 110
მო–ლოცვა 111
მუზა–რადები 112

ნადარეული 113
სამი ვარდი 114
სიბერეში 115
სტუმარი 116
ტ ა ო 117
უმადურება 120
პაემანი მუზასთან 121
რა ფასი აქვს... 123
რაც თქვენთვის სახელმწიფოა 125
სამი ევრო 128
ქარი 130
ქვის გული 131
შატილი 133
ჩემს კუთხეში 136
ცხრა ძმა 137
ძმობილი 138
სამბა ნიავთან 139
სანაპიროს როსკიპები 141
სუნი და გემო 143
ფრთები შემასხიპე 145
ხევსურული ბალადა 146
ჰოროსკოპი 148
ქართული სისხლი 150
ქაცვის ჭალა 152
ქვიშის საათი 153
ღალატის ფერი 154
მე დავეძებდი ციცინათელებს 155
ცხოვრების ჯინაზე 156
ჭიდილი 157
ვეფხვი და შველი 159
მეწისქვილე 167
ფარისეველი. 186
შ ი შ ი 195

ლოდინი 198

9 789941 822360